დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.
მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა! –
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!
სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...



ვსთქვი, თუ: გულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!
მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.
დავუნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად „ტია, ტიას!“

აკაკი
წერეთელი

# მამული

ქართული გაზეთი ამერიკაში     მარტი-აპრილი, 2010 N58     ასავალ-დასავალის პარტნიორობით

## მშვიდობა სახლსა ამას, სახლსა უფლისასა!

ვამბობთ ამ სიტყვებს და სიხარულის ცრემლებით ვივსებით, რამეთუ ივერიის დედა-ეკლესიას კიდევ ერთი კერა შეემატა, ამჯერად შეერთებულ შტატებში, ნიუ იორკში!

შვიდწლიანი დიდი ჯაფაა გაწეული იმისთვის, რომ თამამად გვეთქვა ეს სიტყვები და ამ სიტყვებითვე მიგველოცა ერთმანეთისათვის ყველა ჩვენგანის მუხლჩაუხრელი შრომის ნაყოფი – წმიდა ნინოს სახელობის ნიუ-იორკის ქართული ეკლესიის ახალსახლობა.

დიახ, ამ სურათზე თქვენ ეკლესიისათვის შეძენილი შენობის პირველ სურათს ხედავთ.

კიდევ დიახ, რომ დღეიდან საკუთარ კერაზე მოვისმენთ ქართულ გალობას, ვილვაწებთ მამულისთვის უცხოეთში, რათა მამული ახლოს იყოს ჩვენთან, მანძილის სიშორის მიუხედავად.

ეს ტაძარი ამის უტყუარი დასტური იქნება.

გავმართავთ ტრაპეზობას, ერთმანეთს მოვესიყვარულებით და რაც მთავარია, ჩვენს შვილებს არ დავავიწყებთ, თუ ვისი გორისანი ვართ, უბრალოდ არ მივცემთ ამის საშუალებას.

ეს ტაძარი გადაიქცევა კულტურის კერად ყველა ქართველისათვის, სადაც არ უნდა იყოს იგი. ასე იყო ოდითგან – პალესტინაში თუ სირიაში, ელადაში თუ ბელგიაში, რუსეთში თუ საფრანგეთში – სადაც კი ქართული ეკლესია-მონასტრები იქმნებოდა, ყველგან იმკვიდრებდა ფეხს ქართული მწიგნობრობა, რამეთუ დედა-ეკლესიის მიღმა მწიგნობრობა არ არსებულა, არსად, არცერთ დროში და ჩვენც გზააბნეული ცხოვარივით ვუბრუნდებით ერთიანი ქართული სამოციქულო ეკლესიის წიაღს.

ვინ როდის და სად გადახვეწილან, ვინ მოთვლის...

დახუნძლულიყო ერაყისა და ეგვიპტის ისტორია ქართველ მამელუქთა სახელებით,ავსებულიყო სტამბულის, ისპაანისა და კაიროს ჰარამხანები ქართველი ლამაზმანებით, მაგრამ ყველა ქართველმა მთელი აზია თავისი ქართველობით გააკეთილშობილა... და გააკეთილშობილა თავისი შინაგანი რწმენით.

მათთვის არავის აუგია ქრისტიანული სალოცავები, არავინ უღვივებდა მამულის სიყვარულს, ისინი კი მაინც რჩებოდნენ ქართველებად, რადგან ჩვენს გენეტიკაში იდო ქრისტეს უსაზღვრო სიყვარული.

ჩვენ ხომ მაცხოვრის კვართის მადლით დავბრძენდით, სწორედ ამ სიბრძნემ განახორციელა ის კეთილშობილური საქმე, რისი მოწმენიც ახლა გავხდით, საკუთარი ჭერის მოზეიმენი.

მას ვეღარავინ ვეღარ წაგვართმევს!

ისევ შევქმნით რუსთველის ფრესკას, და ამიერიდან მას ვერავინ ამოჩხაპნის, რადგან ის აწ და მარადის ქართველების საკუთრება იქნება.

„მშვიდობა სახლსა ამას!“ – ვამბობთ და ყველა კეთილი ნების მამულიშვილს მოვუწოდებთ შეეწიოს ჩვენი დედა-ეკლესიის ამ პატარა და დიად სავანეს, რათა სამომავლოდ თავი მივიდრიკოთ უფლის წიაღში უსაშველო ცხოვრების რიტმში გადაღლილებმა და გვქნეს ამ სავანის შენარჩუნების საშუალება.

სიხარული ერთია, მაგრამ ამ სიხარულმა უნაყოფოდ არ უნდა ჩაიაროს, თორემ იმ უნაყოფო ლეღვს დავემსგავსებით, იესოს რომ მოშივდა და მისი ნაყოფის მირთმევა ინება, ლეღვს კი ნაყოფი არა ჰქონდა!

ზამთარიც რომ იყოს, უფლის მისაგებებელი მაინც უნდა გვქონდეს, როგორი უნაყოფობის დროც არ უნდა იდგეს, – ღმერთია დამბადებელი და გამომკვებავი ჩვენი, და მიტომ!

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!




იმისათვის, რომ ეკლესია ეკურთხოს და ფუნქციონირება დაიწყოს, საჭიროა სასწრაფოდ მოხდეს მისი წესრიგში მოყვანა და რეკონსტრუქცია. ჩვენი ემიგრაციის მშენებელ-კონსტრუქტორები მზად არიან უანგაროდ მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში, თუმცა მშენებლობას სჭირდება საშენი მასალებიც. გთხოვთ დაგვეხმაროთ თქვენი შესაძლებლობის ფარგლებში.

შეგიძლიათ თანხა პირდაპირ გადმორიცხოთ ქვემოთ მოცემული ბანკის ანგარიშზე:

**Chase Bank,**
**Routing # 021000021,**
**Account # 907225332065**

ან გამოაგზავნოთ ჩეკი ან მანი ორდერი სა-ფოსტო მისამართზე:

**St. Nino Georgian Church,**
**P.O. Box 351160,**
**Brooklyn, NY 11235**



დაწვრილებითი ინფორმაციისათვის
ვრცელი ინტერვიუ
**მამა ალექსანდრესთან**
გაზეთის მომავალ ნომერში

**1241 CASTLETON AVENUE,**
**STATEN ISLAND, NY 10310-1713**

> **სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია.**

# როცა სამშობლო შენი სიცოცხლეა!



უძველესი დროიდან კაცობრიობა მიილტვოდა მისტერიულ სიმდიდრეთა მოსაპოვებლად და ეძებდა, პირველყოვლისა - გონებაში გამონათებას, რათა მარადი საგანძური დაენახა მასში. სწორედ ამ მიუწვდომლობას აზღაპრებდა კიდეც და თაობიდან თაობას ანდერძად უტოვებდა ღმერთთან მიახლოვების სიხარულის განცდას, სრულყოფილებამდე რომ დაეხვეწა სავალი გზა. ზოგი რაში პოულობდა ამ სიხარულს, ზოგიც კიდევ რაში –

ზოგმა მითი შექმნა,

ზოგმა დაიჯერა ამ მითის ნამდვილობა,

ზოგმა ამ მითის სიცხადეში გადმოტანა მოისურვა,

ზოგმაც კიდევ ცხადლივ დაიწყო ძიება ცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულში მისი რეალიზებისთვის.

ევროპა ჯვაროსნული ომების თავგადასავლებში ჩაერთო იმ იდეით, რომ გათავისუფლებულიყო საქრისტიანოს მარადი სამშობლო - იერუსალიმი სარაცინებისაგან... და ყველაფერი ეს ქრისტეს სახელით!

პარალელურად ქრისტიანობამ ფრთები შეასხა კელტური მითოსის იდუმალებას. იოსებ არიმათიელის ისტორიული პერსონა იდილიურ სახებად იქცა. მის სახელს დაუკავშირდა ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლიკა - ბარძიმი, რომლითაც მაცხოვარმა ჩაატარა საიდუმლო სერობა და საფუძველი დაუდო წმიდა ზიარების საიდუმლოს. წმიდა გრაალით დაუკავშირდა სახარებისეული პერსონაჟი მითიურ მეფე არტურისა და მრგვალი მაგიდის რაინდების ლიტერატურულ-ფოლკლორულ ლეგენდას. მოგვიანებით პარსიფალის, ლანსელოტისა და მოხეტიალე რაინდების პერსონიფიცირებული სახისმეტყველება სრულიად იდეას თავიანთი თავგადასავლებით ერთიან სისტემად კრავდნენ. იქამდე ჯვაროსნულმა ომებმა და გრაალის მისტერიამ ერთმანეთი იპოვეს, რამეთუ რაინდული ორდენები იბრძოდნენ მესოპოტამიაში მუსლიმანთა წინააღმდეგ, ორდენები, რომელთა შექმნის უმთავრესი მიზანი იყო გრაალის პოვნა. თვით ეს საღვთო ატრიბუტიკა მათი დაფუძნების ფილოსოფიურ საწყისს წარმოადგენდა. სწორედ გრაალი გახდა მარადი იდეა მარადი სამშობლოსკენ ლტოლვისა. ამიტომ მთელი ევროპული საშუალო საუკუნეები, ვიდრემდე რენესანსი გამოავლენდა თავის პოტენციალს, სხვა არა იყო რა, თუ არა ბრძოლა ადამიანის გონისა და მკლავის წმიდა მიწისთვის და სიწმიდეებისთვის. არც სარაცინები თმობდნენ თავიანთ სამშობლოს, თავიანთ სარწმუნოებრივ წმიდა ადგილებს. კაცობრიობამ ისწავლა ბრძოლა იდეისათვის.

მაგრამ ჩაცხრა მისტიკური აღტკინება ევროპის. ამ ბრძოლებმა და რაინდულმა ხეტიალებმა გონი დაუწმინდა ადამიანებს, სამყაროს აღიქვამდნენ მხოლოდ როგორც რეალურ პროდუქტს აზროვნების სიცხადისათვის, განიდევნა ირეალური თვალთახედვები, მითოსიც კი ერთიან, მაგრამ მაინც იდუმალ სისტემად აღიქმებოდა სამყაროსთან მიმართებაში. ევროპის აზროვნება დაიხვეწა და შემოქმედებითმა იმპულსმა მომდევნო საუკუნეებში მოიმკა ნაყოფი - მხატვრობაში, ლიტერატურაში, მუსიკაში, არქიტექტურაში. რენესანსმა, ბაროკომ, როკოკომ და კლასიციზმმა ხელთუქმნელობის მომხრობის მიზნით ხელთა ქმნილი (ე.ი. ადამიანური ნაქმნი) შერწყა თვით ხელთუქმნელობასთან (ანუ ღვთის მიერ შექმნილთან, იმასთან, რაც ადამიანის ხელით არ არის ნაქმნი, იგივე ბუნებასთან) იდილიური კავშირით... და ყველაფერი ეს ადამიანის ღრმა შუასაუკუნეობრივი ნააზრევის, ჯვაროსნული ომებისა და რაინდულ ხეტიალობათა შედეგად. პარალელურად ევროპაში მძვინვარებდა ინკვიზიციის კოცონი. ეს არის ევროპის გენეტიკური კოდი.

ის ეძებს,

ეძებს,

დღემდე ეძებს მარადი სამშობლოს.

ეძებს იმ მითებს, რომლისთვისაც გაისარჯა და დააქცია ბიზანტია ოსმალეთთან სეპარატისტული კავშირით. დაიარება, მაგრამ წასასვლელი აღარსადაა, დედამიწა პატარა გამოდგა, თვითონ კი ვერ მოიცვა კაცობრიობა. ამ ხეტიალში დაბერდა და გამოიფიტა.

ჩვენ, ქართველები, ბევრს ვამბობთ და ვამტკიცებთ ძველი ევროპელები ვართო, მაგრამ ამას პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს მხოლოდ და ანგარებიდან გამომდინარეობს. თუ ჩვენ სიღრმისეულად შევისწავლით საშუალო საუკუნეების მენტალიტეტს, დავრწმუნდებით, რომ ქართველობა ევროპისთვის გაცილებით უფრო ღირებული იყო, ვიდრე რიგითი ევროპელობაა ევროპის ერთიან ოჯახში.

ჩვენ ჩვენეული ხაზი გავატარეთ გრაალის ისტორიაში,

ჩვენ ჩვენეული დაღი დავასვით ჯვაროსნულ ლაშქრობებს,

ეს იყო რომ საქართველოში არ დანთებულა ინკვიზიციის კოცონი, რადგან ჩვენი სამშობლო ქრისტეს კუნძული იყო, ისეთი, და იქნებ უფრო მეტიც, ვიდრე იყო კელტური მითოსის კუნძული ავალონი, ან თუნდაც არტურის ზღუდეშეუნგრეველი ქალაქი კამელოტი. ქართული გონის აზროვნებამ გააკეთილშობილა, იქნებ სულაც წარმოშვა ევროპული მისწრაფება - მძლავრი, მომხიბლავი და უცნაურობამდე გასაკვირალი სიყვარული იმ დაკარგული სამშობლოსი, იმ მოკლული ღმერთის, ვის წიაღშიც ყველანი ვიყავით.

ჩვენმა მენტალიტეტმა ის შესძლო, რომ მთელი ევროპის ყურადღება საქართველოსკენ მომართა. აქ, ჩვენში, ტაძრელ რაინდებს (ასე არის მოხსენიებული ქართულ მატიანეებში ტამპლიერთა ორდენი) რეალურად დაუხვდა მეფე და ხუცესი ერთ პერსონიფიცირებულ ისტორიულ პიროვნებაში განსახიერებული. დავით აღმაშენებელი იყო ის მეფე-ხუცესი (ევროპულ ისტორიოგრაფიაში პრესვიტერ იოანედ მოხსენიებული), არტურ მეფის რეალური ანალოგი, რწმენის სიძლიერე და ურყევი ნება მებრძოლი ქრისტიანობის. ისწრაფოდნენ საქართველოსკენ ჯვაროსნები, ტაძრელები, მერმე კი მისიონერები. ეწაფებოდნენ ივერიელთა საკრალურ სიბრძნეს ევროპელები იმისდა მიუხედავად, უჭირდა თუ ულხინდა ჩვენს სამშობლოს.

ქართულ ფესვებში გაცილებით მეტია ის ევროპული მენტალიტეტის კეთილშობილება, ვიდრე ეს ჩვენ გვგონია. ევროპა თუ საშუალო საუკუნეებიდან ეძებდა გრაალს, ქართულმა წარმართობამ ქვესკნელითგან გამოიტაცა გრაალი. ქაჯავეთის მაღალი გოდოლი თეთრმა გიორგიმ აიღო და წამოიღო ბარძიმი, ღვთაებრივი ბარძიმი. სწორედ რომ ევროპულ რაინდულ ორდენთა საფუძველი ჩვენშია, გეორგიანულ მებრძოლ ქრისტიანობაში, რადგან ჩვენ - ქრისტეს კუნძული - ვიყავით და ვართ გარშემორტყმული გოგისა და მაგოგის ბოროტულ ძალთა ოკეანით.

და ჩვენ ვიბრძოდით,

და ჩვენ ვიბრძვით,

და ჩვენ ვიბრძოლებთ.

ესაა ჩვენი გენეტიკური კოდი.

იქნებ მეფე არტურის მისტერია წმიდა თეთრი გიორგისგან, თუნდაც შავნაბადა წმიდა გიორგისგან მოდის (არა კაბადოკიელი წმიდა დიდმოწამის, არამედ თვით მიქაელ მთავარანგელოზისგან - მისი ქართული გააზრება რომაა ჩამოყალიბებული ამ წარმართულ ღვთაებად). ჩვენ წმიდა გრაალის მცველნი ვიყავით ყოველთვის და ამიტომ ყველაზე მეტად ურჯულო გადამთიელი ჩვენ გვაწიოკებდა და გვემტერებოდა. ექსკალიბურიც ივერიის ქვაში გამჯდარიყო და ტიროდა ქვები მხსნელის მოლოდინში.

საშუალო საუკუნეების გერმანელი მწერალი ვოლფრამ ფონ ეშენბახი მიანიშნებს გრაალის სიბრძნის სამშობლოზე და ესაა ტაბრონიტი, ანუ კავკასიის მთიანეთი - ასკვნის ზვიად გამსახურდია. ახალ-ახალი ტალღა მოდიოდა ივერიისკენ ევროპელი რაინდებისა, რადგან ჩვენმა სამშობლომ ევროპისთვის ძნელბედობის ჟამს საკუთარ თავზე იტვირთა მესიის მახვილის ფუნქცია აღმოსავლელ ველურ ტომებთან ბრძოლაში ახლო აღმოსავლეთში, ევროპას საკუთარი თავგანწირვის ფასად მისცა თავისუფლად განვითარების საშუალება.

როცა ჩვენ ვიბრძოდით, ევროპა ჩვილი ბავშვივით ენის ამოდგმას სწავლობდა. ჩვენ კიდევ ამ ბრძოლაში ამირანივით მივეჯაჭვეთ სამშობლოს, ყვავ-ყორნები კი გვეხვეოდა და აკაკის ხატოვანი თქმისა არ იყოს, - „დაფლეთილი გვქონდა გული“. ბიზანტიის წაქცევამ ჩვენ ფასი დაგვადო. თვით ბიზანტია სულიერად გაიხრწნა - ექიშპებოდა ევროპას, ვერ უმკლავდებოდა მუსლიმანურ მოძალებას და ამავე დროს მავნებლობას არ გვაკლებდა ჩვენ - ერთმორწმუნეებს. ის თუ ჩრდილავდა ივერიის სულიერ სიძლიერეს, ახლა უკვე, ანუ 1453 წლის 29 მაისს, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ სრული სახით წარმოჩინდა ქართველი ერის საქმეთა სიდიადე. საქართველო მარტო დარჩა ურჯულოთა წინაშე უთანასწორო ბრძოლაში. მანამდე კი მონღოლთა ურდომ ვერ გაგვტეხა და მიუხედავად ამისა ქართველმა ერმა შეიფარა თავის წიაღში ტაძრელთა (ანუ ტამპლიერთა) განადგურებული ორდენის ნარჩენები. გაუკუღმართებული ევროპა (გაუკუღმართებული რომაული კათოლიციზმისაგან) ვერ შეეგუა მებრძოლი ქრისტიანობისა და მლოცველი ქრისტიანობის სინთეზს და ეს მაშინ, როცა ინკვიზიცია მძვინვარებდა შუა ევროპაში, ხოლო რომის პაპების ქრონიკებში ეს-ესაა გაჩენილიყო ახალი ეპოქა ავინიონური პერიოდი, ანუ თვით რომის პაპები თავიანთი უკეთურობის გამო ფრანგ მეფეთა შანტაჟზე წამოეგნენ. ამ მომენტმაც ითამაშა გარკვეული როლი ტაძრელთა ორდენის განადგურებაში. აქ უკვე მატერიალური დაინტერესება თამაშობდა გადამწყვეტ როლს - ვის დარჩებოდა მემკვიდრეობად ტამპლიერთა სიმდიდრე - პაპს თუ მეფეს. მარადი იდეა საერო და სასულიერო მამის ერთსახად წარმოჩენისა, რაც საქართველოში იპოვეს, ერთიანად განადგურდა ევროპისთვის საშვილთაშვილოდ. მოხეტიალე რაინდების ეპოქა ევროპაში მწარედ მთავრდებოდა, რისი უკანასკნელი გაფრთხილებაც სერვანტესის დონ კიხოტმა იტვირთა საკუთარ თავზე. დასანანი და სევდიანი ფინალია რომანტიული თავდავიწყებისა.

ამის შემდეგ ევროპა დაცილდა საქართველოს, საქართველომ კი თავი ვეღარ მიაბრუნა ევროპისკენ და ესეც მხოლოდ მაშინ მოახერხა, როცა მტერმა გადააგვარა ქართველობა და შიგნიდან გატეხა გადამთიელმა ჩვენი სამშობლო. სხვა აღარაფერი დაგვრჩენოდა, თუ არა ევროპის ქვეყნების სამყოფო კარებზე ხვეწნა-მუდარით სირბილი. ეს იმას ჰგავს, დონ კიხოტი რომ ქარის წისქვილებს ებრძოდა და ბოლოს მაინც წისქვილებს შეაფარა თავი, რადგან დონ კიხოტი იგივე პარსიფალია რაინდულ ორთაბრძოლებში მძიმედ დაჭრილი (ზოგი ვერსიით ძლეული, ან ძლევამოსილი) და რწმენაწართმეული, მაგრამ საბოლოოდ წითელი პარასკევის მადლით სარწმუნოებადაბრუნებული... და მაინც ეძებს მარადი სამშობლოს - გრაალს.

* * *

ჩაიარა საუკუნეებმა, ჩაიარა ეპოქებმა, ჩაიარა დამპყრობლებმა. ჩვენ ახლა დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა ვართ, მაგრამ მაინც გვეტებიან მტრები, მაინც გადახვეწილები ვართ, ვინ სად და ვინ სად. მაინც დავეძებთ ჩვენ სამშობლოს, -

სიზმარში თუ ცხადში,

ახალგაზრდობაში თუ სიბერეში,

სიბრძნეში თუ სისულელეში.

ყველგან გვინდა ჩვენი მამულის პოვნა, ამ გადასაკარგავშიც კი. სიზმრებშიც ვხედავთ და ცხადშიც გველანდება. პარსიფალივით დავეხეტებით ქვეყნიერებაზე და ვეძებ ჩემი სულის სანუკვარ საგანძურს - სამშობლოს, რადგან ჩემი გრაალი ჩემი სამშობლოა. თუ აქამდე ევროპა ეწაფებოდა ქართულ სიბრძნეს, შემდეგ როლები შეანაცვლა არსთა განმრიგემ სავალალო და ირონიული რაკურსით. ოდითგანვე ასე იყო და ახლაც ასეა:

„საფრანგეთს ვთხოვოთ:

გვიშველისო, - სასაცილოა!

შენი ვახტანგი ლუდოვიკოს

ფეხზე ჰკიდია“.

ევროპა გამობრძმედა სარწმუნოებრივმა ფაქტორმა, როგორც ყველაფრისადმი ინდიფერენტული საზოგადოება, ოღონდ თვითონ ჰქონდეთ კეთილდღეობა. მე ვუყურებ მათ და ვფიქრობ, რაოდენ დააკლდა სულიერება ამ კონტინენტს საქართველოსთან დამაკავშირებელი ძაფების გაწყვეტის შემდეგ. არადა, გვიან საშუალო საუკუნეებში, -

როდესაც აღარ არსებობდა ბიზანტია,

როდესაც გაუფასურდა გრაალის სულიერი საწყისი,

როდესაც მესამე რომის სიცივის საშიშროებას ვერ გრძნობდა კაცობრიობა, საშიშროებას, რომელიც ახალ ეპოქაში საშინელებად გადაექცეოდა მსოფლიო ცივილიზაციას,

როდესაც გარშემოსილი იყო საქართველო ურიცხვი მტრების სიმრავლით, -

მისიონერები მისიონერებზე გვსტუმრობდნენ ათასი მიზეზით, ათასი მიზნით, ოღონდ არა დასახმარებლად. ასე ძალღონეგამოცლილები რუსეთის ულუფად გადავიქეცით, ევროპამ სინზე დადებული ჩააბარა რუსეთს საქართველო, გამოვგლიჯეთ რა სპარსეთს და ოსმალეთს ჩვენივე თავი უმაგალითო გმირობის წყალობით. ევროპამ აღარ იცოდა ვინ იდგა მის წინ, რუსეთი საკუთარ თავს დაეხმარა და გადაგდებული და მათ კარზე თხოვნა-მუდარად გადაგებულნი მიგვითვალა თავის მერამდენიმედ ნაწილად.

ახლა კი ვეძებთ, სამშობლოს ვეძებთ სამშობლოდაკარგულები და სამშობლოწართმეულები.

მე უცხოეთში გადახვეწილი პირველყოვლისა საკუთარ თავში ვეძებ მამულს, რათა არ დავკარგო ის სანუკვარი მარგალიტი, რასაც საქართველოს სიყვარული ჰქვია.

სხვები თუ ეძებდნენ ჩემი სამშობლოს მარადისობის წყაროთსათავეს,

თუ ეძებდნენ და პოულობდნენ ოქროს საწმისს,

თუ ეძებდნენ და პოულობდნენ გრაალის დიდებას,

ბოლოს და ბოლოს თუ ეძებდნენ და პოულობდნენ თავშესაფარს იმ ულმობელ დროში, როცა თემურ-ლენგისა და მონღოლების, სპარსებისა და ოსმალების ფეხთქვეშ ქართული მიწა იწვოდა, ბოლოს რუსეთის ჩექმის ქვეშ ლაზარესავით მოკვდა და ელის მხსნელის მეორედ მოსვლას, რათა აღადგინოს მისი გარდასული დიდება, მე მით უფრო ვალდებული ვარ ვეძებო საქართველო, კი არ გავექცე მას, არამედ ამ სიშორიდან დავიახლოვო. არათუ მხოლოდ ბაღ-ვენახები, მთები, ზვრები და ზღვები, არათუ გეოგრაფიული არეალი, არამედ უმთავრესად ის სამშობლო ვეძებო და ვიპოვო, რომელსაც ასე გულმოდგინებით შენატროდა რუსთაველი, რომლისთვისაც გულმხურვალედ ლოცულობდა თამარი, რომლისთვისაც იბრძოდა დავითი. ვეძებო ის უნიკუმი, რაც ოდითგან ჩვენი იყო და ვიდრემდის ცოცხლები ვიქნებით, ჩვენივე იქნება, რადგან სამშობლო მხოლოდ მიწა არაა ნახევარსფეროებზე, განედებსა და გრძედებზე მოცემული. ჩვენ კი „არ გავცილებულვართ მერიდიანებსო“, - დაიღიღინა ერთხელ ირაკლი აბაშიძემ.

ვეძებ, რადგან მიწა-წყალი მარტო ჩვენ კი არ მოგვმადლა უფალმა, არამედ ეს ხელთუქმნელობა მთელს სამყაროში განავრცო მომხიბლაობად;

ვეძებ, რადგან ჩემს სამშობლოში მარტო გეო-პოლიტიკურ მდებარეობას არ უყურებს არც მტერი და არც მოყვარე;

ვეძებ, რადგან სამშობლო მარტო მატერიალური თვალსაზრისით არ განისაზღვრება;

ვეძებ, რადგან მთელი სიმდიდრე ეროვნული სულისკვეთებისა უპირველეს ყოვლისა ადამიანებშია, ჩემს თანამემამულეებშია განივთებული უკვდავებად;

და მე ვეძებ ადამიანებს, ჩემს ქართველ ძმებსა და დებს, მამებს და დედებს, ბაბუებსა და ბებიებს, შვილებსა და შვილიშვილებს, არათუ გათითოკაცებულს რაღაც ნიშნის მიხედვით, არამედ მთლიანად, ყველას ერთად, ყველა ერთმანეთს რომ ჰგავნან, და მაინც, ყველა მათგანი რომ განუმეორებელ ინდივიდად რჩება;

მე ვეძებ ქართველი კაცის კრებით სახეს, მის სრულ სახისმეტყველებას, რადგან ამ სახის მოდგმაშია დამალული ოქროს საწმისიცა და გრაალიც. ჩემი სამშობლოს ამ ცოცხალ ორგანიზმში, რასაც ქართველი კაცი ჰქვია, ლაზარეს საკრალური სიკვდილი და მისი აღდგინებაა დამალული, ვიდრემდე უფალი დიდებით მოვა მეორედ, განსჯად ცოცხალთა და მკვდართა.

იქნებ ამ კაცის საძებრად მიდიოდნენ არგონავტები, ტევტონები თუ ტამპლიერები. იქნებ მრგვალი მაგიდის რაინდები ასეთ კრებით სახეს ეძებდნენ ქრისტეს კუნძულზე, განსახიერება რომ იქნებოდა სიბრძნის, რწმენისა და ხელმწიფების. იქნებ ერის მარადი მამის საზოგადო სახე ჰქონდა დავით აღმაშენებელს, ადგილის დედისა კი - თამარ მეფეს, როდესაც ეს სახეები არავის არა ჰგავს ქართველთაგანს, ხოლო ყველა ქართველი მათ ჰგავს.

მე პირველად საკუთარ თავში ვეძებ, როგორც ქართველი, ერის გენეტიკურ კოდს, მომადლებულს ღვთისაგან - იმ დიდ მადლმოსილებას, რაც გადმოედინება მაცხოვრის კვართიდან, ელიოზ მცხეთელს რომ მოჰქონდა ხელის კანკალით თავისი დისთვის მართალი სიდონიასთვის, ახლა ჩემი სამშობლოს გულისგულში რომ არის ჩამარხული ყველაზე დიდ საგანძურად. მე იმ ცხოველსმყოფელი სვეტის გადმონადენ ღვთიურ კეთილშობილებას ვეძებ ჩემში, ასე-რიგად რომ გაბნეულია ყველა ქართველში, სვეტი-ცხოვლისა, მთავარანგელოზის ხელით რომ დაიდგა სვეტიცხოველზე და იმ დღიდან მოისმის ქართული გულისცემა ღვთისთვის და ერისთვის. ამ გულისძგერას ვეძებ მე ჩემი მამულისას აქ ამ შორეულ ქვეყანაში და ვეძებ ჩემს გულისძგერაში. ვეძებ და ვიპოვი, და ამაში დარწმუნებული ვარ, მეც ქართველი ვარ, და მიტომ. აქ სიზმრები განზე უნდა გადავდოთ, რადგან სიზმარი ცდომილებაცაა და ნოსტალგიის აღმძვრელი არარაისიც. წმიდა ნინოს ნაწნავით შეკრული ვაზის ჯვრის ძლევამოსილება მე ჩემდაწილ სამშობლოს მაპოვნინებს, იმას და ისეთს, როგორიც სანეტაროა ყველა დროის მამულიშვილისთვის. სამშობლოზე ფიქრი ყოველთვის უსაზღვრო სევდის აღმძვრელია, სევდისა, რომელიც საუკუნეობრივ ქურაში იწრთობა.

ალბათ ყველაზე მთავარს ვეძებ ჩემს თავში - ამირანის ცეცხლს, ასე-რიგად რომ გამოატარა საკუთარ გულებში ჩვენმა პაპებმა და დღესამომდის მოიტანა ცეცხლოვანი შემართება ქართული სულის, მეც რომ მეწილადა ჩემი წინაპრებიდან სვანეთის მაღალი მთიდან, რამეთუ ჩემი წარმომავლობა სვანურია, იმერეთს რომ ჩამოსახლდნენ ბოლოს. სვანეთშია ის სიახლოვე ამირანთან, იმ ცეცხლის დაუწვავი სიმხურვალის მუხტი იქიდან მოგვდგამს. ნაღვერდალი ღვივის ნაცარში, ქარი და ნიავი რომ არ აძლევს ჩაქრობის საშუალებას.

მეც, რამდენ ქარიშხალგამოვლილს, მწყურია ამირანის ცეცხლით დავიწვა გონება, რათა სხვა განზომილებაში მყოფს ისე დავინახო ჩემი მამული, როგორც არავის დაუნახავს აქამომდის, ან დაუნახავს და არ აღმოხდენია მისი სადიდებელი, ან უთქვამს და ხმა მღაღადებლად დარჩა უდაბნოსა შინა. დაუწვავ ცეცხლზე უკეთესი რა უნდა იყოს ცეცხლოვან ჟინში აღტკინებული ყმაწვილკაცობისთვის. მე რომ მიყვარს ჩემი სატრფო და ვიწვი სიყვარულის ცეცხლით, ესაა ამირანის ცეცხლის პატარა მონაკვეთი, მე რომ ქართული ოფლით გამონაჟურ ღვინოს ვსვამ და ბახუსის ნაპერწკლები თავდავიწყებაში გადამისვრის, ესაა იმ ცეცხლით განათებული გონება, გრაალს რომ ვიპოვი ჩემში და ზედაშით უფლის სადიდებელს ვიტყვი პირველ ლოცვად, აქ, ჩემში განისვენებს ცხოველ სვეტად მაცხოვრის კვართის მადლი, სიდონიას სიყვარული და ელიოზის ერთგულება უფლისადმი...

ქვეყნიერების ზურგზე რომ დავეხეტები და ვეძებ ყველგან ჩემი სამშობლოს ნიშს, მსგავსებას მასთან, ამაში ვენათესავები პარსიფალს, ლანსელოტსა და ტამპლიერებს, ისინიც ეძებდნენ რაინდული შემართებით წმიდა გრაალს, უფლის სიმბოლიკას, სატრფოსთვის რომ თავს გაწირავდნენ, ეს სატრფო კი სამშობლოს ალეგორია რომ იყო ამ შემთხვევაში, რადგან სატრფოს, ანუ სამშობლოს ხსნა სჭირდება ქაჯავეთის ციხიდან. ევროპული რაინდობა ხომ რუსთველისეული რაინდობაა, იგივე გრაალის რაინდობა, ევროპამ ჩვენგან ისწავლა ამ ნიჭის გამომჟღავნების უნარი, და მიტომ. ჯვაროსნებსავით ვაგებ მარადი სამშობლოს ოცნების კოშკებს, რათა საბოლოო ჯამში მწარე რეალობამ დაანგრიოს მისი გოდოლი, მე კი ისევ და ისევ ვეძებო, ამჯერად ნამსხვრევები ჩემი ოცნების, რათა მის გამო ყოველგვარი უაზრობა და უმსგავსობა გადავლახო, შემრცხვეს ჩემი ნამოქმედარის იმიტომ, რომ სამშობლოა თვითონ სისპეტაკე და უნდა განვიწმიდოთ ამ გზაზე, რათა სამშობლოში პირნათელნი დავბრუნდეთ სამშობლოსავით მართალნი.

და მაინც, მე ვარ ადამიანი, მოკვდავი, ჩემი მისწრაფებებითა და სურვილებით მიწიერი, ამიტომ სულიერი სამშობლოს მოპოვების შემდეგ მისი განამდვილების სურვილი მიჩნდება, რადგან სამშობლო მარტო აბსტრაქცია არაა, ის რეალურად არსებულ სამყაროს ნაწილს წარმოადგენს და შორეულ ქვეყანას თავშეფარებული ყოველის მხრივ ვცდილობ შევივსო დანაკლისი მამულის ხილვისა.

თითოეულ ფოტოსურათს საქართველოს პეიზაჟისას თვალებით ვჭამ და ვერ ვძღები მათი ცქერით, ტელევიზიით ვუყურებ სიუჟეტებს და როგორც კი ქართული სიტყვა შემომესმება, იქვე მძაფრდება ჩემი ყურადღება. მართალია, შემცირდა საქართველოდან ამერიკის მიმართულებით ქართველთა გადინება, მაგრამ ვინც კი სტუმრად ჩამოდის, პირველყოვლისა ხარბად ვუსმენ მათ მეტყველებას, ასე-რიგად რომ გადაჩვეულია ჩემი სასმენელი მშობლიური მეტყველების მოსმენას. შემდეგ ვკითხები, ყველაფერს ვკითხები, უმნიშვნელოდ წვრილმან დეტალებამდე ისე, რომ შეიძლება თავიც მოვაბეზრო ათასგვარი კითხვებით, ასე უაზროდ რომ ეჩვენებათ ზოგიერთებს. ისეთ რამეებზე ვუმახვილებ ყურადღებას, რომ არ დაკვირვებია საქართველოში ყოფნისას იგი ამას.

აი, რასაც არ დაკვირვებია და რაზეც ჩემი ინტერესი შეჩერდა, სწორედ ესაა სამშობლო, მისდამი ნოსტალგიური წყურვილი. ალბათ, მეც არ დავაკვირდებოდი ასეთ დეტალებს, საქართველოში რომ ვყოფილიყავი, ალბათ მეც ასე მომაბეზრებდნენ თავს უსაშველო კითხვებით, სანამ არ მაპოვნინებდნენ სამშობლოს ამ კითხვა-პასუხებში.

იქნება ასეც იყო ათიოდე წლის წინ, როცა პირველად დავდგი ფეხი ამერიკის კონტინენტზე?!

პარსიფალისგან განსხვავებით, მე კითხვებს კითხვებზე ვსვამ იმიტომ, რომ ყოველგვარი ეტიკეტების გარეშე ვარ მოწადინებული, ვიპოვო ის სანუკვარი ათვლის წერტილი, სამშობლო რომ ჰქვია, რადგან ჩემი გრაალი ჩემი სამშობლოა, კითხვების დასმა არ მეუხერხულება, და მიტომ. ამით ცხოველ მოქმედებაში მოდის სტუმარმასპინძლობის საკრალობა და სიცოცხლე ივსება ცხოვრებით.

გარდა ამისა, ვსარგებლობ სატელეფონო თუ კომპიუტერული ურთიერთობით მეგობრებთან საქართველოდან. იქნებ თავსაც ვაბეზრებ ჩემი საგანგებო კითხვებით, მაგრამ ისინი გაგებით მეკიდებიან და მიამბობენ იმას, რასაც თუნდაც ფანჯრის მიღმა უყურებენ და მე ამით ვსაზრდოობ იმიტომაც, რომ ჩემს თვალწინ გადაშლილია მშობლიური ქალაქები, სოფლები, სამშობლო ბუნება - მდინარეები, მთები, გზები, ასე-რიგად რომ გვატარებს და გვაბრუნებს ცხოვრების ხვეულ-ხლართებში.

კილო-კავზე, რომლითაც მესაუბრებიან, ვხედავ იქაურ განუმეორებელ ბუნებას, რომელიც არსად ისეთი ტკბილი არაა, როგორც ჩემში აქ —

ის,

გონებაში რომ დატრიალდება ჩუხჩუხა თერგივით და გაიტანს ამ ზღვა ენერგიას საქართველოს ფარგლებს მიღმა და ვერავინ საზღვრებს ვერ დაუდებს თერგს,

ან ენგურსავით გზაჩაკეტილ თავშეკავებულ გადარევასავით ჩაივლის განხორციელება მთისა და ბარის ურთიერთშერწყმისა, იმ ენგურს მიღმა რომ ღია კარშია დარჩენილი დიდი ოცნება მთელი თაობების, - ტკივილი, საფლავები და მოსაგონარი,

ან რიონსავით მითად გადაქცეული ერთიანი კოლხური ფესვითი ძარღვები გადაშლილი ვაკე-დაბლობზე, სიზმრად რომ ხედავს აიეტის ცრემლგამშრალ დარდებს,

ან ჭოროხსავით მოქნილად მოტეხილი სხარტ სწრაფვას სილამაზისა და მარადისობისკენ, ასერიგად რომ ატყვევებს ზღვისფერი თვალების ხიბლი ზღვაში ჩაძირულ ოცნების ხომალდებს,

ან მტკვარსავით მეფურ დუდუნში მოსმენილი არასდროს არშობილი წყნარი ღამის ზღაპრები, სიჩუმეში რომ იძირება მთვარე ვარსკვლავების მომხიბლავ სიზმრებში,

ან არაგვივით ასხლეტილი ბუმბერაზი სიდიადე მამულის, ზეცამდე რომ ადის სიმმაგე მამულის შვილების, სიმღერასავით გადაფრენილი მთიდან მთაზე ექო-ნამღერი ცრემლის მომგვრელი.

მიყვარს მამული, მისი ყოველი პატარა წვრილმანით, სადღეგრძელოსავით ტკბილსასმენარი რომაა.

შინ ქართულ კერძებს ვამზადებ ისე, როგორც საქართველოში იციან, მათში ჩემი სამშობლოს გემოს ვაყოლებ - ყოველი კუთხის სპეციფიკურ კერძში თითოეულ მათგანს ვუყურებ, თითოეული კუთხის არომატით ვივსები. ღვინოსაც ვსვამ, მხოლოდ ქართულ ღვინოს, სამშობლოდან გამოგზავნილს და ვივსები საქართველოთი ისე, რომ დახრჩობას ვერ ვახერხებ, ძლიერ მიყვარს იგი, და მიტომ.

სანელებლები ხომ თითქოს მტვერია დაფქვილი ყვავილებიდან, მაგრამ საქართველოს ფეხის მტვერია ასე სათუთად შეგროვილი და მე ამიტომ ვიძირები ჩემი მამულის სურნელებაში. სადღეგრძელოდ ვამბობ სადიდებელს ჩემი გენისა და მოდგმისა, რადგან ამ ყველაფერში მე ჩემს თანამემამულეებს ვხედავ - რა მოხდენილები არიან კაცები, რა მომხიბლავები არიან ქალები...

ცეკვა გინდა?

გაშალე ხელი და იცეკვე, ფეხების მონასმევიდან წამოცვივდება ნაპერწკლები სამშობლოსი, ამირანმა საკუთარი მარადი ტყვეობის ფასად რომ დაგვიტოვა ყველა მამულის შვილს. ვცეკვავ, თუნდაც მოუქნელად, მაგრამ იმ ცეცხლის ნაკვესები ისეთივე ძალით იბნევა, როგორითაც გაიბნევა პროფესიონალ მოცეკვავეთაგან, მეც ქართველი ვარ, და მიტომ. თავში ვარდება ის ცეცხლი და ისე ღვივის, რომ გონებიდან გონებას გადაეცემა...

და ეს არ არის ხანძარი, ეს ზეიმია ეროვნული აღტკინებისა!

მე მიყვარს ჩემი სატრფო, არათუ განსახიერება დაჩაგრული სამშობლოსი, რომელსაც სჭირდება გამოხსნა ქაჯავეთიდან, არამედ მიყვარს ადამიანი, ქართველი, თვალ-წარბ-წამწამი რომ ქართული მოხაზულობითა აქვს დამშვენებული და მიყვარს არათუ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ესოდენ ლამაზია და მომხიბლავი, არამედ იმიტომაც, რომ მასში ვკითხულობ ქართველს, თორემ აქ შესაყვარებელი და გადასაყვარებელი ბევრია –

სხვადასხვა ფერისანი,
სხვადასხვა ხორცისანი,
სხვადასხვა რჯულისანი,

მაგრამ მე მიყვარს მხოლოდ ის, ვისკენაც მიმიწევს გული და გულიც იმიტომ მიმიწევს, რომ იგი უაღრესად ჩემეულია, ჩემი ფერისაა და ჩემი მოდგმის. გული ამიტომაც ირჩევს მახლობელად მონათესავე სულს და არა უცხოსა და მითუმეტეს საუცხოოს. ქართველი ქალის კდემაზე ლამაზი არაფერია ამქვეყნად, მისი კდემამოსილება ქვეყნიურ სილამაზეებსა და მშვენებებს მირჩევნია. მხატვრული აზროვნება სხვაა და ცხოვრებისეული რეალობა კიდევ სხვა, მაგრამ როცა ერთმანეთს ავსებენ სათქმელი და სამზერალი, ამაზე მომხიბლავი არაფერია, რადგან სიყვარული ასეთი მართალი მხოლოდ ჩვენში თუ იციან.

მე დონ კიხოტი არა ვარ, მაგრამ დულსინეა ტობოსელის მშვენება მეც მხიბლავდა და ვიპოვე სწორედ ის, ვინც ჩემს დონ კიხოტურ ბუნებას შეეფერება და მიყვარს, იმიტომ მიყვარს, რომ ასეთი სატრფონი დედამიწის არც ერთ წერტილში არ მოიძებნება, გარდა საქართველოსი. ყველას თავისი უყვარს, ჰოდა, მეც მიყვარს ის, ვინც ჩემს სამშობლოს მომაგონებს. ეს მე მიყვარს ასე, და ამიტომ, თორემ სხვას სხვა კრიტერიუმებით შეიძლება უყვარდეს თავისი სატრფო და სიყვარული, როგორიც არ უნდა იყოს, კი არ უნდა გაიგო, უნდა მიიღო და აღიარო ადამიანური გრძნობის ეს იდუმალი აღმოფრქვევა. მე რომ საქართველოში ვიყო, ალბათ ასეთი სიმძაფრით არ მეყვარებოდა არავინ, რადგან მამულში ყველანი ერთად ვიქნებოდით და არ მივანიჭებდი არსებით მნიშვნელობას წვრილმან ნიუანსებს, აქ რომ გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებ.

ამ ფიქრებში ვარ და მაგონდება კინოფილმი „ფესვები" - მთავარ გმირს გიორგი ზაქარეიშვილს სატრფო დაუტოვებია, რომელიც თურმე გულისსწორს ბოლომდე დალოდებია, სიცოცხლის ბოლომდე და ალბათ სიცოცხლის მერეც.

ვფიქრობ და მაფიქრებს ფილმის ეს დეტალი.

იქნებ მეც დავტოვე საქართველოში ჩემი მშვენიერი სატრფო და იგი მელოდება?! სწორედ ლოდინია და ლოდინისკენ მისწრაფება დიადი გრძნობა, რის ეპიცენტრშიც სამშობლო დგას, მისი დაუოკებელი წყურვილი. ვინძლო, უცხოობაში მთელი ცხოვრება გავატარო, მაგრამ ყოველთვის მექნება შინ დაბრუნების შეგრძნება, რადგან ვიცი, მოუთმენლად მელიან ჩემი თანამემამულეები და ჩემი დატოვებული და ჯერარწაშლილი ნატერფალები. სხვანაირად არც შეიძლება იყოს,

თუ
ლოდინი
დაივიწყა
სამშობლომ,
მაშინ
თვით
სამშობლოც
წარიხოცება
პირისაგან
მიწისა.

სამშობლოს რომ ტკივა, იმიტომ მტკივა მეც, რადგან ჩვენ ერთმანეთთან სულიერად გადაძარღვულნი ვართ და ერთმანეთს გადავცემთ ჩვენ-ჩვენს გრძნობებს.

თავადაც არ ვიცი რა არის ლოდინი, რადგან არავის ველი. თუ ვინმე შემოაღებს ჩემს კარს, ეს ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება, მეტი არაფერი. ლოდინით კი მხოლოდ სამშობლოში ელოდებიან სხვაგან წასულს, მხოლოდ შინ, სახლში, ოჯახში ელოდებიან გარეთ გასულ ოჯახის წევრს. თუ ოჯახს არ გააჩნია ეს შეგრძნება, დაქცეულია ის ოჯახი.

მიხარია, რომ ჩემს სამშობლოს გააჩნია ლოდინის გრძნობა და უსაშველოდ ძლიერი, მთლიანად საკუთარ სახეს რომ წარმოაჩენს კაცობრიობაში. მაცხოვარი - კეთილი მწყემსი ყოველთვის დაეძებს გზააბნეულ ცხოვარს. სამშობლო - სამწყსოა უფლის, სადაც თავი უნდა მოიყაროს ადამიანთა ცხოვრებამ, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი. მეც ერთ ასეთ ცხოვარად მიმაჩნია ჩემი თავი, არათუ მამულს მიღმა, არამედ მამულის გარეთ მყოფ ცხოვარად, ჩემი ცხოვრებაც მამულით სულდგმულობს მამულს გარეთ.

ამიტომ დამელოდება ჩემი სატრფო,
ამიტომ დამელოდება დედ-მამის საფლავები,
ამიტომ დამელოდებიან ჩემი დედმამიშვილები,
რადგან ამ ლოდინში იწრთობა სამშობლოს უსაშველო მოთმინება. ჩემში მონატრებაა ამ ლოდინის ფუჭად არჩავლის მალამო, მანძილია მხოლოდ შორი.

ჩემი გარდასული ფიქრების სიმყარე, ნამდვილობა სწორედ ნოსტალგიაში ვლინდება, რადგან აზროვნება არ არსებობს ზოგადი კონკრეტიკის გარეშე, ხოლო კონკრეტიკის ზოგადეროვნული არსი პიროვნულის გარეშე. ყველაფერი ეს ჯაჭვისებური რეაქციაა ჩემგან გამომდინარე და არამარტო ჩემგან. სხვათა გრძნობები და განცდები მე არ ვიცი, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები დიდია და ეს ქვეყანა ემიგრანტების მიერაა შექმნილი. აქ მე ვერავის გავაკვირვებ ჩემი გრძნობებით, ვერც სხვა გამაკვირვებს თავ-თავიანთი გრძნობების გადმოფრქვევით, მაგრამ ჩემში დავანებული ქართული სული განსაკუთრებული ძალისაა ისე, როგორც განსაკუთრებულია ჩემი მა-მუ-ლი!

**მანუჩარ კაჭახიძე**

*წერილს, ერთგვარ დღიურს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, მძიმე ისტორია აქვს. მისი ავტორი და ამ ისტორიის გმირი 28 წლის ქართველი დედაა, რომელიც, მეუღლესთან განშორების შემდეგ შვილს დააშორა ყოფილმა მეუღლემ, რომელსაც ხუთი წლის თომა (მოფერებით, მიმი) კვიპროსზე თავად გაატანა საკუთარი კეთილი ნებით და იმ არგუმენტით, რომ ბავშვი მამასაც ეკუთვნის.*

*ბავშვი და მამა საბერძნეთის მოქალაქეები არიან, დედა – საქართველოსი. საქართველოში აგვისტოს მოვლენების შემდეგ საბერძნეთში წაყვანილ თომას დაბრუნებაზე ეკას უარი შემოუთვალეს და მისცეს ერთადერთი არჩევანი იცხოვროს კვიპროსში, ყოფილი მეუღლის სახლში, რომ ჰქონდეს არის ერთადერთი შანსი - იყოს შვილთან ახლოს. ეკა დათანხმდა ამ ერთგვარ პატიმრობას, ფიქრის დრო ბევრი არც ჰქონია - ყოფილმა მამამთილმა საქართველოდან მანქანით გამოიყვანა ვიზის და შესაბამისი საბუთების გარეშე. პასპორტიც მეუღლის ოჯახმა გამოართვა საბუთების გაკეთების საბაბით. ხუთთვიანი პატიმრობის მანძილზე მისთვის საბუთების გაკეთება არც უცდიათ. მრავალჯერადმა საუბრებმა, მოლაპარაკების მცდელობამ ყოფილ მეუღლესთან და მის ოჯახთან უშედეგოდ ჩაიარა – თომას მამის სახლიდან არ ატანდნენ, თავად შეეძლო დაბრუნებულიყო საქართველოში – უსაბუთოდ, უვიზოდ, უსახსრებოდ.*

*უიმედო დედამ საქართველოს საკონსულოს მიმართა დახმარებისთვის. პასუხი ძალიან მოკლე დროში და ასეთივე მოკლე მიიღო – აღმოჩნდა, რომ კანონდარღვევით შემოსული მოქალაქე მოქალაქის უფლებით ვერ სარგებლობს, მას თავისი ქვეყნის საკონსულო ვერაფრით დაეხმარება.*

*ერთ დღეს სიტუაცია ოჯახში ისე გამწვავდა, რომ ეკა სახლიდან წამოვიდა. გადავიდა თავის ნათესავთან სხვა ქალაქში და თომას სანახავად რამდენიმე საათის გზაზე კვირაში რამდენჯერმე მიდიოდა, რომ სკოლაში შესვენებაზე ხუთიოდე წუთით მაინც ენახა შვილი.*

*ერთ დღესაც სრულიად უცნობმა ადამიანმა ის ცნობილ ადვოკატთან მიიყვანა, რომელმაც მის საქმეს ხელი უსასყიდლოდ მოჰკიდა და იმდენი მოახერხა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე თომა დედას მისცეს, მასთან ცხოვრობს, თუმცა სრულიად უსახსრებოდ - უსაბუთო დედას სამსახურში არავინ იღებს. ისევ უცნობი კეთილი ადამიანები ეხმარებიან დროდადრო. დედის მიერ დაწერილ ამ დღიურში მძაფრად შეიგრძნობა ის რეალობა, რასაც ბევრი ჩვენთაგანი ყოველდღიურ ცხოვრებაში ვუპირისპირდებით, იმას რომ დაუფიქრებლად ვდგამთ ნაბიჯს და ვთხოვდებით უცხოელზე... და ეს ბედნიერება ზოგჯერ ასეთი დასასრულით მთავრდება - ბრძოლით დედობისათვის!*



# ბრძოლა დედობისათვის!

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ მიმი წავიდა...

აეროპორტამდე არ გამიცილებია, აივნიდან გადავხედე, სულ ეს იყო...

მეგონა, ამით მიმის გავუფრთხილდი, მაგრამ მალევე გავაცნობიერე, რომ თავდაცვის ინსტინქტი დედაშვილობაშიც არსებობს.

მიმი წავიდა, უფრო სწორედ, გავუშვი... ბავშვს მამაც უნდა ჰყავდეს... ასე ვფიქრობდი მე, ასე ფიქრობდა ყველა ჩემს გარშემო.

აღმოჩნდა, რომ თავისუფლებასა და სიცარიელეს შორის არც ისე დიდი ზღვარია (!)

მე შემეძლო მიმის გრაფიკით აღარ მეცხოვრა - ცხრა საათზე არ დამეძინა, რვაზე არ გამეღვიძა, მაგრამ მალევე აღმოჩნდა, რომ საერთოდ აღარ მეძინებოდა, - არც რვაზე, არც ცხრაზე, არც ათზე...

არც დაღლილობის განცდას მივუტოვებივარ. პირიქით, მე დავიღალე იმაზე უარესით, ვიდრე ბავშვის მოვლა და მასზე მზრუნველობაა... მე დავიღალე საშინელი მარტოობის, უსუსურობის შეგრძნებითა და გაუსაძლისი მონატრების განცდით.

და დავიწყე ფიქრი... მიმი 5 წლისაა, 5 წელია დედა ვარ, მაგრამ სწორედ მაშინ დავფიქრდი პირველად დედა-შვილობაზე, დე-

დასარული მე-5 გვერდზე >>>

# არ გამომიგზავნოთ ამანათი

**ვისაც არ გამოგიცდიათ, ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოთ, მაგრამ სხვებისგან მაინც გექნებათ მოსმენილი, თუ როგორი არასასიამოვნო განცდაა, როცა სახლში ტელეფონის ზარი ან წერილობით მოსული შეტყობინება პოლიციაში ან სასამართლოში თქვენი გამოძახების შესახებ გაუწყებთ. ერთ დღეს შეიძლება, თქვენს სახლში გაისმას ზარი ან მოგივიდეთ წერილობითი შეტყობინება, რომ თქვენს სახელზეა ამანათია ჩამოსული და თბილისის აეროპორტს უნდა ეწვიოთ. ამანათის მიღება ვის არ გაუხარდება, მაგრამ მერწმუნეთ, სიხარული ნაადრევია. უცხოეთში მყოფი მეგობრისგან ან ახლობლისგან დიდი სიყვარულით გამოგზავნილი ამანათი, შეიძლება, აღმოჩნდეს ის, რაც თქვენს სიხარულს ტანჯვად აქცევს და განატრებინებთ, ამას სჯობდა, სახლში პოლიციიდან ან სასამართლოდან მომსვლოდა უწყებაო. საქმე იმაშია, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ საბაჟო და საგადასახდო კოდექსში შესული ცვლილებებით, განბაჟებას ექვემდებარება ნებისმიერი საფოსტო გზავნილი, რომლის ღირებულება 300 ლარს აღემატება. გადასახდელი თანხა უმეტეს შემთხვევაში იმხელაა, რომ, ფაქტობრივად, გამოგზავნილ ამანათს ხელმეორედ ყიდულობ.**

**ბევრი ამანათს იქვე ტოვებს ან ფიქრობს, ფულს ვიშოვი და მერე გავიტანო. ამასობაში კი იმხელა ჯარიმას აკისრებენ, ამანათის გატანა აზრს კარგავს. დაბეგვრას თავი დავანებოთ, იმდენი დეკლარაცია და ინვოისი გაქვს შესავსები, თავგზა აგებნევა, სამარადჟამოდ დასწყევლი მას, ვინც ამანათი გამოგიგზავნა და იმ ცოდვის კალოში ჩაგადგმევინა ფეხი, რომელიც საბაჟოზე ტრიალებს.**

**ამ მცირე ხნის წინ ხელისუფლებამ საზეიმოდ გამოაცხადა, რომ გაიხსნებოდა მაღაზია, სადაც იაფად გაიყიდებოდა საბაჟოდან ამოღებული კონტრაბანდული საქონელი. ასეთი მაღაზიები მართლაც გაიხსნა და აქ კონტრაბანდა კი არა, იმ ამანათებში ჩაწყობილი საქონელი იყიდება, რომელიც ხალხმა ვერ განაბაჟა ან დროულად ვერ გაიტანა, დაჯარიმდნენ, ჯარიმაც ვერ გადაიხადეს და სახელმწიფომ ჩამოართვა! საფოსტო გზავნილებისა და ამანათების უმეტესობა საქართველოში კომპანია „დი-ეიჩ-ელის" (DHL) საშუალებით ჩამოდის. მსოფლიოში სისწრაფით და საიმედოობით განთქმული ეს კომპანია ქართულ ბაზარზე 1994 წლიდან გამოჩნდა და ჯერ მომდურავი არავინ ჰყოლია, თუმცა, ბოლო დროს საბაჟოზე შექმნილი ვითარება მათ საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აგდებს. „დი-ეიჩ-ელის" მენეჯერი მალხაზ პაპელაშვილი იმ პროცედურებზე გვესაუბრება, რომლებიც უცხოეთიდან საქართველოში ჩამოსულმა ამანათმა ადრესატთან მისვლამდე უნდა გაიაროს.**

**– ბატონო მალხაზ, რა სახის გზავნილების გაგზავნა შეიძლება „დი-ეიჩ-ელით"?**

- გზავნილები არის რამდენიმე სახის. ეს არის ექსპრეს-გზავნილები, საჰაერო გზავნილები, საავიაციო ფრახტები და სახმელეთო ფრახტები. შეიძლება ყველაფრის გაგზავნა და ყველაფრის მიღება 100 გრამიდან დაწყებული, 24 ტონით დამთავრებული! უბრალოდ, იმის მიხედვით, თუ მომსახურების რომელ სახეზეა საუბარი, შეიძლება იყოს რაიმე შეზღუდვები. ექსპრეს-გზავნილებში შეიძლება იყოს რაღაც შეზღუდვა საავიაციო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შეიძლება საბაჟოზე იყოს რაიმე შეზღუდვა, თუმცა, არის სახიფათო ტვირთებიც, ანუ სპეციალური ფრახტი, რომლის გაგზავნის სპეციალური წესი და მეთოდი არსებობს.

მომსახურების სახეობის მიხედვით, სატრანზიტო ვადები სხვადასხვანაირია. მაგალითად, ჩინეთიდან კონტეინერი 45 დღე მოცურავს, ექსპრესი შეიძლება ჩამოვიდეს 2 დღეში. ვადები დამოკიდებულია საქონლის წონაზე, მომსახურების სახეობაზე და იმაზე, თუ რომელი ქვეყნიდან მოდის. ასევე ვითვალისწინებთ, თუ რა და როდის სჭირდება კლიენტს.

**– რაც შეეხება თქვენს ტარიფებს...**

- დადგენილი ტარიფები არის მხოლოდ ექსპრეს-გზავნილებში, დანარჩენი ყველაფერი არის ინდივიდუალური, გადანგარიშება ხდება იმის მიხედვით, თუ რა დროის განმავლობაში, რა ტრანსპორტით და რა ქვეყნიდან მოცურავს.

**– განბაჟება რომელ გზავნილებს ეხება?**

- განბაჟება ეხება ყველა გზავნილს, ანუ ფორმალურ საბაჟო პროცედურას გადის უბრალო წერილიც კი. **ყველა გზავნილი შედის საბაჟოში და ხდება მისი გატარება სკანერზე. შეიძლება, გადასახადი არაფერი იყოს, მაგრამ საბაჟოზე და საზღვარზე მაინც ამოწმებენ, ხომ არ არის ეს ნარკოტიკი ან რაიმე აკრძალული ნივთი.**

გასაგზავნი საქონლის ან ნივთის დათვალიერება ხდება გაგზავნის დროსაც. ასეა ჩვენთანაც და ასეა საზღვარგარეთაც. გადამგზავნი კომპანიის წარმომადგენელთან უნდა განაცხადოთ, რას გზავნით. ამის შემდეგ უნდა დაიპლომბოს გზავნილი. დახურულ გზავნილს კომპანია არ მიიღებს. ესეც ძირითადად საავიაციო უსაფრთხოების მოთხოვნაა. შეიძლება, გამგზავნმა არც კი იცოდეს და ისეთი რამე გაგზავნოს, რისი თვითმფრინავში შეტანაც აკრძალულია. ეს კონტროლი განსაკუთრებით გამკაცრდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ და დღითი დღე კიდევ უფრო ძლიერდება. მაგალითად, ახლა ბევრ აეროპორტში ჩამორთმევას ექვემდებარება მაკრატელი და ქლიბი.

**– როგორც გავიგეთ, საბაჟო გადასახადი უკვე რამდენიმე თვეა, ეხება საფოსტო გზავნილებსაც. იქნებ განგვიმარტოთ, როგორ იყო ადრე და რომელი გზავნილები იბეგრება ახლა საბაჟოზე?**

- ფიზიკური პირი არ იბეგრებოდა 1 500 ლარამდე ღირებულების საქონელზე, რომელიც არ იყო გათვალისწინებული კომერციული მიზნებისათვის. ასევე გამოგზავნილი ნივთები არ უნდა ყოფილიყო ერთგვაროვანი. **ანუ, ვთქვათ, რომ ყოფილიყო 3 ერთნაირი დიქტოფონი, რამდენიც უნდა გემტკიცებინათ, სამივე ჩემთვის მინდაო, გადასახადს მაინც გადაიხდიდით, რადგან ეს კომერციული მიზნებისთვის გათვალისწინებულ გზავნილად ჩაითვლებოდა.** ასევე იყო მედიკამენტებზე, ხშირად ამის გამო გვექმნებოდა უხერხულობა, ვეჩხუბებოდით მებაჟეს, რომ ადამიანს მკურნალობის სრული კურსისთვის სჭირდება რამდენიმე ფლაკონი ან ფირფიტა მედიკამენტი. მებაჟე თავს იმართლებს, რა ვქნა, კანონში ასე მიწერია, რომ ორი ერთგვაროვანი ნივთი ექვემდებარება განბაჟებას, თუნდაც ეს იყოს კალამი.

ჩვენ ვცდილობთ, დავიცვათ კლიენტის ინტერესები. ტვირთის დათვალიერება და იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა განბაჟდეს და რა - არა, ხდება კლიენტის მოსვლამდე. **კლიენტი მერე იგებს, რომ ტვირთი ჩამოვიდა და საბაჟო პროცედურაა ჩასატარებელი.**

**– ტვირთის დათვალიერების პროცესს თქვენი წარმომადგენელი ესწრება?**

- უმეტესწილად ჩვენ იქ ვართ და ვესწრებით ამ პროცესს, რომ რაიმე გაურკვევლობა არ მოხდეს, თუმცა, უცხოეთიდან საქართველოში თვითმფრინავები ძირითადად ღამის საათებში ჩამოდიან და მებაჟეს შეუძლია, ღამით გააკეთოს ეს.

**– დავუბრუნდეთ საბაჟო გადასახადს, რომელი ტვირთები იბეგრება დღეს საბაჟოზე?**

- როგორც გითხარით, ადრე განბაჟებას ექვემდებარებოდა ტვირთი, რომლის ღირებულება აღემატებოდა 1 500 ლარს. ახლა ეს ციფრი ჩამოვიდა 300 ლარამდე. ამ 300 ლარის ღირებულების ტვირთშიც შეიძლება, იყოს რაიმე ისეთი ნივთი, რომლის გამოც შეიძლება, პრობლემა შეიქმნას. მაგალითად, მედიკამენტი არ იბეგრება, მაგრამ მოგთხოვენ ცნობას, რომ ეს წამალი საქართველოში არის რეგისტრირებული.

**– ამ ცნობას მედიკამენტებზე აფთიაქებსაც აღარ სთხოვენ, თუ რეგისტრირებულია ევროპაში, აქაც ნებადართულია...**

- დიახ, ითვლება, რომ რაც აფთიაქშია, ყველაფერი რეგისტრირებულია, მაგრამ კერძო პირს ამას სთხოვენ. შეიძლება, ადამიანს სჭირდება ისეთი წამალი, რაც აქ არ არის რეგისტრირებული. მაშინ საბაჟოზე უნდა წარადგინოს ექიმის ცნობა, რომ აუცილებლად სჭირდება ეს წამალი. სხვათაშორის, ეს პრაქტიკა სხვა ქვეყნებშიც არის. მაგალითად, ამერიკაში „დიმედროლს" და „ვალიდოლს" ვერ შეიტან, რადგან იქ დარეგისტრირებული არ არის. არადა, ამერიკაში საქართველოდან ბევრია წასული, რომელიც შეჩვეულია „ვალიდოლს". ის ვერაფრით ვერ მიიღებს ამ წამალს, თუ ექიმის დანიშნულება არა აქვს.

**– როდესაც მე ვგზავნი გზავნილს, რის თანხას ვიხდი ან რა თანხას იხდის ის პირი, რომელიც მე მიგზავნის გზავნილს?**

- **პირი, რომელიც გზავნის გზავნილს, იხდის მხოლოდ ტრანსპორტირების თანხას. სხვა გადასახადებს იხდის მიმღები.** ეს გადასახადები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ჩვენთან, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო კანონმდებლობა იყო, როცა 1 500 ლარამდე ღირებულების საქონელი არ იბეგრებოდა, მაგრამ, როგორც გითხარით, ეს ციფრი ჩამოსწიეს ძალიან დაბლა, 300 ლარამდე! ამას ემატება ისიც, რომ **დეკლარაცია, რომელიც გზავნილის მიმღებმა უნდა შეავსოს, არ არის მარტივი.**

**– მოდით, უფრო დავაკონკრეტოთ, თუ მე მივიღე გზავნილი, რომლის ღირებულება აღემატება 300 ლარს, რამდენი უნდა გადავიხადო?**

- საბაჟოზე გადასახდელია საბაჟო გადასახადი საქონლის ღირებულების **12%**-ის ოდენობით, **დღგ - 18 %-ის ოდენობით** და საბაჟო მოსაკრებელი, რომელიც 3 000 ლარამდე ღირებულების საქონელზე არის **5 ევრო** და 3 000 ლარზე მეტი ღირებულების საქონელზე - **60 ევრო.** არის ტვირთის გამონაკლისი სახეობები, რომელიც შეიძლება გათავისუფლებული იყოს დაბეგვრისაგან, მაგალითად, რაღაც წამლები გათავისუფლებულია, მაგრამ მას ჯანდაცვის სამინისტროს ნებართვა სჭირდება, გათავისუფლებულია ბავშვთა კვება. აგერ უკვე **2-3 კვირაა,** ბევრი საქონელი გამოვიდა თავისუფალი რეჟიმიდან და დაბეგვრას დაექვემდებარა.

**– დღგ-ს ყველა იხდის?**

- დღგ-ს იხდი მაშინ, თუ საბაჟოზე ჩათვლიან, რომ ტვირთი, რომელიც შენ მიიღე, განკუთვნილია ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც დღგ-თი დაბეგვრას ექვემდებარება.

**– ანუ გამოდის, რომ, თუ მე რაღაც საჩუქარს მიგზავნიან უცხოეთიდან, ის მაინც მე უნდა ვიყიდო?**

- საჩუქრის ცნება საბაჟო კანონმდებლობაში 1998 წლიდან არ არსებობს. გამომგზავნმა რომც დაგიწეროს, რომ საჩუქრად გიგზავნის, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ეს „საჩუქარიც" უნდა განაბაჟო. შეიძლება, არ იყოს 300 ლარზე მეტი ღირებულების, მაგრამ იყოს ორი ერთნაირი ნივთი, ვთქვათ, თქვენთვის და თქვენი დისთვის ან ძმისთვის, ესეც უნდა განაბაჟო!

**– ვინ აფასებს გამოგზავნილი საქონლის ღირებულებას?**

- აქაც ბევრი ხვდება **საბაჟოს კლანჭებში.** გზავნილის პირველი შემფასებელი არის გამომგზავნი, მან იცის, რა ღირებულების საქონელს გიგზავნით, ავსებს ინვოისს, სადაც წერს, თუ რა ღირს ეს ნივთი, მაგრამ საბაჟოს შეუძლია, დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მას. ადრე იყო, მერე გაუქმდა და ახლა ისევ შემოვიდა ე.წ. სტატისტიკური ღირებულების ცნება. ანუ საბაჟოს მიერ თქვენთვის გამოგზავნილი საქონლის შეფასებისას დადგენილი ციფრები ეფუძნება რაღაც სტატისტიკას და დეკლარაცია უნდა გააკეთოთ სწორედ ამ სტატისტიკური მონაცემებით. კიდევ უფრო დაწვრილებით რომ განვმარტოთ, ყველა ნივთს თავისი კოდი ენიჭება, დეკლარაციის შევსების დროს კომპიუტერში ამოვარდება, რომ მისი სტატისტიკური ღირებულება არის, ვთქვათ, 100 დოლარი. თუ შენ არ ეთანხმები ამას და ამბობ, რომ ეს ღირს 50 დოლარი, უნდა დაწერო წერილი, გაგზავნო საგადასახადოში, ისინი განიხილავენ, ან „ჰოს" გეტყვიან და ან - „არას". ამასობაში ტვირთი ინახება საბაჟოზე და ჩართულია შენახვის მრიცხველი, ანუ ემატება შენახვის ღირებულება და **თუ თქვენ 10 დღეში საგადასახადოსგან 10 ან 50 დოლარით გათავისუფლებას მიაღწევთ, სამაგიეროდ, ამ 10 დღეში საბაჟოზე ტვირთის შენახვა შეიძლება 100 დოლარი დაგიჯდეთ.** კერძო პირებისთვის ამის მიღწევა საერთოდ გამორიცხულია. ფინანსთა სამინისტროს საიტზე არ დევს ინფორმაცია, თუ რა რა ღირს. ბიზნესმენებს კი ბროკერებისა და დეკლარანტების საშუალებით მიუწვდებათ ამაზე ხელი და უფრო მომზადებულები არიან. როცა ტვირთი უკვე საბაჟო საზღვარზეა, იქ ვერაფერს გააკეთებ, შეიძლება პირიქით, ისეთი ჯარიმები აიკიდო, რასაც ვერ წარმოიდგენ. **მაგალითად, თუ 20 დღის განმავლობაში არ განაბაჟებ საქონელს, ამაზე 500-ლარიანი ჯარიმაა!**

**– ვთქვათ, მყავს ახლობელი უცხოეთში, რომელსაც უნდა მასიამოვნოს და გამომიგზავნა ამანათი. მე არ აღმომაჩნდა მისი განბაჟების საშუალება, რა მოხდება?**

- **თუ 20 დღის განმავლობაში ამ ტვირთს არ წაიღებ, ავტომატურად 500-ლარიანი ჯარიმა გაქვს. ამის შემდეგ უნდა დაწერო განცხადება, რომ ვერ იშოვე ფული და კიდევ 20 დღე გაგიგრძელონ.** ამ ვადას უკვე ვეღარ გადააცილებ. მაშინ თავიდანვე უნდა დაწერო განცხადება, რომ მასზე უარს ამბობ!

**– და ამანათი უკან დაბრუნდება?**

- არა, თქვენი ამანათი მიაქვს სახელმწიფოს! **უარის თქმა გულისხმობს მის სახელმწიფო სარგებლობაში გადაცემას.** თუ გინდა, რომ გამომგზავნს უკან დაუბრუნდეს, მაშინ უნდა დაწერო განცხადება, რომ უარს ამბობ არა სახელმწიფოს სასარგებლოდ, არამედ გინდა, უკან დააბრუნო, მაგრამ ამ შემთხვევაში უკან დასაბრუნებლად ტრანსპორტირების ხარჯები თავად უნდა აანაზღაურო, რადგან გადამგზავნ კომპანიას თავისი მოვალეობა ერთხელ უკვე შესრულებული აქვს. **ამანათის გამომგზავნისთვის დაბრუნება შეიძლება იმაზე ძვირი დაგიჯდეთ, ვიდრე განბაჟებაა.**

**– გამოდის, რომ გამოგზავნილი ამანათი „დი-ეიჩ-ელს" სახლში ვერ მოაქვს?**

- სახლში მიტანა პრობლემა არ არის, თუკი საქონელი განბაჟებულია. უბრალოდ, განბაჟების პროცედურას თავად უნდა დაესწროთ და ამისათვის მაინც გიწევთ საბაჟოზე მისვლა. ჩვენც ვთავაზობთ კლიენტებს, რა ურჩევნიათ, თავად განაბაჟონ ტვირთი თუ ჩვენმა წარმომადგენელმა. **როცა კლიენტი თავად მიდის განსაბაჟებლად და გაივლის საბაჟოზე იმ ქარცეცხლს, ძალიან მაგარი ნერვები უნდა ჰქონდეს, რომ ამანათი ისევ იქ დატოვოს.** ექსპრეს-გზავნილების წონა ძირითადად 5 კილოგრამს არ აღემატება, მაგრამ თუ ტვირთი მძიმეა და თავად ვერ წაიღებს სახლში, განბაჟების შემდეგ კურიერები მიუტანენ.

**– საინტერესოა, სხვა ქვეყნების კანონმდებლობით როგორ რეგულირდება საფოსტო გზავნილების დაბეგვრა?**

- მე ვიცნობ ამაზე უფრო ცუდ კანონმდებლობასაც და უფრო კარგ კანონმდებლობასაც.

**– რომელ ქვეყნებშია უფრო ცუდი და რომელში - უფრო კარგი?**

- ამაზე ცუდი არის ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში. იმეწზე და აფრიკაზე აღარ ვლაპარაკობ. ჩვენზე უარესი მდგომარეობაა აზერბაიჯანში, უზბეკეთში, უკრაინაში, უარესი იყო რუსეთში, თუმცა, ერთი თვის წინ, როცა ჩვენთან დასაბეგრი გზავნილის ღირებულება 1 500-დან 300-მდე ჩამოვიდა, რუსეთში 100 დოლარიდან 1 000 დოლარამდე ასწიეს.

საბაჟო ყველგან მძიმე ორგანოა, გადასახადების თვალსაზრისით შეიძლება ბევრგან ჩვენზე უარესი მდგომარეობა იყოს, მაგრამ აქ საუბარია სხვა რამეზეც, კერძოდ იმაზე, თუ რამდენად მოხერხებულია ეს პროცედურა ადამიანისთვის. კლიენტს პრეტენზია სწორედ ამაზე აქვს - იმ დღეს უწევს სამსახურის გაცდენა, უწევს მთელი დღის დაკარგვა, ათასი ფურცლის შევსება, მერე შეავსებ და შეიძლება, არ მოეწონოთ, რაღაც მიზეზით უარი გითხრან.

ფინანსთა სამინისტრომ გააკეთა საიტი, თქვენ შეგიძლიათ, იყოთ სახლში, ამ საიტით შეავსოთ დეკლარაცია, საიტზე მითითებულია, სად და რა გადარიცხოთ, როცა ფულს გადარიცხავთ, მერე შეგიძლიათ დარეკოთ, საბაჟოზე გადაამოწმებენ, ჩაირიცხა თუ არა თანხა და კურიერები სახლში მოიტანენ თქვენს ტვირთს, მაგრამ ინტერნეტით ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც ამაზე არის სპეციალიზირებული - საქონლის კოდიფიკაცია უნდა იცოდე, უნდა განსაზღვრო კონკრეტულად, რა გაქვს გადასახდელი, დღგ, საბაჟო გადასახადი თუ საბაჟო მოსაკრებელი... **თუ რაიმე შეგეშალა, ჩაითვლება, რომ საგადასახადო მოატყუე და ამაზე კიდევ ჯარიმაა.** არ არის ისეთი მიდგომა, რომ ადამიანს, რომელსაც ასეთი უფლება მიეცი, შეიძლება რაიმე შეეშალოს.

**– ეს ყველაფერი როგორ მოქმედებს თქვენი კლიენტების რაოდენობაზე?**

- რაც უნდა დამძიმდეს პირობები, კლიენტების რაღაც რაოდენობა ყოველთვის იქნება, მაგრამ რაც მეტი თავისუფლებაა, მეტია კლიენტიც. რომ ვთქვა, კარგად მოქმედებს- მეთქი, ხომ არ დამიჯერებთ? **საგადასახადო კანონის გამკაცრება მოქმედებს ცუდად არა მხოლოდ ჩვენზე, არამედ ზოგადად ბიზნესზე. რაც მეტი გადასახადი იქნება, უფრო მეტად შემცირდება ბიზნესი.**

**– რუსეთში ან რუსეთიდან გზავნილებზე პრობლემები ხომ არ გექმნებათ?**

- აქ პრობლემა ის არის, რომ პირდაპირი კავშირები აღარა გვაქვს. საბუთების და დოკუმენტაციის გაგზავნა უფრო იოლია, რაც შეეხება სხვა ტვირთებს, ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ კლიენტებს, რომ არც მიიღონ და არც გაგზავნონ, თუ რაღაც ძალიან აუცილებელი არ არის.

**– რატომ აძლევთ ასეთ რეკომენდაციას?**

- იმიტომ, რომ როცა რუსეთის საბაჟოზე ქართველს დაინახავენ, ძალიან აწვალებენ. ჩვენ ვაფრთხილებთ, რომ მზად იყვნენ პრობლემებისთვის.

**– მსოფლიოს ყველა წერტილში გზავნით გზავნილებს?**

- თუკი რაიმე ოფიციალურად აღიარებული ტერიტორიაა, ყველგან. მალე მთვარეზეც გავგზავნით *(ღიმილი)*.

**P.S. ერიდეთ უცხოეთიდან გამოგზავნილ ამანათებს! იგი შეიძლება, თქვენი მტრების გამოგზავნილი აღმოჩნდეს, რადგან ასეთი საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის პირობებში მოკეთე ნამდვილად არ გააკეთებს ამას!**

ესაუბრა
**თეა ასათიანი**

ალბათ, ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ 2010 წლის 1 იანვრიდან სამოქალაქო რეესტრის და საჯარო რეესტრის კიდევ ერთი რეესტრი შეემატა – მოვალეთა რეესტრი. ეს არის მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომელშიც მოხვდება ყველა ის ფიზიკური, იურიდიული პირი და ორგანიზაცია (სახელმწიფო ორგანოების გარდა), რომელთაც ბანკის ან სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიმართ ქონებით არაუზრუნველყოფილი დავალიანება აქვთ და ვალს ვერ იხდიან. ამ ადამიანების ქონებას, სასამართლოს ან არბიტრაჟის შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ, 7 დღის ვადაში აღმასრულებელი აუქციონზე გაიტანს და გაყიდის. აუქციონზე უკვე 600-მდე ადამიანის ქონება გატანილი და გაყიდულია!



# ნოდარ ჯავახიშვილი: ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად მოჰყვება რევოლუცია!

**- ბატონო ნოდარ, როგორ აფასებთ ქვეყანაში ასეთი სტრუქტურის შექმნას?**

- [illegible] ფოს ვალი არ არის ის ანაბრები, რომლებიც ბანკებში შეიტანეს მოქალაქეებმა და არ აბრუნებენ? მერე რა, რომ ის სხვა მთავრობის დროს მოხდა? შენ თუ პრეტენზია გაქვს, რომ ხარ სახელმწიფო და ხელისუფლება, რომელიც ხალხზე ზრუნავს, ვალი უნდა დააბრუნო! თორემ, რა გამოდის? მე თუ მაქვს შენი ვალი, რაკიღა სასამართლოც შენია და აღმსარულებელი ორგანოებიც, ამიტომ შეიძლება, ყველაფერი წამართვა და თუ შენ გაქვს ჩემი ვალი, მე უნდა წავიდე სტრასბურგში, რადგან აქ სამართალს ვერ ვიპოვი?

ხელისუფლება ამით პირდაპირ ხაზს უსვამს, რომ ის არის ბანკების და ზოგიერთი ასეთი სტრუქტურის მოწილე. რას ნიშნავს, რომ აღსრულება, ანუ ქონების ჩამორთმევა მოხდება მიუხედავად იმისა, ვალი აღებულია ქონებრივი უზრუნველყოფით თუ მის გარეშე? ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება მზად არის, ბანკების დანაშაულებრივი ქმედებები დაფაროს. ყველა ქვეყანაში ბანკებს აქვთ უფლება, საბანკო კრედიტი გასცენ თავიანთი რისკის ქვეშ. თუკი ბანკს ჩემი ლამაზი თვალები მოეწონება, მხოლოდ ამის გამო მომცემს სესხს და ქონებას არ ჩამადებინებს, ეს მისი რისკია და მანვე უნდა აგოს პასუხი. რას ჰქვია, ქონება დამიყადაღებს? საბანკო კრედიტის პროცენტში დევს ეს რისკი და სწორედ ამის გამო ვიხდი პროცენტს. ხელისუფლება რატომ იღებს საკუთარ თავზე ბანკის რისკს და რატომ არ მიცავს მე?

**- ახლა, როგორც აცხადებენ, კრედიტორის ქონება აუქციონზე გავა ნახევარ ფასში, რამდენად სწორია ეს?**

- აი, ეს კიდევ ერთი დიდი უსამართლობაა. როცა ვალს ვერ გადაიხდი და ქონებას გაიტანენ აუქციონზე, თურმე, ნახევარ ფასში უნდა გაიტანონ. რატომ? კრედიტის გაცემის დროს ხომ მოვიდნენ ბანკის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შეაფასეს ქონება და ყველა ვარიანტში იმაზე მეტი ჩაგადებინეს, ვიდრე სესხი მოგცეს. ახლა კი გეუბნებიან, რომ ეს ქონება ნახევარ ფასში უნდა გაგიყიდონ. გესმით, რაშია საქმე? ანუ, აქ მთავარია, რომ როგორმე ქონება გაგიყიდონ, როგორმე დაგაზარალონ. სხვა რა მიზეზით უნდა გამოიტანონ ნახევარ ფასში? თუ ბანკს შეეშალა, შენ სახელმწიფო რომ ხარ, რატომ არ დგახარ შენი მოქალაქეების გვერდით?

მე რომ შემეშალა, ამისთვის ხომ ათასმაგად მაზღვევინებთ?

ყველა წესით და კანონით, აუქციონზე გატანილ ქონებაზე ფასი მცირდება მას შემდეგ, როცა მას პირველად და მეორედ ვერ გაყიდიან. როცა პრივატიზაციებს ატარებენ, მაშინ, თუ არ უნდათ, ათჯერაც რომ გაიტანონ ქონება გასაყიდად, მაინც არ ამცირებენ ფასს და ამ საცოდავ ხალხს ეუბნებიან, რომ ქონება ნახევარ ფასში უნდა გაუყიდონ. ცხადია, ხელისუფლების ერთადერთი მიზანია, როგორმე დაგვტოვონ უსახლკაროდ და ქონების გარეშე, ანუ პირდაპირ იწყება ტერორი. აბსოლუტურად არ მესმის ამ ხელისუფლებისა, როცა უზარმაზარ ფულს ხარჯავენ წინასაარჩევნო კამპანიაში ხალხის გულის მოსაგებად და არ ფიქრობენ იმაზე, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულება ქვეყანას რევოლუციამდე მიიყვანს. დიახ, ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რადგან მარტო კრედიტინფოში 300 000 მევალის შავი სია იყო. ამ 300 000 კაცს ყველას ქონებას რომ გაუყიდიან, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება?

**- სხვა რა გზით შეიძლებოდა, ბანკს ამოეღო ვალები, რომელსაც მოქალაქეები ვერ აბრუნებენ?**

- თუ ბანკმა სესხი გასცა, რომელშიც ჩადებული იყო ქონებრივი უზრუნველყოფა, ცხადია, ის ქონება უნდა გაიყიდოს. ამაზე არავინ დაობს, მაგრამ მინდა კიდევ უფრო კარგად აგიხსნათ, რას აკეთებენ ესენი. როცა ადამიანმა სესხის აღებისთვის მიმართა ბანკს, მოვიდნენ საკრედიტო ოფიცრები, ვთქვათ, შეუფასეს სახლი 50 000 აშშ დოლარად და მისცეს სესხი 25 000 აშშ დოლარი. ახლა ეუბნებიან, რომ ეს სახლი სულ არ აინტერესებთ, ამას ნახევარ ფასში გავიტანთ გასაყიდად და სხვა ქონებასაც გაგიყიდითო. რატომ? კრედიტორს ხომ ასეთი ვალდებულება არ ჰქონია აღებული? მას ჰქონდა ვალდებულება, რომ თუ არ დაფარავდა სესხს, ბანკი გაუყიდდა სახლს და მორჩა. **ცხადია, რომ აქ მხოლოდ ბანკის მიერ გაცემული თანხის ამოღების ინტერესი კი**

*თუ თქვენს სახელზე არანაირი უძრავი ქონება არ ირიცხება, გულს ნუ დაიმშვიდებთ, იძულებითი აღსრულების პროცესს ხანდაზმულობის ვადა არ განუსაზღვრეს.* ***მოვალეთა რეესტრში მოხვედრილი ადამიანი ამ სიაში დარჩება მანამ, სანამ ვალს ბოლომდე არ გადაიხდის, კანონი აღმასრულებელს მოვალის სახელზე ათეულობით წლის შემდეგ დარეგისტრირებული ქონების დაყადაღებისა და გაყიდვის უფლებასაც აძლევს. ხოლო თუკი ქონება გაქვთ, აღმასრულებელი სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებიდან 7-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ დააყადაღებს მას, ექსპერტი დაყადაღებული ქონების საბაზრო ღირებულებას შეაფასებს და აღნიშნულ ქონებას აუქციონზე ნახევარ ფასში გამოიტანენ.*** *ყადაღას არ ექვემდებარება: პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთი, რომელიც აუცილებელია მოვალისთვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის. არ შეიძლება, დაყადაღდეს მოვალისა და მასთან მცხოვრები პირებისთვის საჭირო 4 კვირის საკვები, სანათი და საწვავი საშუალებების მარაგი, როცა ასეთი მარაგი არ არსებობს - მათი შეძენისთვის საჭირო თანხა. ყადაღა არ დაედება წვრილფეხა საქონელსაც. ამასთან, მოვალეთა რეესტრში მოხვედრილი ადამიანის საბანკო ანგარიშები იყინება და ეზღუდება საბანკო ოპერაციების ჩატარება. კიდევ ერთი, მოვალეთა რეესტრში მოხვედრილი პირის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და 10 ლარი ღირს!*

*აღნიშნული კანონის შეფასება ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს* **ნოდარ ჯავახიშვილს** *ვთხოვეთ.*

**არ იკვეთება, არამედ იმისა, რომ როგორმე გაგატყაონ, როგორმე დაგაქციონ.** მონღოლების ყაენები რომ ისხდნენ საქართველოში, ისინიც არ აკეთებდნენ ამას გადასახადის აკრეფის დროს. ბანკი არ შეიძლება, იყოს კლიენტის მტერი, არ შეიძლება, ბანკს უნდოდეს, ნახევარ ფასში გაიყიდოს ქონება, პირიქით, ბანკს უნდა, რაც შეიძლება მაღალ ფასში გაყიდოს იგი, მაგრამ ხელისუფლება ეუბნება, თქვენ ორმაგი თანხა უნდა ამოიღოთ, ნახევარი თქვენთვის, ნახევარი ჩვენთვისო.

**- რა პერსპექტივაა ამ დროს უძრავი ქონების ბაზარზე? ალბათ, ბინებზე ფასები დაიწევს...**

- ფასები, რა თქმა უნდა, დაიწევს. ესეც ვერ გამიგია, ამდენი ფული ჩადეს დეველოპერებში და რისთვის, თუკი მთელი უძრავი ქონება ბაზარზე უნდა გამოიტანონ და გაყიდონ? არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური კუთხით ეს გათვლილი არ არის. ჯერ ის არ არის გათვლილი, რომ ადამიანმა შეიძლება აიტანოს გაჭირვების რაღაც დონე და იმ დონის მერე ის უმართავი ხდება.

**- ბანკის მოვალეების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. თქვენი აზრით, რამდენად მართებულია ეს?**

- ეს არის ტოტალური კონტროლი, რაც საბჭოთა კავშირის დროსაც კი არ ხდებოდა. საბანკო კონვერტაციის ძირითადი ნაწილი საიდუმლოა და ეს როგორ უნდა იყოს საჯარო?

შეიძლება, გამოქვეყნდეს სესხების საერთო მოცულობა, მაგრამ კლიენტის ვინაობა ყველგან კონფიდენციალურია. კლიენტის შესახებ ინფორმაცია არის ბანკის კომერციული საიდუმლოება, რომლის გამჟღავნება მას აზარალებს!

წარმოიდგინეთ, ტენდერს ატარებს სახელმწიფო იმის შესახებ, თუ რომელმა ბანკმა უნდა გასცეს პენსიები! სახელმწიფო მიწყვეტს, რომ პენსია უნდა ავიღო მაინცდამაინც „სახალხო ბანკში“. იქნება და, არ მინდა „სახალხო ბანკი“? **გამაგებინეთ, ეს ბანკების ხელისუფლებაა თუ ქვეყნის ხელისუფლებაა?** აიღეთ ნებისმიერი სესხის ხელშეკრულება, ეს ხელშეკრულება კი არ არის, ეს არის მონათმფლობელისა და მონის დამოკიდებულება, იქ წერია მხოლოდ კლიენტის მოვალეობები და ბანკის უფლებები, მაგრამ, რაკიღა ამ ხელშეკრულებას ხელი მოვაწერე, მე პასუხი უნდა ვაგო. რატომ არ უნდა აგოს ბანკმა პასუხი? ამ მონათმფლობელური ხელშეკრულების პირობებსაც რომ დაგირღვევს ბანკი, რატომ იცავს ხელისუფლება მას? თუ ბანკმა მომცა ფული და დაეკარგა იმის გამო, რომ რისკი ვერ გათვალა, ეს მან უნდა ჩამოწეროს თავისი მოგებიდან. იქნებ ნახოთ, რამდენი ასეული ათასია ბანკის პრეზიდენტის ხელფასი წელიწადში! **მერე დამიწყებს სააკაშვილი, საქართველოში კორუფცია არ არისო. აბა, რა არის ეს?** ჩვენი ხალხის სისხლს რომ წოვს და ამის ხარჯზე წელიწადში მილიონი რომ აქვს ხელფასი, იმ წურბელის მხარეს რატომ დგახარ? **ამას ვამბობ მე, რომელმაც შევქმენი საქართველოს საბანკო სისტემა და რომელსაც უზომოდ მიყვარს ეს სისტემა, მაგრამ ხომ არ შეიძლება, წურბელებად იქცნენ ყველანი!**

*ესაუბრა*
**თეა ასათიანი**

# მათთვის, ვინც სახლებს იშენებენ!

**ქართულ სამშენებლო ბიზნესში არსებულ პრობლემებსა და მშენებლობის ხარისხზე არაერთხელ გვისაუბრია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ამჯერად მშენებელი თემურ ბულია, რომელიც წლების განმავლობაში რუსეთში მუშაობდა და რამდენიმე ხნის წინ დაბრუნდა თბილისში, სამშენებლო მასალების ეკოლოგიურ მახასიათებლებზე გვესაუბრება. მას ასოციაციის „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ოფისში, ბატონ ანზორ საკანდელიძესთან ერთად შევხვდით.**

**„ტალღები და მისი გამოსხივება იზრდება მაშინაც, როცა ერთ ჩამრთველზე აერთებენ რამდენიმე სახის ელექტროტექნიკას. ხშირად ჩვენ ჩამრთველში შეერთებულს ვტოვებთ ტელევიზორს და მხოლოდ პულტით გამოვრთავთ ხოლმე მას. ეს ზრდის გამოსხივებას. ასეთ ოთახში დაძინება არ შეიძლება. ყველაზე მეტი გამოსხივება აქვს, თურმე, ჩამრთველში ტელეფონის გარეშე შეერთებულ დამტენს. როცა ელექტრომაგნიტური ფონი გადამეტებულია, იქ 25 პროცენტით მცირდება შრომის ნაყოფიერება. ეს იწვევს თავის ტკივილს, დაღლილობას“**

**- ბატონო თემურ, როგორც თქვენ ამბობთ, სამშენებლო ეკოლოგია არის უდიდესი პრობლემა, რომელიც საქართველოს წინაშე დგას. იქნებ, უფრო დეტალურად გვესაუბროთ.**

**თემურ ბულია:** - მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში ხდება მშენებლობების კონტროლი, არა მხოლოდ კონსტრუქციული და სეისმური უსაფრთხოების თვალსაზრისით, არამედ **ეკოლოგიური** თვალსაზრისითაც, რაც მოიცავს 4 სახის კონტროლს. ეს არის **1. რადიაციის კონტროლი. 2. კონტროლი რადონზე. 3. სამშენებლო მასალების ქიმიური ანალიზი. 4. ელექტრომაგნიტური ფონი საცხოვრებელ სახლში.**

ადრე **რადონი** გადიოდა საერთო რადიაციაში, მაგრამ იგი იმდენად საშიში გახდა, რომ ცალკე გამოიყო. რადიაციას ზომავენ დოზიმეტრით, რადონს - რადომეტრით. ბევრ ქვეყანაში ადამიანთა სიკვდილიანობის გამომწვევ მიზეზთა შორის, სიგარეტის შემდეგ, პირველ ადგილზე აყენებენ რადონს! ამერიკაში კი სიკვდილიანობის გამომწვევ მიზეზთა შორის პირველ და მეორე ადგილებს იყოფენ **ავტოავარიები და რადონი.** რადიაციის შედეგად გარდაცვლილთა სამ მეოთხედზე მეტი გარდაცვლილია სწორედ **რადონისაგან!**

ევროპის ყველა ქვეყანაში და ამერიკაში სპეციალურად არის შექმნილი რადონისაგან დაცვის პროგრამები. ეს პროგრამები შეიქმნა 1984 წელს. მაგალითად, კანადაში 1985 წლის შემდეგ ამაზე 25 მილიარდი დოლარი დაიხარჯა. ინგლისში რადონზე კარტოგრაფიული რუკები შეადგინეს, ყველა სახლი შეამოწმეს და დაადგინეს, რომ შემოწმებული სახლების 15-20 პროცენტი არის საცხოვრებლად საშიში. ძირითადად ეს არის ერთ და ორსართულიანი სახლები. **იქ მცხოვრებლებს ასახლებენ ასეთი სახლებიდან, ჩვენ კი რადონის არსებობა არც გაგვიგია.**

**- მოდით, ავხსნათ, რა არის რადონი და რა არის რადონის წყარო?**

- **რადონი რადიოაქტიური, მომწამლავი, უფერო და უსუნო გაზია, რომელიც ურანის რადიოაქტიური დაშლის შედეგად წარმოიქმნება, გამოიყოფა მიწიდან და განსაკუთრებით დიდი კონცენტრაციით არის ქვედა სართულებსა და სარდაფებში.** საცხოვრებელ სახლებში რადონის პირველწყარო, როგორც გითხარით, არის მიწიდან ამომავალი გაზები. მეორე წყარო არის სამშენებლო მასალები - ბეტონი, არმატურა, წითელი აგური, პემზა, განსაკუთრებით მეტალურგიული ნარჩენები, წიდა. **ბუნებრივი გრანიტი არის რადონის ერთ-ერთი ძირითადი წყარო.** გრანიტს ჩვენთან ხშირად გამოიყენებენ შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოების დროს, რაც კატეგორიულად აკრძალულია! **გრანიტი ისეთი ქანია, რომელიც ყველაზე მეტად ისრუტავს რადონს, ამიტომ მშენებლობაში მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოებისას.** მარმარილოს არა აქვს იმდენი რადონი. **ჩინური კერამოგრანიტი, რასაც დღეს აქტიურად გამოიყენებენ სახლებში შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოებისას, არის საშინელება. ეს არის ძალიან ლამაზი, მაგრამ საშინელებაა.** ტარაკანი კერამოგრანიტში ვერ ძლებს, მაშინვე კვდება. კაფელი და მეტლახი არ არის ისეთი საშიში!

**- ყველა ცემენტში არის რადონი?**

- ცემენტი არის 75% კირქვა და 25% თიხა, მათი გამოწვით მიიღება ცემენტი. თუ ეს ნედლეული შეიცავს რადონს, მაშინ ცემენტიც შეიცავს მას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, სად და რა სიღრმეში მოიპოვებ ამ ნედლეულს. შეიძლება, კარიერის ზედა ფენები იყოს დაბინძურებული და ქვემოთ სუფთა იყოს. ამიტომ ცემენტის მწარმოებელი ყველგან კი არ მოიპოვებს კირქვას და თიხას, არამედ იმ კარიერებზე, სადაც დაბინძურების მაჩვენებელი ნორმის ფარგლებშია.

ასევეა აგური. აგური თიხაა, ბეტონი - ღორღი და ქვიშა. **ყველა სამშენებლო მასალა იწარმოება ბუნებრივი ქანებისგან, ამიტომ აუცილებელია ამ ქანების შემოწმება. შემდეგ კი მიღებული მასალაც უნდა შემოწმდეს, რაც ჩვენთან არ ხდება.** ბეტონს უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ სიმტკიცის მაჩვენებელი, არამედ სერტიფიკატიც, რომ ის არ არის დაბინძურებული. ასევეა სამშენებლო ბლოკები, ის მზადდება შლაკისა და პემზისგან, რომლებიც ადვილად იღებს **რადონს.** განსაკუთრებით უნდა შემოწმდეს თიხა!

უკრაინაში 1997 წელს მიიღეს რადიოაქტიური ნივთიერებებისგან დაცვის კანონმდებლობა და მისი დარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულია. ასეა რუსეთშიც, ევროპაშიც. სახელმწიფო კომისია ობიექტს არ ჩაიბარებს, თუ ის შემოწმებული არ არის. მე რომ რუსეთში ვმუშაობდი, სახელმწიფო კონტროლი მოდიოდა და ყოველ ოთახს ცალ-ცალკე ამოწმებდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სამშენებლო მასალას შესაბამისი სერტიფიკატი ჰქონდა, მაინც ამოწმებდნენ. **საქართველოში კი, ადამიანი, შეიძლება, ჯანმრთელობას ისე უფრთხილდებოდეს, რომ სიგარეტს არ ეწეოდეს და ამ დროს საკუთარი სახლის კედლებისგან მიიღოს დასხივება!**

**- როგორ ხდება შემოწმება რადონზე?**

- შემოწმება ხდება სპეციალური ხელსაწყოებით და სპეციალურ ლაბორატორიაში, რაც ჩვენთან, მგონი, არც არსებობს. **ამერიკის საელჩოს რომ აშენებდნენ, სამშენებლო მასალების ანალიზები წაიღეს ამერიკაში, სპეციალურ ლაბორატორიაში.** ასეა, ამერიკელები თავისთვის რასაც აშენებენ, ყველაფერს დეტალურად ამოწმებენ, ხოლო ჩვენთვის თუ აშენებენ, ცუდიც რომ იყოს, გეტყვიან - კარგიაო.

**ანზორ საკანდელიძე:** - ამერიკის საელჩოს მშენებლობის დროს ამერიკელთათვის საქართველოში მისაღები აღმოჩნდა ერთადერთი იმირის კარიერის ინერტული მასალები. ეს კარიერი ცოტა შორს არის და ჩვენი წარმოებები მას არც იყენებენ.

**- არმატურაც შეიცავს რადონს?**

**თემურ ბულია:** - არმატურა ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს რადონს. რკინა ადვილად იღებს რადიაციას და რადონს. **რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა ონიშჩენკომ აკრძალა უკრაინიდან რუსეთში არმატურის შეტანა. ჩერნობილის შემდეგ უკრაინაში და, კერძოდ, ჩერნობილში ბევრი ჯართი მოიჭრა, რასაც აბარებდნენ ლენინგრადის ქარხანას. რუსეთმა გამოარკვია, რომ 1 მილიონი ტონა რადიაციული ჯართი შევიდა უკრაინიდან რუსეთში. ეს შეაჩერეს და ამის გამო იყო, რომ არმატურაზე ფასები გაიზარდა.** მერე ეს ჯართი შეიძინეს ჩინელებმა და სხვადასხვა ნაწარმის სახით გაავრცელეს მსოფლიოში. უკრაინაშიც დაიწყო არმატურის წარმოება, რასაც ყიდდნენ იაფად. იგი დიდი ოდენობით შემოვიდა საქართველოშიც.

**ანზორ საკანდელიძე:** - უკრაინიდან ძალიან დიდი ოდენობით არმატურაა შემოსული საქართველოში. **ამიტომ აუცილებლად უნდა შემოწმდეს ყველა არმატურა, საიდან შემოვიდა.**

**თემურ ბულია:** - საფრანგეთში, იციით, რაზე ატყდა ერთი ამბავი? ლიფტის ღილაკები ყოფილა რადიაციული. როგორ იგრძნეს ეს? ლიფტით 1-2 წუთზე მეტი ხომ არ მგზავრობ, მაგრამ ხალხი მაინც ამბობდა, რომ ლიფტიდან თავის ტკივილით გამოდიოდნენ. შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ ღილაკები იყო რადიაციული. **ჩვენ კი იმდენად მიჩვეული ვართ დასხივებას, რომ სახლშიც ვერ ვგრძნობთ ამას.**

**- თურქული სამშენებლო მასალები არის რადიაციული?**

- ვერ გეტყვით, რომ რადიაციულია, მაგრამ თურქულ ცემენტში არის ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებები, რის გამოც ის აკრალა რუსეთმა, ბულგარეთმა. **ყველაზე მავნე არის სოფხური ცემენტი, ის შეიცავს პერლიტს და ისეთ დანამატებს, რაც ჯანმრთელობისთვის ძალიან მავნეა.**

ყველაზე მავნეა ჩინური სამშენებლო მასალები. ამერიკამ ჩინეთიდან მიღებული 73 პარტია ტვირთიდან 43 პარტია უკან გაგზავნა სწორედ რადიაციული კონტროლის გამო. საქართველოში კი დიდი ოდენობით ჩინური სამშენებლო მასალები იყიდება და დაბალი ფასის გამო მყიდველიც ბევრი ჰყავს.

**ანზორ საკანდელიძე:** - როცა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ხარ გაწევრიანებული და სარგებლობ მისი კანონებით, არ გაქვს უფლება, ამ ორგანიზაციის ტვირთები უკან გააბრუნო. ამიტომ იყო, რომ სასწრაფოდ გაგვაწევრიანეს ამ ორგანიზაციაში და იმპორტირებული საქონლის სანიტარულ-ჰიგიენური, მითუმეტეს, რადიაციული კონტროლი აღარ ხდება. თავად ამერიკას კი ეს კანონმდებლობა მაღალ დონეზე აქვს. **იმას, რაც ამერიკამ დაუბრუნა ჩინეთს, ჩვენ კი ვყიდულობთ!**

**- რა დაავადებებს იწვევს რადიაციული სამშენებლო მასალები?**

**თემურ ბულია:** - ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დროის განმავლობაში და რა დოზით გვიხდება მათთან კონტაქტი. რადიაციული სამშენებლო მასალები ამცირებს იმუნიტეტს, იწვევს ფილტვის და, საერთოდ, ყველა სახის კიბოს, ლეიკოზს, ღვიძლის დაავადებებს, ანემიას, თვალების ავადმყოფობას, გულისრევას, ტემპერატურის მომატებას. ყველაზე მეტად საშიშია ორსულებისთვის, რადგან შეიძლება გახდეს ნაყოფის პათოლოგიების, აგრეთვე დაუნიზმის გამომწვევი. მავნე ზემოქმედება გადადის მეორე-მესამე თაობაზე.

**- შეიძლება თუ არა, რომ შუშა იყოს რადიაციული?**

- რა თქმა უნდა, შუშა არის კვარცის ქვიშა, რაც ადვილად იღებს რადიაციას.

**- როგორ ვებრძოლოთ რადიაციას და რადონს?**

- **რადონი ბუნებრივად ამოდის მიწიდან. ამიტომ, როცა ვაკეთებთ სარდაფს, უნდა დავასხათ ეკოლოგიურად სუფთა, გაზგაუმტარი ბეტონი.** უზარმაზარი ყურადღება ექცევა ვენტილაციას. ჩვენი ვაი-მშენებლები ვენტილაციას საერთოდ არ აკეთებენ, ან მის ადგილს, საერთოდ, ცარიელს ტოვებენ. **რადიაცია ყველაზე მაღალია საბაზანოსა და საპირფარეშოში.** მაგალითად, სამშენებლო მასალებისგან გამოწვეული რადიაცია საშუალოდ, საძინებელში არის 1, სამზარეულოში - 7-8, საბაზანოსა და ტუალეტში - 40. **რადონი წყლის გაცხელების დროსაც გამოიყოფა და თუ საბაზანოში ვენტილაცია არ არის, ძალიან საშიშია. ვენტილაცია უნდა იყოს რაც შეიძლება სწორად გაკეთებული, თორემ მეზობლისგან ამოსულმა მავნე გაზებმა შეიძლება, შენი სიცოცხლეც კი შეიწიროს.**

როგორ დავიცვათ კედლები? მობათქაშება უნდა გავუკეთოთ 2-3 სანტიმეტრზე მაინც, მაგრამ თუ ბათქაშიც რადიაციულია, მაშინ სიკვდილი ხელში გიჭირავს. კედლები უნდა შევღებოთ ზეთის საღებავით, რომელიც არის ეკოლოგიურად სუფთა.

**დღეს ძალიან მოდაშია მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები. მეტალოპლასტმასი ჰაერს არ ატარებს და ეს ხელს უწყობს რადონისა და რადიაციის სახლში მაღალი კონცენტრაციით დაგროვებას.** რადონის პირველი მტერი არის განიავება. თუ სახლში ასეთ ფანჯრებს აკეთებთ, მას გამწოვიც უნდა ჰქონდეს. რადონისგან კონდიციონერი ვერ გვიცავს. ის პირიქით, ატრიალებს რადონს ოთახში. **კიდევ ვიმეორებ, ოთახი რაც შეიძლება ხშირად უნდა განიავდეს.**

ყველაფერ ამას უნდა არეგულირებდეს კანონი, უნდა ხდებოდეს ამის კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან!!!

**- რაც შეეხება სამშენებლო მასალების ქიმიურ ანალიზს...**

- უზარმაზარი პრობლემა არის ქიმიური ანალიზი ტოქსიკურ ამონაფრქვევებზე. ყველაზე დიდი პრობლემა არის **ფორმალდეჰიდი და ფენოლი.** ეს გახლავთ მომწამლავი ნივთიერებები, რომლებსაც იყენებენ სამშენებლო მასალების **დსპ**-ს, **დვპ**-ს, **დნპ**-ს დამზადებაში. **მას შეიცავს საღებავი, ლამინატი, „გიფსოკარდონი“, წებო, აგური, სინთეტიკური შპალერი, ანუ შპალერი, რომელიც ირეცხება.** ქაღალდის შპალერი ეკოლოგიურად სუფთაა, მაგრამ თუ წებო შეიცავს ამ ნივთიერებებს, მაშინ აზრი არა აქვს!

დადგენილია, რომ **ფორმალდეჰიდსა და ფენოლს** გააჩნია უდიდესი ტოქსიკური ზემოქმედება. იწვევენ თირკმლის და ღვიძლის დაავადებებს, გულისრევას, თავის ტკივილს, ასთმას, ბრონქიტს, თვალების დაავადებებს, გაღიზიანებას, იმპოტენციას. ამ ნივთიერებისგან რომ დავიცვათ თავი, კარადებს, მაგიდებს, ავეჯს უკეთებენ ლამინირებას. **ლამინირება მხოლოდ გარეთა მხრიდან არ არის საკმარისი, ორივე მხრიდან უნდა გაკეთდეს და უნდა იყოს მაღალი ხარისხის, რომ გარეთ არ გამოვიდეს ტოქსიკური ნივთიერება.** ჩინური კარადები საშინელებაა, არაფრით შეიძლება მათი სახლში შეტანა.

**- ყველა საღებავი და წებო შეიცავს ფენოლსა და ფორმალდეჰიდს?**

- ფენოლი და ფორმალდეჰიდი ყველაფერში შედის, მაგრამ თითოეულ პროდუქტს აქვს კლასი, ანუ რა რაოდენობით არის მასში ეს ნივთიერებები.

**- და ეს რაოდენობა ზედ აწერია?**

- უნდა ეწეროს. თუ არ აწერია, არ იყიდოთ. მაგალითად, არის ასეთი აღნიშვნები: E-0, E-1, E-2, E-3. ტექნოლოგიურად ყველაზე მაღალი არის E-0 კლასი. მასში 5 მილიგრამი ფენოლი მოდის 100 გრამ მშრალ პროდუქტზე. შემდეგ არის პირველი კლასი, რომელიც დასაშვებია და ევროპაშიც არის მიღებული. ეს არის 10 მილიგრამი ფენოლი -100 გრამ მშრალ პროდუქტზე. E-2 კლასის გამოიყენება მხოლოდ გარეთა სამუშაოებისთვის. E-3 უკვე ძალიან საშიშია.

მთავარია, ეს ყველაფერი სწორად იყოს მითითებული!

**- შეიძლება, სწორად არ იყოს მითითებული?**

- შეიძლება. გააჩნია, ვინ აწარმოებს. მსოფლიოში ცნობილი დიდი ფირმები ამას სწორად აწერენ. ჩინურ საღებავებს და სხვა ნაწარმს ან საერთოდ არ აწერია, ან ტყუილად აქვს მიწერილი. ასევეა თურქულიც. **საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ საღებავი რაც უფრო მალე შრება, უფრო მომწამლავია, რაც უფრო გვიან შრება - ნაკლებად მომწამლავი. ამ დროს კი ჩვენ ვირჩევთ იმას, რომელიც უფრო მალე შრება.**

ასევეა წებოც. ლამინატს ყველაზე კარგად აკეთებენ შვედები და ნორვეგიელები. ეს ფირმები 100-წლიან გარანტიას იძლევიან. შემდეგ ფრანგები, ამერიკელები, გერმანელები, თუმცა, არსებობს იაფფასიანი გერმანული ნაწარმიც. თურქებს პროდუქციის კარგად ფუთავენ და თვალს ჭრის, მაგრამ უმეტესად ტოქსიკურია. **ლამინატსაც უნდა ეწეროს ფენოლის შემცველობა.** ფენოლი ყველაზე დიდი რაოდენობით არის **დსპ**-ში. ერთ რჩევას მოგცემთ: როცა ასეთ მასალებს ყიდულობთ, აუცილებლად დაყნოსეთ. აუცილებლად იგრძნობთ სპეციფიკურ სუნს. ის კი არადა, **დღეს ასე მომრავლებულ ჩინურ მაღაზიებში რომ შეხვალთ, მაშინვე იგრძნობთ სპეციფიკურ უსიამოვნო სუნს, რადგან ყველაფერი ტოქსიკურ ნივთიერებებზეა დამზადებული.** არა მხოლოდ ჩინური სამშენებლო მასალები, არამედ ჩინური სათამაშოები და ჩინური ბოთლებიც კი შეიცავენ ფორმალდეჰიდსა და ფენოლს.

შპაკლი, რომელიც 9-10 ლარი ღირს, არის საწამლავი. რადიაციისგან კი არ იცავს, თვითონ წამლავს. **კარგი შპაკლი 80-90 ლარი ღირს.** ასევე ბაზრობებზე იყიდება და აქტიურად გამოიყენება კაფელსა და კაფელს შორის ადგილის შემავსებელი. 5-კილოიანი ღირს 3 თუ 4 ლარი, არადა, ხარისხიანი ანტისეპტიკური შემავსებელი 50 ლარი ღირს. ეს ისეთი ადგილია, სადაც ყველაზე ადვილად გროვდება მიკრობები, ჩვენ კი მას ამ იაფფასიანი შემავსებლებით ტოქსიკურ ნივთიერებასაც ვუმატებთ. **ძალიან საფრთხილოა შეკიდული ჭერებიც, რადგან ჭერსა და ამ შეკიდულ ჭერს შორის მტვერი გროვდება.**

წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, ერთად აღებული, რა დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე!

**- ახლა ელექტრომაგნიტური ტალღების ზემოქმედებაზეც ვისაუბროთ..**

- სახლში ელექტრომაგნიტური რხევები გამოწვეულია ელექტროგაყვანილობისგან. თუ გაყვანილობა არასწორად არის გაკეთებული, ელექტრომაგნიტური ტალღები უფრო მეტად იზრდება. **ტალღები და მისი გამოსხივება იზრდება მაშინაც, როცა ერთ ჩამრთველზე აერთებენ რამდენიმე სახის ელექტროტექნიკას. ხშირად ჩვენ ჩამრთველში შეერთებულს ვტოვებთ ტელევიზორს და მხოლოდ პულტით გამოვრთავთ ხოლმე მას.** ეს ზრდის გამოსხივებას. ასეთ ოთახში დაძინება არ შეიძლება. **ყველაზე მეტი გამოსხივება აქვს, თურმე, ჩამრთველში ტელეფონის გარეშე შეერთებულ დამტენს. როცა ელექტრომაგნიტური ფონი გადამეტებულია, იქ 25 პროცენტით მცირდება შრომის ნაყოფიერება. ეს იწვევს თავის ტკივილს, დაღლილობას.**

**- ანუ გამოდის, რომ გაზის კამერაში ვცხოვრობთ?**

- ასე გამოდის. აუცილებლად უნდა იყოს კანონმდებლობა, რომ ადამიანი, რომელიც ერთ კვადრატულ მეტრში 1000 დოლარს იხდის, გაზის კამერაში არ შევიდეს. გამოდის, რომ, ფაქტობრივად, ჩვენ სიკვდილს ვყიდულობთ. **სახელმწიფომ არ უნდა ჩაიბაროს სახლი, სადაც ეს ყველაფერი შემოწმებული არ იქნება.**

**- რაც შეეხება თავად მშენებლობების ხარისხს, ამაზე რას გვეტყვით?**

- რა უნდა ვთქვა, არანაირი ნორმები არ არსებობს, რითაც მშენებელმა უნდა იხელმძღვანელოს. იცის თუ არ იცის, დღეს ყველა მშენებლობაზე მუშაობს. ერთ მაგალითს გეტყვით - რომ გავივლი, სულ მიკვირს, ასე სუფთად როგორ ასხამენ ბეტონს-მეთქი. დავბერდი ამ საქმეში და სულ ეს პრობლემა მქონდა. თანაც, რომ დავაკვირდი, თეთრი ბეტონია. მერე გავარკვიე, რომ მას ურევენ წყალს, უმატებენ დიდი ოდენობით ქვიშას. წყალს როგორც კი დაუმატებ ბეტონს, აღარც თავისი მარკა აქვს და აღარც სიმტკიცე. ერთი პროცენტი წყლის დამატება 4-5 პროცენტით აგდებს მის სიმკვრივეს. აბსოლუტურად დარღვეულია თბოიზოლაციის ნორმები, კონსტრუქციული უსაფრთხოება. 9-ბალიან მშენებლობაზე გადავედით, მაგრამ როგორ? 9-ბალიანი მშენებლობა უზარმაზარ მოთხოვნებს უყენებს მშენებლებს. ასე იოლი არ არის ეს ყველაფერი.

**ანზორ საკანდელიძე:** - ყველამ იცის, თუ რა ამბავი მაქვს ატეხილი **ჟანგიანი არმატურის** გამოყენებაზე. აქ, თურმე, მეორე უდიდესი საფრთხეც ყოფილა ჩადებული - **რადიაცია,** რომელიც კიბოს გამომწვევი უპირველესი მიზეზია. თემურმა მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ჩერნობილის რეგიონში მოპოვებული მილიონ ტონაზე მეტი ლითონის ჯართი გადადნო არმატურად, რომელთა რადიაციული დაბინძურება გაზრდილია **1 000-ჯერ.** ამ არმატურის შეტანა რუსეთმა კატეგორიულად აკრძალა თავის ტერიტორიაზე და უნდა ვიფიქროთ, რომ უკრაინიდან საქართველოში შემოსული ძალიან დიდი ოდენობით იაფფასიანი არმატურა სწორედ ის არის, რაც რუსეთმა უკან გააბრუნა. რუსეთმა ასევე თავისი ბაზრიდან თითქმის მთლიანად გამოდევნა თურქული წარმოების სამშენებლო-სარემონტო მასალები ეკოლოგიური დაბინძურების გამო. ეს მასალებიც მოაწყდა საქართველოს ბაზარს. კიდევ ერთი დიდი უბედურება ის გახლავთ, რომ **ფალსიფიკაციაში თურქეთს გაასწრო ჩინეთმა, რომლის პროდუქციითაც ავსებულია ჩვენი ბაზარი.**

ამ რამდენიმე დღის წინ ქართველ მშენებელ-ექსპერტებთან ერთ-ერთ საქმიან შეხვედრაზე შევიტყვე, რომ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დაქვემდებარებაშია ქვეყანაში ყველა სახის და, მათ შორის, სამშენებლო-საინჟინრო ექსპერტიზაც. ამით მოხდა სამშენებლო საქმიანობის 100-პროცენტიანი, სრული მონოპოლიზაცია.

მოკლედ, დღის სამშენებლო სფეროში იმდენი გადაუჭრელი პრობლემა დაგროვდა, რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ პრობლემების გადაჭრა მშენებლობის სამინისტროს აღდგენის გარეშე შეუძლებელია. დღევანდელი მშენებლობების დეპარტამენტი უნდა ავიყვანოთ სამინისტროს რანგში, რომლის მინისტრი გახდება მთავრობის წევრი და იმუშავებს ქართველი ხალხის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების მოგვარებაზე. მანამდე კი ჩვენი ასოციაცია აპირებს, გადავიდეს აქტიურ ქმედებებზე, მათ შორის, **თბილისის სეისმოუსაფრთხოების კონცეფციის პროექტზე.** ასევე ვიწყებთ მუშაობას **საქართველოს სამშენებლო ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის** დამუშავებაზე. ამ საქმეებში აქტიურად ჩაერთვება ბატონი თემურ ბულია. ჩვენ შევიძინეთ 8 ხელსაწყო-აპარატი, რითაც მოხდება ამ 4 ძირითადი სახის ეკოლოგიური დაბინძურების დოზების დადგენა. ამ აპარატურის შეძენის შემდეგ მასობრივად დავიწყებთ კონკრეტული საცხოვრებელი ბინების შემოწმებას სამშენებლო-ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე, როგორც ეს სისტემატურად ხდება მთელ მსოფლიოში.

*ესაუბრა* **თეა ასათიანი**

**რედაქციის ელექტრონულ ფოსტაში მკითხველის სოსო გოგატიშვილის წერილი მოვიდა. წერილი სულ ერთი წინადადებისაგან შედგებოდა, მაგრამ საკმაოდ დამაინტრიგებელი და საინტერესო იყო: „შოთა რუსთაველი დაიბადა 1160 წლის 14 აგვისტოს, ე.ი. მიმდინარე წლის 14 აგვისტოს უსრულდება 850 წელი“. ბუნებრივია, ჩვენ დავინტერესდით, რის საფუძველზე ასახელებდა წერილის ავტორი შოთა რუსთაველის დაბადების კონკრეტულ თარიღს, რაც დღემდე არცერთ მეცნიერს არ დაუდგენია.**

# შოთა რუსთაველი 1160 წლის 14 აგვისტოს დაიბადა

**სოსო გოგატიშვილი:** როგორც ვიცით, „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფის ეპოქაშია დაწერილი და სწორედ მას ეძღვნება. პოემის პერსონაჟი ქალებიდან თამარ მეფის სახე არის ნესტან-დარეჯანი, ხოლო ტარიელი თვითონ შოთა რუსთაველის პროტოტიპად უნდა ჩავთვალოთ!

შოთა რუსთაველს უყვარს თამარ მეფე და ამას არც მალავს „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში. პოემის მიხედვით, შოთა რუსთაველი და თამარ მეფე არიან ტარიელი და ნესტან-დარეჯანი! ცნობილია თამარ მეფის დაბადების წელი და დღე - 1166 წლის 14 მაისი. ეს ზეგრგან წერია და სადავო არ უნდა იყოს! როდესაც ტარიელი და ავთანდილი გამოქვაბულში ხვდებიან ერთმანეთს, ტარიელი ნესტან-დარეჯანის დაბადების შესახებ ასე უყვება ავთანდილს: **„მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი“**-ო. როცა დედოფალი, ანუ ნესტან-დარეჯანის, იმავე თამარის დედა დაორსულდა, ტარიელი, ანუ შოთა რუსთაველი თუ 5 წლის იყო, მაშინ უნდა გამოვთვალოთ: თამარი დაიბადა 1166 წლის 14 მაისს, ამას რომ გამოვაკლოთ 5 წელი და 9 თვე, ზუსტად გამოდის 1160 წლის 14 აგვისტო. ამ არგუმენტს ისიც ამყარებს, რომ ტარიელი ზოდიაქოთი ლომი იყო, ლომის ზოდიაქო კი 22 ივლისიდან 22 აგვისტომდე პერიოდს მოიცავს!

**- ამ ყველაფრის საფუძველზე ამტკიცებთ, რომ რუსთაველი 1160 წლის 14 აგვისტოს არის დაბადებული?**

- დიახ, ამის საფუძველზე ვამბობ, რომ ეს ასეა! კიდევ ერთხელ გავიმეორებ: **„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ნესტან-დარეჯანი, რომელიც თამარ მეფის პროტოტიპია, ჩაისახა მაშინ, როცა ტარიელი, ანუ იგივე შოთა რუსთველი 5 წლის იყო. ბუნებრივია, თამარი ჩასახვიდან 9 თვის თავზე დაიბადა. მის დაბადების თარიღამდე - 1166 წლის 14 მაისამდე 5 წლითა და 9 თვით ადრე იყო 1160 წლის 14 აგვისტო!**

**- კი მაგრამ, ხომ შეიძლება, მცდარი იყოს ის, რომ ნესტან-დარეჯანი არის თამარ მეფე, ტარიელი კი - შოთა რუსთაველი?**

- ტარიელი რომ შოთა რუსთაველია, ამას რუსთაველი წერს პოემის ეპილოგში - **„ტარიელ - მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“.** პოემის პროლოგში კი წერს: „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი“. მე ასი პროცენტით როგორ დავამტკიცებ, მაგრამ მგონია, რომ ეს საკმაოდ მყარი არგუმენტია!

**- თქვენი ეს მოსაზრება სპეციალისტებს - ლიტერატორებს, რუსთველოლოგებს თუ გააცანით?**

- არა, ჯერ არავისთან მისაუბრია ამ საკითხზე! მე არ ვიზღებ, რომ რასაც ვამბობ, ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს არის ჩემი მოსაზრება, რომელიც გარკვეულ ლოგიკას და არგუმენტებს ემყარება. თუ იქნება ამ საკითხზე დისკუსია, მე შემიძლია ჩავერთო და იქაც დავიცვა ჩემი მოსაზრება! მიმდინარე წლის 14 აგვისტოს რუსთაველს 850 წელი შეუსრულდება და ეს დიდი თარიღია!



**- თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით, ბატონო სოსო?**

- მე პროფესიით ინჟინერ-მშენებელი ვარ, მაგრამ თამარ მეფის ეპოქა და რუსთაველი ჩემი გატაცებაა. უკვე წლებია, ვსწავლობ ამ ეპოქას! ძალიან ბევრი რამ წამიკითხავს შოთა რუსთაველზე, მაგრამ მისი დაბადების ზუსტი თარიღი არსად წერია! კარგი იქნება, თუ ჩემს ამ მოსაზრებას ფართო საზოგადოებამდე მიიტანთ და სპეციალისტებიც დაინტერესდებიან!

ესაუბრა **ჯაბა ხუბუა**

# იქ, სადაც ილია მართლის ძეგლი იდგა

თეატრის წინ, გორაკზე, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ერის სულიერი მამის — დიდი ილიას ძეგლი იდგა, ფუსფუს-ფაცხაფუცხია გაჩაღებული. ახალ კვარცხლბეკზე ნეპტუნის ქანდაკი აღუმართავთ. ახლა აუზისა და მიმდებარე ტერიტორიის მოსაპირკეთებელ-მოსალამაზებელ სამუშაოებს ამთავრებენ.

**რომ ვნახე, კინაღამ ელდა მეცა. ნეპტუნი ისეა წაკუზულ-მოხრილი, რომ უკანალი მიმშვილდული აქვს... თეატრისკენ.** ქართული ხელოვნების ამ ჭეშმარიტად ღირსეული ტაძრიდან სულიერად ამაღლებული გუნება-განწყობით გამოსული მაყურებელი უნებლიეთ... რომაული მითოლოგიის ზღვის ღმერთის მარჯვედ მოზიდულ-დაყენებული უკანალის წინაშე აღმოჩნდება. აქვე უნდა ითქვას, რომ **ნეპტუნის უკანალი უფრო შემართულად და ყოჩაღად გამოიყურება, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლოსა და უმაღლესი საბჭოს შენობებისაკენ მიქცეული მისი გენიტალიები. ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ეს?!**

აუზში მონებივრე საკმაოდ არაჰაეროვან ნიმფებს საკუთარი მწიფე ძუძუებისათვის ჩაუვლიათ ხელები და დაბერილი კერტები მაყურებლისაკენ მიუმართავთ.

**ევროპის მოედანზე მდგარ მედეას ძეგლს კი თუ ცოტა მოშორებიდან გავხედავთ, მოქანდაკის უნიჭობასაც შევნიშნავთ. მედეას ქვედა კიდურები მოკლე და უკანალიც ჩამოვარდნილი აქვს. ოდნავ ჩაჩოქილი, ისე დგას, იფიქრებ, შარდს ძლივს იკავებსო.**





რუსთაველის პროსპექტზე, ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდისა და პროფესიული განათლების ტაძრის - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (რომელიც, აგრეთვე გენიალური შოთას სახელს ატარებს), წინ დღედაღამ ტრიალებს ევროპაში ყველაზე დიდი „ეშმაკის ბორბალი“.

**ილია ჭავჭავაძე, ერის უგვირგვინო მეფე, კაცი-წმინდანი, თეატრის უკან გადასვეს. ახლა თეატრიცა და ილიაც ერთმანეთისაგან ზურგშექცევით არიან.** ეს... თეატრმა აქცია ზურგი ქართველ გენიოსსა და მოძღვარს და არამარტო მან. უფრო სწორად, თეატრის მოღვაწენი განტევების ვაცებად გამოიყენეს. სხვებიც. ახლა მე ესენი უფრო მეცოდებიან. ასეა და რა ვქნა. რატომ? როგორ გითხრათ... მეორად საქონელს მაგონებენ და იმიტომ. დაჭმუჭნილებსა და მიგდებულებს... თუმცა, ნახმარ საქონელს გარეცხავ, დააუთოებ და ისევ ჩაიცვამ. არც ნახმარი ქალია დღეს დიდი პრობლემა. ასეა, სამწუხაროდ. ტრაგედია სხვაა, უფრო ღრმა...

**მემედ აბაშიძე** — დიდი ილიას ერთგული მოწაფე და თანამოდარდე მისივე ქუჩის ბნელ ჩიხში ზის, ხელში საქართველოს ისტორიის წიგნი უჭირავს და უხმოდ ტირის...

**ვახტანგ ახვლედიანი**

**პირველი ადამიანი, რომელიც მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაიკრძალა, ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძე, რუსი მწერალი და დიპლომატი, ალექსანდრე გრიბოედოვია. გადმოცემის მიხედვით, მამული მამადავითის მთაზე მას და მის მეუღლეს, ულამაზეს ნინო ჭავჭავაძეს შეუძენიათ. გრიბოედოვი აქ 1829 წელს დაასაფლავეს, ხოლო პანთეონი საუკუნის შემდეგ, 1929 წელს გაიხსნა. მთაწმინდაზე პანთეონის დაარსების იდეა გამოუთქვამთ 1915 წელს, აკაკი წერეთლის გარდაცვალების დღეებში. ჩვენი სტუმარია პროფესორი ბიჭი თეზელიშვილი, რომელსაც საგულდაგულოდ აქვს შესწავლილი მთაწმინდის პანთეონში დაკრძალულ მოღვაწეთა ცხოვრება-მოღვაწეობა, მათი საფლავის ეპიტაფიები.**

# მთაწმინდის პანთეონი არ უნდა დაიხუროს!

**- ბატონო ბიჭი, როგორც ამბობენ, რუს მწერალს ალექსანდრე გრიბოედოვს გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დაუწერია ანდერძი - მამადავითზე დამკრძალეთო...**

- საერთოდ, ათასწლეულების მანძილზე საფლავის ადგილის შერჩევას დიდ ძალასა და დროს უთმობდნენ - ჩინელი იმპერატორებიდან დაწყებული, უბრალო ადამიანებით დამთავრებული. ისინი დარწმუნებული იყვნენ, თუ საფლავის ადგილს სწორად შეარჩევდნენ, შთამომავლობასაც წარმატებული ცხოვრება ექნებოდა. **მაგალითად, ფენ-შუის ჰონკონგელი სპეციალისტი კენედების მკვლელობის მიზეზად მათი ბაბუის საფლავის არახელსაყრელ მდგომარეობას ასახელებს. იმავე ფენ-შუის მიმდევრები ზოგიერთი ქვეყნის წარუმატებლობის მიზეზად ამ ქვეყნის ყოფილ პირველ პირთა საფლავის არასწორ პოზიციას მიიჩნევენ, ამბობენ, რომ ეს პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს უილბლობასთან. კარგი იქნება, ვინმე თუ ჩაუღრმავდება ამ კვლევას.**

დიახ, პირველი, ვინც დაიკრძალა მთაწმინდაზე, ეს არის ქართველების სიძე, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილის - ნინოს მეუღლე **ალექსანდრე გრიბოედოვი.** 100 წლის თავზე - 1929 წელს მთაწმინდის მამადავითის ეკლესიის ეზო ოფიციალურად გამოცხადდა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად.

მეტად საინტერესოა გრიბოედოვის საფლავიცა და ეპიტაფიაც. რუსული წარწერაა: «Ум и дела твои бессмертны в памяти русских, но для чего пережила тебя любовь моя?».ამ ეპიტაფიის თარგმანის ორი ვარიანტი გვაქვს (თარგმნა გურამ წიბახაშვილმა). პირველი: **„შენი ჭკუა და საქმე უკვდავია რუსთა ხსოვნაში, მაგრამ რად მოხდა, რად წაერთვა ჩემს სიყვარულს შენი სიცოცხლე“.** მეორე: **„შენი ჭკუა და საქმე უკვდავია რუსთა ხსოვნაში, მაგრამ ვაი, რომ ჩემს სიყვარულს არ ეწერა შენი სიცოცხლე.“** სწორედ გრიბოედოვის საფლავის მღვიმით იწყება მთაწმინდაზე საფლავები. სხვათაშორის, აქ დაკრძალულია ნინოს დის ქმარი **ბარონ ნიკოლაი,** ასევე მათი პატარა შვილიც.

უნიჭიერესი პოეტი **ნიკოლოზ ბარათაშვილი** დიდუბის პანთეონიდან აქ გადმოასვენეს 1938 წელს. მის საფლავზე აღმართულია პატარა ობელისკი, რომელსაც ოთხივე მხარეს აწერია მისივე ლექსები, ერთგან - ცნობილი სტრიქონები: **„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“.**

აკაკი წერეთლის საფლავის ძეგლი პროფესორ **დავით კაკაბაძის** მიერ არის შექმნილი, რომელიც ჩანგით არის შემკული. აკაკის სიტყვები წერია **დავით ერისთავის** საფლავის ქვაზე: **„ღირსმა ერის ძემ, თვით ერისთავმა სამშობლოსათვის დასდვა „სამშობლო“.**

არაჩვეულებრივია ილია ჭავჭავაძის საფლავზე დადგმული ძეგლი - დამწუხრებული ქალის ბრინჯაოს ფიგურა, მწუხარე საქართველოს სიმბოლო. ძეგლი პარიზში დაამზადა ახალგაზრდა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ.

გარდაცვალება ამოუცნობი პროცესია, ამ საფლავებს შორის როდესაც დავდივარ, მახსენდება გარკვეული მისტიკური ელემენტები ამ გენიალური ადამიანების ცხოვრებაში. არ შემიძლია, არ გიამბოთ წიწამურის ტრაგედიის წინა დღის მისტიკის შესახებ. ილიას გადაცვალების წინა დღეს მეუღლე ოლღა და ნათესავები ურჩევდნენ მას, არ წასულიყო საგურამოში, მაგრამ იგი ჯიუტად იჟინებდა გამგზავრებას. **როდესაც ეტლი დღევანდელ გმირთა მოედანს მიახლოებია, ამოვარდნილა ძლიერი ქარი და ოლღასთვის თავსაფარი წაუგლეჯია. ძალზე ცხელ დღეს, 30 აგვისტოს, უეცრად ქარის ამოვარდნა ყველას გაჰკვირვებია. ოლღა რაღაც ცუდ წინათგრძნობას შეუპყრია.** შეიძლება, იცოდეთ ილიასა და თეთრი ირემის ამბავი. ილია მეგობარ ილია წინამძღვრიშვილთან ერთად სანადიროდ ყოფილა წასული. თეთრ ირემს გადაჰყრია, მაგრამ არ მოუკლავს, ისეთი თვალებით მიყურებდა, ვერ გავიმეტეო, უთქვამს. შემდეგ ეს ირემი საგურამოელ გლეხს დაუჭრია. ამ გლეხს ღამით ილია დასიზმრებია, რატომ დასჭერი ირემიო, უსაყვედურია. დაჭრილი ირემი იმ ნიშანთან მისულა, სადაც ილიას მკვლელობის ადგილას ჯვარი ყოფილა დასმული, ამ ჯვრის გარშემო დაყრილ ქვა-ღორღში ჩაურგია თავი და სული დაულევია. ეს ფაქტი ცნობილია, მაგრამ მოვლენას ვერ ვხსნი.

საყოველთაოდ აღიარებულია ეგრეთ წოდებული „მზერით ჩხვლეტის“ ბევრი შემთხვევა ფერმწერთა ცხოვრებიდან. შესაძლოა, გაიკვირვოთ. ჯერ ილია ჭავჭავაძის შესახებ გეტყვით - ქართველმა მხატვარმა **გიგო გაბაშვილმა** 1907 წელს დახატა **ილიას პორტრეტი.** ილია ამ წელს გარდაიცვალა. 1910 წელს გიგო გაბაშვილმა დახატა ასევე ცნობილი მრეწველის, მეცენატისა და ქართული კონიაკის დამაარსებლის **დავით სარაჯიშვილის** პორტრეტი, რომელიც ამავე წელს გარდაიცვალა. თემიდან პატარა გადახვევას გავაკეთებ და ფაქტებს ჩამოგითვლით: მხატვარ **ილია რეპინს** ძალიან უყვარდა **მწერალი გარშინი** (ცნობილ სურათზე **„ივანე მრისხანე კლავს უფლისწულს“** - უფლისწულის პროტოტიპი სწორედ გარშინია). ეს მწერალი კიბიდან გადმოვარდა და დაიღუპა (ზოგი მიიჩნევს, რომ თავი მოიკლა) - ზუსტად ისე გასისხლიანებული იწვა ქვის იატაკზე, როგორც ნახატში - სადაც გასისხლიანებული უფლისწული წევს ხალიჩაზე. **პიკასოს ორივე ცოლმა, რომლებსაც გამუდმებით ხატავდა, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, თავი მოიკლა მისმა შვილიშვილმაც.**

აი, ჩვენი სასიქადულო პოეტი, **გალაკტიონ ტაბიძე.** მამამისმა გარდაცვალების ღამეს გაიგო, რომ მისი მეუღლე ფეხმძიმედ იყო (ორი შვილი უკვე ჰყავდათ). მომაკვდავმა რამდენიმე წუთით ადრე ჭიქა ღვინო მოითხოვა და ასე დალოცა მომავალი გენიოსი: „რამდენიმე თვის შემდეგ პაწია რომ დაიბადება, ისეთი კაცი გამოსულიყოს, რომ ქვეყნისთვის დიდად გაეთქვას სახელი“. ფაქტია, რომ ნათქვამი გამართლდა. ბედისწერის საკითხზე აზროვნებისას მეცნიერები მივიდნენ ამ დასკვნამდე: ზებუნებრივი ძალების არსებობა ან სამყაროს სტრუქტურის წინასწარი განსაზღვრულობა ან გარდაუვალობა, რომელმაც არ იცის არავითარი გამონაკლისი. მე მგონია, რომ გალაკტიონმა ნამდვილად თავი მოიკლა და ამ მხრივაც ის ორიგინალური გახდა - ფანჯარა გამოხსნა და გაფრინდა. სათუთი სული როგორ მოითმენდა, როცა დაინახა, რომ საავადმყოფოში უნივერმაღის დირექტორი უფრო პატივში ჰყავდათ, ვიდრე ის. **მისმა ძმისშვილმა, ნოდარ ტაბიძემ მითხრა, ბოლო დროს სვამდაო. მერე რა, რომ სვამდა, ყველას შეიძლება ეს დაემართოს, გალაკტიონის დიდებულებას ეს ჩრდილს ვერ აყენებს.**

**- ახლა მთაწმინდის პანთეონი დაკეტილია - გახსნიდან 80 წლის შემდეგ დაიხურა. ამბობენ, პანთეონი სამებასთან ახლოს უნდა გაიხსნასო.**

**მთაწმინდის პანთეონში დაკრძალულნი არიან** შემდეგი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ალექსანდრე გრიბოედოვი, ნინო ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი (გადმოასვენეს 1938 წელს დიდუბის პანთეონიდან), დავით ერისთავი (გადმოასვენეს კალოუბნის ეკლესიიდან 1930 წელს), ვასილ ბარნოვი, იაკობ გოგებაშვილი (გადმოასვენეს 1940 წელს დიდუბის პანთეონიდან), ვაჟა-ფშაველა (გადმოასვენეს დიდუბის პანთეონიდან 1935 წელს), ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ოლღა გურამიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ვასო აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, კოტე მარჯანიშვილი (გადმოასვენეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სკვერიდან 1964 წელს), იაკობ ნიკოლაძე, ივანე ფალიაშვილი, აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ილია ვეკუა, ექვთიმე თაყაიშვილი (გადმოასვენეს დიდუბის პანთეონიდან), ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, მოსე ჯანაშვილი, სიმონ ჯანაშია, ოთარ ჭილაძე, ანა კალანდაძე. აქვე განისვენებს სსრ კავშირის ბელადის სტალინის დედა ეკატერინე გელაძე-ჯუღაშვილი. 1989 წელს დაიკრძალა მერაბ კოსტავა; 2005 წელს საფრანგეთიდან გადმოასვენეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ხოლო 2007 წელს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გადმოასვენეს გროზნოდან; 2009 წელს ბავშვთა ქალაქ „მზიურიდან“ აქ გადმოსვენებულ იქნა ნოდარ დუმბაძის ნეშტი.

**მთაწმინდის პანთეონიდან გადასვენებულნი არიან** პარტიული მუშაკები: ფილიპე მახარაძე (კუკიის სასაფლაოზე), სილიბისტრო თოდრია (ვაკის სასაფლაოზე), მიხეილ (მიხა) ცხაკაია (კუკიის სასაფლაოზე).

- მთაწმინდასთან ახლოს აუცილებლად უნდა გამოყონ ტერიტორია. აქ სხვა გარემოა, სხვა იდუმალება. მე არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ პანთეონი უნდა დაიხუროს. ხშირად მოდით აქ, მოიყვანეთ შვილები, ეს ის ადგილია, სადაც ცოცხლდება მამულისა და მისი სათაყვანებელი გმირებისადმი მოწიწება, წარსული, ისტორია. ეს საფლავები გვახსენებენ, ვისი გორისანი ვართ!

ჩვენი საუბარი მინდა დავასრულო ერთი ეპიტაფიით. მართალია, ეს წარწერა ვერის სასაფლაოზე ამოვიკითხე, მაგრამ მაინც გეტყვით და უთუოდ ჩააფიქრებს თქვენს მკითხველსაც: „Я вчера по кладбищу ходил и все надписи изучил, двум-трем сказал, зачем ты умер? А остальным - зачем ты жил?!“

ესაუბრა
**ქეთევან ხამიცაშვილი**

# ბრძოლა დედობისათვის

დასაწყისი მე-3 გვერდიდან >>>

და—შვილობის მადლზე, დედა-შვილობის უხილავ და ხილულ ურთიერთობებზე, როცა მიმი ჩემგან შორს, კიპრზე, მამასთან წავიდა...

მართალია სულ 2 თვით, მაგრამ მაინც, თანაც უჩემოდ.

* * *

ჩემი და ალბათ, არამარტო ჩემი თაობის დედების პრობლემა, უპირველეს ყოვლისა იქიდან იწყება, რომ ჩვენ ამ ქვეყნად ყველაზე საპასუხისმგებლო მოვლენას, შვილის დაბადებას, მოუმზადებლობით ვხვდებით.

მეტნაკლებად მოუმზადებლები ვიღებთ არანაკლებ მნიშვნელოვანს - ოჯახის შექმნის გადაწყვეტილებას. როგორც წესი, ბანალური ისტორიები ასე იწყება და ვითარდება:

გვიყვარს და ვთხოვდებით,

ვთხოვდებით და ვაჩენთ შვილებს...

ეს ყველაფერი კი, იმდენად სტიქიურად და ბუნებრივად ხდება, რომ ჩვენი სტატუსისა და მოვალეობების გაცნობიერებასა და გათავისებას ვერ ვასწრებთ. სამაგიეროდ, ასეთივე სწრაფი ტემპით ვითარდება პრობლემათა მთელი კასკადი, რომელთა შეჯერების პიკზე აღმოვაჩენთ, რომ „თურმე“ სიყვარული არასაკმარისია ოჯახის შექმნისთვის და „თურმე“ საყვარელ ადამიანთან თანაცხოვრება ასევე არასაკმარისია საიმისოდ, რომ დედობისთვის იყო მზად...

ჩვენი დედებისა და ბებიების ეპოქას გაცილებით მეტი სირთულეები შეხვდათ, მაგრამ მათ მსგავსი პრობლემები ანალოგიური სიმძაფრით არ აწუხებდათ. ამას თავისი ლოგიკური ახსნა აქვს: მაშინ სამყაროც არ იყო ასეთი ქაოტური, ასეთი დაუნდობელი, ასეთი ნგრეული, ასეთი ისტერიული.... მაშინ მორჩილებასა და თავისუფლების ხარისხს შორის კარდინალური კონტრასტი არ არსებობდა(!)

აღმოჩნდა, რომ დედების შემეცნებიდან ჩვენ მემკვიდრეობად გვერგო ის, რაც ჩვენი შვილებისათვის ყველაზე უვარგისი და გამოუვალია. ჩვენ მუდმივად გვასწავლიდნენ იმას, რა არ შეიძლებოდა და არასოდეს გვასწავლიდნენ იმას, თუ რა შეიძლებოდა. პრაქტიკულად, აღმოჩნდა, რომ ჩვენ აკრძალვების ეპოქის უკანასკნელი მემკვიდრეები ვართ...

ამიტომ, რაც არ უნდა ლიბერალური იყოს ჩვენი დამოკიდებულება ჩვენი შვილებისადმი, რაც არ უნდა მოვიწონოთ მათი თავისუფლების ხილვისა და ხარისხის გაცნობიერება და გათვალისწინება, ოცდამეერთე საუკუნის ბავშვებისთვის ჩვენ, ყველაზე საუკეთესო ვარიანტში, დიდ ტირანები და უარესში კი, დიქტატორი მშობლები ვართ(!)

* * *

პრობლემა ჩემშია...

ის მე მინდოდა, ჩემს შვილს ჰქონოდა გაცილებით მეტი, ვიდრე ამის მიცემა თავად შემეძლო... არა მხოლოდ როგორც მარტოხელა დედას, არამედ როგორც საქართველოში მცხოვრებ, საქართველოს მოქალაქეს.

პრობლემა ჩემშია, რადგან ამ ქვეყანაში მე ვერ ვიპოვე ჩემი წილი ადგილი და როგორ მოვეძებნიდი იმ ადგილს ჩემი შვილისთვის, სადაც მას მშვიდი, უზრუნველი და ლაღი ბავშვობა ექნებოდა(?)

პრობლემა ჩემშია...

8 აგვისტოს მიმი კიკეთიდან გვერდიგვერდ ჩამოვიყვანე და მხოლოდ იმიტომ, რომ კოჯრის ბატალიონის ხმაურს ჩემთან სიმშვიდე კი არ მოეტანა, პირიქით - აეფორიაქა.

10 აგვისტოს მიმი თიანეთში წავიყვანე, მხოლოდ იმიტომ, რომ თბილისში, საკუთარ სახლში, საკუთარი შვილის დაცვა არ შემეძლო.

12 აგვისტოს უკან ჩამოვიყვანე მხოლოდ იმიტომ, რომ ერთადერთი გამოსავალი მოვძებნე: მიმი, როგორც ბერძენი მოქალაქე, საბერძნეთის საელჩოსთვის მიმებარებინა და იქ დამემალა...

ჩემი თავი ჯანდაბას, მე საქართველოს მოქალაქე ვარ (!)

პრობლემა ჩემშია...

რადგან მე მიმის ჩასახვამდე არ მიფიქრია...

არ მიფიქრია იმაზე, რომ ჩემი შვილი საქართველოში ბერძენი იქნებოდა, საბერძნეთში - ქართველი (?!)

არ მიფიქრია, რომ მას არც ერთი სამშობლო არ ექნებოდა, რაც პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ სამშობლო საერთოდ არ ჰქონდეს(!)

არ მიფიქრია იმაზე, რომ მას ორ განსხვავებულ სამყაროში, ორი განსხვავებული გენეტიკური თვისებით და მენტალობით მოუწევდა ცხოვრება(!)

პრობლემა ჩემშია...

სადღაც წავიკითხე, ვილაცამ მითხრა, ვილაცას ვკითხე...

ქართველი დედებისთვის შვილი 60 წლის ასაკშიც კი პატარაა, ევროპელისთვის კი, 1 წლის უკვე ჩამოყალიბებული ინდივიდი...

და მე ვიფიქრე, რომ 5 წლის მიმი ბერძნული, თავისუფალი ნებით და არჩევანის უფლებით. ვიფიქრე, რომ მისი მომავლისა და ჩამოყალიბებისთვის ყველაფერი უნდა გამეკეთებინა, ყველაფერი უნდა დამეთმო, თუნდაც საკუთარი თავი...

და სწორედ აქ შევცდი: ნებისმიერი ბავშვი არამხოლოდ საკუთარი დედის, საკუთარი ეპოქის პირმშოცაა! და მისთვისაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი ხდება ფესვები, წარსული, ისტორია. ეს სამშობლო გვახსენებს, ვინ ვართ...

მაგრამ მე, რაც არ უნდა ბევრი მინდოდეს და სადაც არ უნდა წავიდე, თუნდაც კიპრზე, გადარჩენილი ქართული ვიქნები, ქართველი დედა...

გაგრძელება, გადარჩენილი ქართველი დედა ვარ...

* * *

სექტემბერში გადავწყვიტე, ოქტომბერი გამიჭირდა, ნოემბერი გაუსაძლისი გახდა, დეკემბერში ფსიქოლოგთან მივედი.

ბავშვობიდან დავიწყეთ. ყველა ნიუანსი გამახსენა, თვით უმნიშვნელოც კი და აღმოჩნდა, რომ ის, რაც ყველაზე უმნიშვნელოდ მიმაჩნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ყოფილა, მით უფრო ჩემი და ჩემი შვილის ურთიერთობაში.

ერთ-ერთ სეანსზე 5 წლის მიმის და 5 წლის ეკას (ანუ საკუთარი თავის) დამეგობრება ვცადეთ.

ვიცელქეთ, უფროსებმა დაგვტუქსეს. გვიბრძანეს, ორივე კუთხეში დავდგეთ.

მე თავდახრილი მივდივარ და კუთხეში მორჩილად ვდგები. ვიცი, რომ აქ უნდა ვიდგე, ჩუმად, უძრავად, თუნდაც გათენებამდე, ვიდრე არ მეტყვიან, რომ თავისუფალი ვარ და დასჯის „რიტუალი“ დასრულდა.

მიმი უდარდელი სახით ისე მისეირნობს კუთხისკენ, თითქოს იქ რამე საამური ელოდება. კუთხეს აკვირდება, აშკარად არ მოსწონს, სახით უფროსებისკენ ბრუნდება და ამბობს: „მე არ მომწონს“. ეუბნებიან, რომ ის დასჯილია და მიმიც იქვე სთავაზობს გამოსავალს: „გასაგებია, მაგრამ მე ეს არ მომწონს. სხვა რამე მოიფიქრეთ“.

საღამოს მიმის აღარც კი ახსოვს, რომ დღილით დასაჯეს. მე კი, მთელი ღამე არ მძინავს, დაბოღმილს, დათრგუნულსა და შეურაცხყოფილს და მხოლოდ ერთი ნატვრა მაქვს: როდის გავიზრდები დიდი, რომ უფროსებმა ვეღარ დამსაჯონ (!!!)

წარმოსახვით თამაში სრულდება, რეალობაში ვბრუნდებით. რეალობა კი ასეთია:

მიმი ხუთი წლისაა, მე ოცდაშვიდის. მიმი ჩემი შვილია, მე მისი დედა და...

მაგრამ ყველაზე უცნაური ის არის, რომ ეხლა მე ეჩარავ პატარა მიმის დროდადრო, ზუსტად ისე, როგორც მე მჩაგრავდნენ ბავშვობაში პერმანენტულად.

არ ვიცი რა არის ეს - გაუაზრებელი თუ გააზრებული ქმედება, რეფლექსი, რევანში თუ კომპლექსი, რომელიც ბავშვობიდან მომდევს, რომელიც სამუდამოდ დამაჩნდა...

* * *

მიმი სექტემბერში წაიყვანეს, ორი თვით...

თებერვალი დაიწყო... მამამისი ამბობს, რომ ამით არაფერი შეიცვლება, პირიქით, მიმისთვის კარგიცაა, რომ ქართულ „ძარღვს“ მოშორდება, თუმცა დროებით და ბავშვს საღდე მოდე ჩამოიყვანსო...

მე უკვე აღარაფრის მჯერა და დროდადრო ვეკითხები მღვდელს: იქნებ უნდა მიმი სამუდამოდ წამერთვა(?) ის გამუდმებით მახსენებს, რომ მიმი საბერძნეთის მოქალაქეა და საბერძნეთი სახელმწიფო მიმის უფლებებს ყოველთვის და ყველა ინსტანციაში დაიცავს. მე კი საქართველოს მოქალაქე ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ არანაირი უფლება და თავდაცვითი მექანიზმი არ გამაჩნია, თვით დედობისთვისაც კი...

მაგრამ მე მაინც უკვე ვგრძნობ ამ დაძაბულობას და ორ ფრონტზე „თამაშობს“... თამაშობს, ამ სიტყვის პირდაპირ გაგებით. მართალია, ამას მშობლების სიყვარულისა და სიტუაციის განსანეიტრალებლად აკეთებს, მაგრამ ეს სიტუაციას არ ამსუბუქებს. ფაქტია, რომ მიმი ჯერ მხოლოდ ხუთი წლისაა, მაგრამ მან უკვე იცის თამაში... მან უკვე იცის, რომ ხშირად იქ უნდა გაიცინოს სადაც არ ეცინება და იტიროს იქ, სადაც ტირილი არ უნდა...

მან უკვე იცის, რომ მეც უნდა მასიამოვნოს და მამასაც... და ეს ხშირად ტკივილს და თამაშს მოითხოვს მისგან...

* * *

აღდგომამდე რაღა დარჩა, ვეუბნები საკუთარ თავს... მაგრამ შინაგანი ხმა გამუდმებით იმას ჩამჩიჩინებს, რომ უნდა წავიდე და მიმი თავად ჩამოვიყვანო... მაშინაც კი, თუ დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ ჩამოვა... და დღეს უნდა წავიდე მის ჩამოსაყვანად!

ეს არც ახირებაა, არც სიჯიუტე და არც უსაზღვრო პრინციპი.

ეს სამივეს გვჭირდება - მიმისაც, მეც და მამამისსაც...

მიმის არაფერში სჭირდება ისეთი უსუსური დედა, რომელსაც გამუდმებით ეშინია.

ეშინია ყველაფრის, მნიშვნელოვანისაც და უმნიშვნელოსაც;

ეშინია მარტოობის, სიბნელის, სიცივის;

ეშინია საკუთარი თავის;

ეშინია, რომ შვილს წაართმევენ;

ეშინია, რომ შვილზე დედობის უფლებას დაკარგავს;

და სწორედ ამის შიშით უშვებს ყველაზე დიდ შეცდომას ცხოვრებაში!

მიმის არაფერში სჭირდება ისეთი დედა, რომელიც მიმის ხმას ვერ გაიგონებს, რომელიც საკუთარ თავს ვერ დაიცავს, რომელიც ვერ გადაწყვეტს...

მიმის სჭირდება მშვიდი, თავდაჯერებული და თავისუფალი დედა, რომელიც მისთვის საყრდენი იქნება...

მიმის მამა კი... მიმის მამამ კი უნდა გაიგოს, რომ არსებობს უზენაესი კანონი, რომელიც დედისა და შვილის კავშირს იცავს...

...„საზრიანი თვალით“ და შეუძლებელი შეიძლება გახდეს.

უახლოეს რეისზე ავიღე ბილეთი... მიმი მე უნდა ჩამოვიყვანო.

**რას ისახავდა მიზნად მიმდინარე წლის 13 მარტს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასული ე.წ. იმიტირებული „ქრონიკა“? რა შედეგები შეიძლება მოუტანოს ქვეყანას ხელისუფლების ასეთმა უპასუხისმგებლო ნაბიჯებმა? ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით საქართველოს ყოფილ სრულუფლებიან ელჩს რუსეთის ფედერაციაში, საქართველოს ექს-სახელმწიფო მინისტრს ვაჟა ლორთქიფანიძეს:**

# თუ არ დაელაპარაკები რუსეთს, მაშინ ეს ჯარები თავისით გავლენ აქედან?

– ხელისუფლების მიერ მომზადებული ეს გადაცემა კიდევ ერთი კარგი მაჩვენებელია იმისა, თუ როგორი სისტემური, პოლიტიკური და სულიერი კრიზისია საქართველოში. ერთ-ერთი მიზანი, ალბათ, იყო სიტუაციის დაძაბვა, ხალხის დაშინება და გაფრთხილება - არავითარ შემთხვევაში არ აჰყვეთ ოპოზიციას და საპროტესტო გამოსვლებსო! ეს ყველაფერი მიმართული იყო ოპოზიციის დასაშინებლადაც. ხელისუფლებამ უთხრა ოპოზიციას, თუ თქვენ დაიწყებთ საპროტესტო გამოსვლებს, ჩვენ ამაზე წავალთო!

**– რაზე წავალთო?**

– **სისხლისღვრაზე!** გარდა ამისა, ამ გადაცემით ხელისუფლებას სურდა ოპოზიციის დისკრედიტაციაც! აი, ხომ ხედავთ, რა საფრთხე მოდის რუსეთიდან, ვინ გვიტევს და ვისთან არიან კონტაქტში ეს ჩვენი ვაი-ოპოზიციონერებიო. ძალიან მნიშვნელოვანი რამ ითქვა ამ გადაცემაში ქართული ჯარის ნაწილებთან დაკავშირებით. **ის კი არ თქმულა, რომ ამ ჯარის ნაწილებმა საქართველოს უღალატეს და რუსების მხარეს გადავიდნენ, არამედ ითქვა, რომ მათ უღალატეს პრეზიდენტს და გადავიდნენ „სახალხო მთავრობის“ მხარეს.** ეს ჯარზე მეტად ბურჯანაძეს და ნოღაიდელს ურტყამს, რომ ვითომ მათ ჯარიც კი გაჰყვეს და უმძიმესი შედეგი მოიტანეს ქვეყნისათვის!

და რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია: **ეს გადაცემა შეიძლება იყოს პირდაპირი მზადება ომისთვის, ხალხის შემზადება იმისათვის, რომ შეიძლება ომი მოხდეს და არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს!**

**– რაზე ჰქონდა ხელისუფლებას ეს გადაცემა გათვლილი?**

– ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ომი შეიძლება მართლა მოხდეს, მაგრამ რას აკეთებს ხელისუფლება იმისათვის, რომ ეს ყველაფერი თავიდან აიცილოს? მე რომ მამზადებს ხელისუფლება, შეიძლება ომი დაიწყოსო, რიგით მოქალაქეებს რითი შეგვიძლია ამის თავიდან აცილება? შენ ხელისუფლება რომ ხარ, ამ გადაცემითაც, სხვა გადაცემებითაც უნდა დამანახო და გამცე პასუხი კითხვაზე, რას აკეთებ, რა ზომებს იღებ იმისათვის, რომ ომი არ განმეორდეს? რას აკეთებ იმისათვის, რომ ეს საფრთხე ამარიდო? აი, ეს უნდა იყოს დღეს უმთავრესი კითხვა!

**– ბატონო ვაჟა, საუბრის დასაწყისში თქვით, ეს გადაცემა ხელისუფლების მიერ იყო მომზადებულიო...**

– აბსოლუტურად ნათელია, რომ ასეთი გადაცემა პრეზიდენტის, ხელისუფლების საქმის კურსში ყოფნისა და პირდაპირი რეჟისურის გარეშე არ მომზადდებოდა. **ხელისუფლება ახლა ამბობს, რომ ის სატელეფონო საუბრის ჩანაწერები, რომლებიც გამოქვეყნდა, იყო ფაბრიკაცია! რატომ უნდა დავიჯერო, რომ ეს ჩანაწერები ფაბრიკაცია იყო და რატომ უნდა დავიჯერო, რომ ფაბრიკაცია არ ყოფილა მსგავსი ფარული ჩანაწერები, რასაც ამდენი წლის განმავლობაში გვაწვდის ხელისუფლება?** თუ ასე ერთ დღე-ღამეში შეიძლება, გაკეთდეს ვინმეს საუბრის ფაბრიკაცია, რატომ არ შეიძლება, ამას თვითონ ჩვენი ხელისუფლებაც აკეთებდეს ოპონენტების წინააღმდეგ? ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამიერიდან არცერთ მსგავს ფარულ ჩანაწერს, რომელსაც ხელისუფლება შემოგვთავაზებს, არ უნდა დავუჯეროთ!

**– როგორ ფიქრობთ, ამ გადაცემით სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსეთის წისქვილზე ხომ არ დაასხა წყალი?**

– **მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ გადაცემის შემდეგ კრემლში ძალიან გახარებულები იქნებიან. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გააკეთა, პოლიტიკურ პარანოიასთან გვაქვს საქმეო.** რუსეთის ხელისუფლებას ახლა ძალიან დიდი არგუმენტი აქვს, რომ მთელ მსოფლიოს უთხრას, აი, ხომ ხედავთ, საქართველოს ხელისუფლება როგორ ექცევა საკუთარ ხალხს და როგორ გვიგონებს, თითქოს აგრესორები ვართო... ეს გადაცემა იყო რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმა და დადებითი პიარი ბურჯანაძისა და ნოღაიდელისთვის!

რაც მთავარია, ამ გადაცემამ გამოიწვია ჩვენი საზოგადოების უკურეაქცია! სულაც არ გაუჩნდა ქართველ ხალხს იმის განცდა, რომ აი, მოდის რუსეთი, ახლა გვერდით დავუდგეთ ჩვენს ხელისუფლებას და შევაჩვენოთ ის ოპოზიციონერები, ვინც პუტინთან სალაპარაკოდ დადისო. შესაძლოა, ხელისუფლება ხალხის ასეთ რეაქციას ელოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხს რეაქცია არ ქონია!

**– ამ სპექტაკლის პერსონაჟებად ამერიკის და საფრანგეთის პრეზიდენტებიც კი გამოიყვანეს...**

– ყოველივე ამით მოხდა ჩვენი ძალიან ძლიერი დისკრედიტაცია მსოფლიოს თვალში. ამ ყველაფრის შემდეგ საქართველოში რომელ ინვესტიციების შემოდინებაზეა ლაპარაკი? ან რა იცოდა ამ გადაცემის მომმზადებელმა, ობამა რა განცხადებას გააკეთებდა? თან „LIVE“ დააწერეს ობამას გამოსვლას, რათა მეტი დამაჯერებლობა ჰქონოდა. ამაზე მეტი უგუნურება რაღა გინდათ? ახლა იძახიან, შეცდომა იმაში იყო, გადაცემას „იმიტაცია“ რომ არ ეწერაო. არადა, სწორედ იმაში იყო ჩადებული მთელი მარილი გადაცემის ავტორების მიერ, რომ ხალხი არ უნდა გაეფრთხილებინათ! გამაფრთხილებელი წარწერა თუ ექნებოდა გადაცემას, იგი აზრს დაკარგავდა. **ასე რომ, ნუ გვატყუებენ, თითქოს შეცდომა დაუშვეს, ეს ყველაფერი გამიზნულად იყო გაკეთებული!**

**– ხელისუფლების ასეთმა დამოკიდებულებამ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა?**

– ამასწინათ ერთ-ერთ უცხოელ პოლიტოლოგს ვუთხარი, რომ ქართულ ოპოზიციას სააკაშვილის ხელისუფლებაზე ძლიერი მოკავშირე არა ჰყავს! **ოპოზიციამ იმის ნახევარი რომ იაქტიუროს ხელისუფლების წინააღმდეგ, რამდენსაც ხელისუფლება საკუთარი თავის წინააღმდეგ აქტიურობს, ამ ხელისუფლების საქმე მძიმედ იქნებოდა.** ისე, მე არ გამოვრიცხავ, რომ ყოველივე ამას რეპრესიების ახალი ტალღა მოჰყვეს!

აგერ, აზერბაიჯანში იარაღის შეტანისათვის რამდენიმე ადამიანია დაკავებული, მათ შორის ერთი საქართველოს მოქალაქეა! **აზერბაიჯანის სპეცსამსახურები აცხადებენ, რომ ბაქოში ტერაქტები იგეგმებოდა, რომელშიც ჩრდილოკავკასიელები მონაწილეობდნენ და იარაღის შეტანა მოხდა საქართველოდან. ე.ი. ახლა რაღაც ჩრდილოკავკასიურ ომში ვერთვებით, და მე ამის ძალიან მეშინია!**

ახლა დრო რუსეთის სასარგებლოდ მუშაობს, ჩვენი ხელისუფლება კი იძახის, როგორ შეიძლება, დაველაპარაკოთ ოკუპანტს, სანამ მისი ჯარები ჩვენს ქვეყანაში დგასო. რა, თუ არ დაელაპარაკები რუსეთს, მაშინ ეს ჯარები თავისით გავლენ აქედან? დალაპარაკება და დიალოგი იმას კი არ ნიშნავს, რომ თავი დაუხარო ვინმეს. პირიქით, შეიძლება შეუტიო!

**ერთი კითხვა მაქვს ხელისუფლებასთან: რა მოლაპარაკების საფუძველზე გაიხსნა ლარსი? ლაპარაკი მიდის საავიაციო მიმოსვლის აღდგენაზე, ემბარგოს მოხსნაზე და როგორ მიაღწიეს ამას, თუ რუსეთთან არ მოილაპარაკეს?** ან იქნებ დროის იმ მონაკვეთში, როცა ეს მოლაპარაკებები წარმოებდა, რუსები ოკუპანტები არ იყვნენ? **როცა მთავარი საფრთხე მოდის რუსეთიდან, ეს უკვე თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი სწორედ რუსეთთან მოლაპარაკება უნდა იყოს! აი, სწორედ ამაზე უნდა მუშაობდეს დღეს საქართველოს ხელისუფლება და არა რაღაც იმიტაციებსა და სპექტაკლების დადგმაზე!**

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**



**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, „იმიტირებულ ქრონიკაზე“ და რუსეთთან ურთიერთობაზე სასაუბროდ გენიალური „დათა თუთაშხიას“ დიდ რეჟისორს, ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს და დიდებულ მსახიობს, ქალბატონ ქეთევან კიკნაძეს შინ ვეწვიე. ბუნებრივია, ჩვენი საუბარი „ტელეიმედში“ მომხდარი მოვლენების განხილვით დაიწყო:**

# ბოლო-ბოლო, გერმანია და საბჭოთა კავშირი დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან იმ ომის შემდეგ, რომელმაც 60 მილიონი ადამიანი შეიწირა!

**გიგა ლორთქიფანიძე:** - ყველაფერი ისე გაითამაშეს, თითქოს სააკაშვილმა არაფერი იცოდა... მისი პრესსპიკერი რომ მივიდა „ტელეიმედთან“ და აღშფოთებული და შეშფოთებულია პრეზიდენტიო, რომ განაცხადა, რა ეტყობოდა სააკაშვილს აღშფოთებისა და შეშფოთებისა მეორე დღეს?

**– ცინიზმიც კი დასთამაშებდა სახეზე – ბოლნისის მოსახლეობასთან შეხვედრისას...**

– კი... და, მე მგონია, მოსწონს ეს ყველაფერი! პრინციპში, ეს მაინც დაკვეთა იყო! არველაძე არ არის ის კაცი, რომელიც ამ გადაცემის ეთერში გაშვების გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად მიიღებდა! **ნამდვილად საზარელი შთაბეჭდილება დამრჩა იმ ადამიანთა მოსმენის შემდეგ, მიწვეული სტუმრების სტატუსით რომ ისხდნენ დარბაზში! გარდა ლაშა ტუღუშისა, ფაქტობრივად, არავის დაუგმია ეს გადაცემა!**

**– შოკში ვიყავითო, - ბევრმა თავი იმართლა...**

**ქეთევან კიკნაძე:** - სამაგიეროდ, ყველამ ვნახეთ, რომ პრეზიდენტი არც შეშფოთებული იყო და არც აღშფოთებული!

**გიგა ლორთქიფანიძე:** - **პრინციპში, პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა გადაცემას!** ალბათ, ნამეტანი იქნებოდა ყველაფერზე ხელების დაბანა და ყველაფრის არველაძისთვის გადაბრალება... მაგრამ, ჩემთვის ის იყო გაუგებარი, სააკაშვილის გარემოცვაში რატომ იყო მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ამ გადაცემის მიმართ? ეტყობა, მართლა ნამეტანი შიში ჭამეს და ამას არ პატიობენ არველაძეს!

**ქეთევან კიკნაძე:** - იმის დამტკიცება უნდოდათ, ნოღაიდელი და ბურჯანაძე არასწორ ნაბიჯებს დგამენო...

**გიგა ლორთქიფანიძე:** - ერთი რამეც ნუ დაგავიწყდებათ: ასეთი ამბები სახელმწიფოში შემთხვევით არ ხდება! მაინც მგონია, რომ შეგნებულად იძაბება დღეს ქვეყანაში ვითარება. 1937 წლის ატმოსფერო სუფევდა იმ გადაცემაშიც, როცა ის მიწვეული სტუმრები მსჯელობდნენ! **დიახ, შეიძლება, ამ ყველაფერს ახალი რეპრესიები მოჰყვეს და „ხალხის მტრის“ იარლიყი მიაწებონ არასასურველ ადამიანებს!** მე არ მეშინია ამის თქმისა და გეტყვით: პოლიტიკური ორიენტაცია შეიძლება იყოს დასავლური და შეიძლება იყოს რუსული! შეიძლება, რომელიმე მათგანი მცდარიც იყოს, მაგრამ ამის გამო ადამიანს მოღალატე უწოდო - ყოვლად დაუშვებელია! **თუ ნინო ბურჯანაძეს რუსეთთან საერთო ენის გამონახვა მიაჩნია საჭიროდ, ამის გამო მოღალატედ უნდა შევრაცხოთ?** „როგორ შეიძლება რუსეთთან დალაპარაკებაო“, - ყიჟინას რომ სცემენ, აბა, დღენახევარში ომის წაგება შეიძლება?

**ქეთევან კიკნაძე:** - თუ პატარ-პატარა ძაფები მაინც არ გაიბა, რა ჰგონიათ, რუსები ქუდს მოიხდიან, დაგვემშვიდობებიან და თავისით გავლენ საქართველოდან? რაღაცა ხომ უნდა დაიწყოს და მე თუ არ ვიცი „ის რაღაცა“, ვიღაცამ ხომ იცის?

**გიგა ლორთქიფანიძე:** - ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, რომ თუ ქვეყნის საკეთილდღეოდ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება გინდა - მოღალატე ხარ! ასე თუ ვიმსჯელეთ, ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორია ღალატი ყოფილა. ქართველი მეფეები სპარსეთშიც მიდიოდნენ, სტამბოლშიც, თავსაც სწირავდნენ ზვარაკად და მტრებსაც ელაპარაკებოდნენ, მაგრამ მოღალატეები იყვნენ? ასე შეგვინარჩუნეს თვითმყოფადობა, რელიგია, ენა! **ბოლო-ბოლო, გერმანია და საბჭოთა კავშირი დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან იმ ომის შემდეგ, რომელმაც 60 მილიონი ადამიანი შეიწირა!** ჩვენ ძალით ვერ მოვერევით ამ უზარმაზარ რუსეთის იმპერიას და ეს ცხადია! მეტსაც გეტყვით: იმის იმედი, რომ ან ამერიკა, ან რომელიმე ევროპული ქვეყანა ჩვენი გულისთვის დაიწყებს ომს რუსეთთან - უვიცობაა!

**ხანდახან რომ ვუფიქრდები, მიკვირს, ისეთი დიდი და განათლებული ერი, როგორიც გერმანელები არიან, როგორ იყვნენ ჰიტლერზე შეყვარებულები? როგორ იყვნენ ამ ბიჭის გამო გადარეულები?!**

**– ალბათ, წლების მერე იმ ე.წ. ოთხმოცდათექვსმეტი პროცენტის მხარდაჭერაც ანალოგიურ კითხვებს გაუჩენს ჩვენს შთამომავლობას, 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რომ მისცეს ხმა სააკაშვილს...**

– რთულ ეპოქაში ვცხოვრობთ ჩვენ... მე არც მაშინ მიმიცია ხმა სააკაშვილისთვის და ვერც ვერასოდეს დავუჭერდი მხარს, რადგან კარგად ვიცნობდი მას!

**– ანუ?**

– იგი თავიდანვე იყო გაუწონასწორებელი ადამიანი. უნიჭო კაცი არ არის, სხვათაშორის...

**– ასე, სიყვარულის ნიჭიც ჰქონდა ჰიტლერს. ევა ბრაუნი უყვარდა...**

– რასაკვირველია...

**– ბატონო გიგა, „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟები მიდგანან თვალწინ და რომ არ გკითხოთ, არ შემიძლია...**

– „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟებს ნუ შემადარებინებ ამათ!

**– მაინც გკითხავთ...**

– საუბედუროდ, დათა თუთაშხიას მე ვერ ვხედავ დღევანდელ პოლიტიკაში! სხვათაშორის, მე არც მუშნი ზარანდია მიმაჩნია უარყოფით პერსონაჟად..

**– ბატონმა თენგიზ არჩვაძემ თითქოს გააკეთილშობილა ეს პერსონაჟი...**

– მუშნი არ არის თავისი ქვეყნის მტერი! მას ის გზა მიაჩნია ქვეყნის გადარჩენის გზად... მუშნი ზარანდია ძალიან ძლიერი და დიდი პიროვნებაა! თუმცა, ვიმეორებ: მე ამ ხალხს ვერ შევადრი „დათა თუთაშხიას“ გმირებს! დათა თუთაშხიასნაირი ღირსეული დღეს არავინ არის!

**– ბონია მეწისქვილეს თუ ხედავთ სადმე?**

– ეჰ... გვარებს ნუ დამასახელებინებთ... **საუბედუროდ, ბონია მეწისქვილეებითაა სავსე ჩვენი ქვეყანა!** ჩემდა საუბედუროდ, მე 1937 წელიც გამოვლილი მაქვს, ძალიან კარგად ვიცი, რაც ხდებოდა მწერალთა კავშირში, ინტელიგენციაში... ვიცი, როგორ იმეტებდნენ ერთმანეთს დასახვრეტად... ჩემს თვალწინ დაიღუპა ბიძაჩემი, უბრწყინვალესი დირიჟორი ევგენი მიქელაძე... ეს შიში სულ მდევს... **ღმერთმა ნუ ქნას, ისევ დადგეს ის დრო, როცა ანალოგიურად დავიწყებთ ერთმანეთთან ანგარიშსწორებას... ამის საშიშროება კი ნამდვილად დავინახე...** „ტელეიმედის“ იმიტირებული სიუჟეტის მერეც, იმ დარბაზშიც დავინახე ეს განწყობა! ვაღიაროთ: **იმ სალამოს „ტელეიმედის“ სტუდია სავსე იყო ბონია მეწისქვილეებით, ბუდარებითა და ბუდარიხებით! საშინელი ხალხი იყო!** ან, რაღა უნდა ვილაპარაკოთ? ჩემს თავზე აღარც ვლაპარაკობ, მაგრამ მახსოვს, ანა კალანდაძეც კი ხალხის მტრად გამოაცხადა სააკაშვილმა, სულხან მოლაშვილის მხარდამჭერი ხელმოწერები რომ შევაგროვეთ! ახლა მე დავსვამ შეკითხვას დათა თუთაშხიადან: **„რას დაგამსგავსათ, თქვე უბედურებო, მამაძაღლმა აბელა სეთურმა? რას ჰგავხართ, ხალხო?“ ან მერაბ ბერძენიშვილზე და მის შემოქმედებაზე რომ ხელს აღმართავ - რა კაცი ხარ შენ? ფაშიზმი ძეგლების მსხვრევიდან და წიგნების დაწვიდან იწყება!**

ესაუბრა
**გიორგი მამაცაშვილი**





# მზია თოთლაძე:
# დღეს ამ ტელევიზიას „იმედი“ ნამდვილად აღარ უნდა ერქვას!

**იმიტირებულ „ქრონიკაზე“ და საკუთარ საპროტესტო გადაწყვეტილებაზე აწ გარდაცვლილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის ბადრი პატარკაციშვილის და, ქალბატონი მზია თოთლაძე გვესაუბრება:**

- რეაქცია იყო საშინელი. მე ვიყავი დედასთან და შემთხვევით გადავრთე „იმედზე“. ეკრანს „Live“ ეწერა და ჟურნალისტი ჩვეულებრივ გადმოსცემდა „ქრონიკის“ სიუჟეტებს. დედა ისედაც არ არის კარგად და ლამის გული გაუსკდა! ძალიან აღმაშფოთებელია! სად აღარ ვცდილობდი დარეკვას, მაგრამ სატელეფონო ხაზები გადატვირთული იყო... მერე გავიგეთ, თურმე, რაც მომხდარა და რა პანიკაც ყოფილა ხალხში... უამრავი ადამიანი წაუყვანიათ საავადმყოფოში გულის შეტევით. **საერთოდ, რას აკეთებენ ესენი? ალბათ, მსოფლიოში არ არსებობს მსგავსი პრეცედენტი, რომ ასეთი რამ თუნდაც გაიფიქროს ადამიანმა!**

დიახ, ვაპროტესტებ იმას, რომ ამ ტელევიზიას „იმედი“ ჰქვია დღეს! ბადრიმ როცა დააარსა ეს ტელევიზია, დიდხანს ეძებდა მის სახელწოდებას და „იმედი“ იმიტომ შეარჩია, რომ ნამდვილად იმედის მომგვრელი ტელევიზიის გაკეთება ჰქონდა დაგეგმილი! მას იმ იმედის ჩასახვა სურდა ხალხში, რომ საქართველოში მართლაც ყველაფერი კარგად იქნებოდა! ერთად დგომა, სიკეთე, სიყვარული და ერთგულება უნდა ყოფილიყო ამ ტელეკომპანიის გზაც და კრედოც!

**დიახ, დღეს, თუნდაც ამ სიუჟეტის ნახვის მერე, მე მაქვს ძალიან დიდი პროტესტი, რომ ამ ტელევიზიას „იმედი“ ჰქვია!** კატეგორიულად ვიმეორებ: მართალია, ეს ტელეკომპანია, ადრე თუ გვიან, ნამდვილად დაუბრუნდება ბადრის ოჯახს, მაგრამ დღეს ამ ტელევიზიას „იმედი“ ნამდვილად აღარ უნდა ერქვას!!!



მოამზადა
**გიორგი მამაცაშვილმა**

# „მუღამს“ გადაყოლილი საქართველო!

**კატეგორიობას არ ახსოვს შემთხვევა, როდესაც პოლიტიკურ ლიდერს საკუთარი ხალხი ასე ცინიკურად გაებითურებინოს და მშობელი ერისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინოს! რამდენიც უნდა ამტკიცონ გიორგი არველაძემ და ეკა წამალაშვილმა, მედიაში გამომზეურებული სატელეფონო ჩანაწერი სიყალბე და რუსული სპეცსამსახურების „შემოქმედებაო“, ეჭვს არ იწვევს, რომ „შორენვიზიის“ ამ ორი ხელმძღვანელის საუბარი აბსოლუტური სიმართლეა!**

**„ეს არის პროვოკაცია, რომლის უკან რუსული სპეცსამსახურები დგას... ჩანაწერი თავიდან ბოლომდე ფაბრიკაციას შეადგენს. ჩემი სხვადასხვა საუბრებიდან ამოკრეფილი ფრაზებია. ასე შეიძლება, დალაილამას ან რომის პაპთან ჩემი საუბარი გაკეთდეს“,** - ასე იმართლა თავი **გიორგი არველაძემ.**

სკანდალური სატელეფონო ჩანაწერისას ბატონი არველაძის თანამოსაუბრე მართლაც დალაი-ლამა ან რომის პაპი რომ ყოფილიყო, მაშინ მართლაც იფიქრებდა ადამიანი, ამ პატიოსან კაცს ნამდვილად რაღაცას აბრალებენო! **მაგრამ როდესაც შენი თანამოსაუბრე ეკა წამალაშვილია და არა დალაი-ლამა?**

„იმედის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **ეკა წამალაშვილი** სატელეფონო ჩანაწერში ნათლად ამბობს:

**„გუშინ ვკითხულობდი, ქცევის კოდექსი რომაა, მაუწყებლობის, მანდ არის პირდაპირ მეცამეტე მუხლი, რომ საზოგადოებაში უსაფუძვლო პანიკის შექმნა და ეგეთი რაღაცები ბლოკავს ლიცენზიას, გაფრთხილებ, მაინც რომ იცოდე. ჯობია, რომ მივაწეროთ, რომ არის რაღაც მოდელირება და მერე სადავო აღარ ექნება არავის, თორემ შეიძლება, გვიჩივლონ ვიღაცებმა...“**

ანუ რუსული სპეცსამსახურების ოანბაზობის გარეშეც **ეკა წამალაშვილმა** კარგად იცის, რა შედეგი შეიძლება მოყვეს „მოდელირებული ქრონიკის“ ეთერში გაუფრთხილებლად გაშვებას და აფრთხილებს კიდეც თავის ხელმძღვანელს!

ამაზე არველაძე, მისი შიგთავსიდან გამომდინარე, „ლოგიკურად“ პასუხობს:

**„არა, ახლა რატომ გირეკავ, გეტყვი და მიხვდები შენ თვითონ და დასკვნებს შენ თვითონ გამოიტან. მიშა მელაპარაკებოდა გუშინ, ჰოდა, რას შვრებითო და მეთქი, ესე ვაკეთებთქო და ხომ ისე გავა, როგორც ჩვეულებრივი „ქრონიკაო“. მე ვუთხარი, ჰო-თქო, მაგრამ წინასწარ თოქ-შოუზე იტყვიან, რომ იყო მოდელირება. აუ, ეგ არ ქნათო რა, მთელ მუღამს დაუკარგავსო...“**

სად არის აქ რუსული სპეცსამსახურების მსახვრალი ხელი? გიორგი არველაძე ვიღაცას (ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს, ვის) უმტკიცებს: **მიშა მთელი ამ ამბის „მუღამს“ იმაში ხედავს, რომ „ქრონიკის“ საინფორმაციო გამოშვება ხალხმა „მოდელირებულად“ კი არა, ნამდვილ ამბად აღიქვასო!**

**„ტრასებზე რომ ალიაქოთი ატყდეს?“** - კითხულობს წამალაშვილის ქალი.

**„არა, იძახის, რომ წინასწარაც ნუ გააფრთხილებთო“,** - პასუხობენ!

ეკა წამალაშვილი რუსული სპეცსამსახურების დაუხმარებლადაც ხვდება:

**„წინასწარაც რომ არ თქვა, მაინც რაღაც მოხდება და მე დამიჭერენ და შენ სანამ ჩამოხვალ, „ნარუჩნიკებით“ გამათრევენ. შეიძლება, ვინმეს გული გაუსკდეს... ახლა წარმოიდგინე, რამდენი უსუსური უყურებს, ვიღაც მაყურებელი ზის ტელევიზორთან, ან ცოტა შიზოიდი, რაღაც შეიძლება მოხდეს სტრესებისგან და პასუხს ვინ აგებს?“**

მოკლედ, ეკა წამალაშვილმა მშვენივრად უწყის, რასაც აკეთებს და აშკარად შიშობს, ემანდ, „ვირის აბანოში“ არ მიკრან თავიო!

**რა შუაშია აქ რუსული სპეცსამსახურები?!** ეს წამალაშვილი ხომ პირდაპირ ამბობს, რა წარმოდგენაც აქვს საკუთარ თანამემამულეებზე - **მისთვის მაყურებელი არის „უსუსური“, „შიზოიდი“, რომელმაც შეიძლება, სულ გააფრინოს ანდა მიღებული სტრესისგან „მარილზეც გავიდეს“!**

ეს ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ **სააკაშვილმა, მართალია, დაიწუწუნა, მოსახლეობა წინასწარ უნდა გაეფრთხილებინათო, თუმცა, იქვე ისიც აღნიშნა, რომ ეს იყო „რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სცენარი“!**

არველაძემ კი განაცხადა, მე პასუხისმგებლობას ვიღებ, მაგრამ მაინც გავაგრძელებ „იმედის“ დირექტორობასო!

**თუ არველაძე მართლაც „იმედის“ მფლობელმა „კერძო კომპანიამ“ დაიქირავა გენერალურ დირექტორად, მაშინ რატომ იყო იგი ასე დარწმუნებული წინასწარ, რომ კვლავაც დარჩებოდა თანამდებობაზე?** ამ რიტორიკულ კითხვაზე ერთადერთი პასუხი არსებობს: **გიორგი არველაძეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეცოდინებოდა, რომ პოსტს არ დაატოვებინებდნენ, თუ „იმედს“ არა რომელიღაც კერძო მეპატრონე, არამედ პირადად სააკაშვილი მართავს!**

**სააკაშვილს რომ თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა, ამით მხოლოდ ერთ რამეს დაადასტურებდა: არველაძე სატელეფონო საუბარში მიშას „ჩაშვების“ გამო დაისაჯა! ეს კი ლოგიკურად იმაზე მიანიშნებდა, რომ არველაძემ მართლაც სააკაშვილის პირადი გადაწყვეტილებით დაზაფრა ხალხი „მოდელირებული ქრონიკით“!**

●

„მოდელირებული ქრონიკის“ პირველივე სიუჟეტისთანავე ხალხი ქუჩაში გამოვარდა; ზოგი ბანკომატებს ეკვეთა, ზოგი - სასურსათო მაღაზიებს, ჯარში საბრძოლო განგაში გამოცხადდა... მოკლედ, **ქვეყანა ქაოსმა მოიცვა!**

**ეს არის სახელმწიფო, რომელიც არ „ჩამოიშალა“?!**

აკი, სააკაშვილმა თავისი ხელით ჩაწერა „მოდელირებულ ქრონიკაში“, მთავრობა იატაკქვეშეთში გადაბარგდა, ჯარის ნაწილი კი რუსული ოკუპანტების მხარეზე გადავიდაო!

**გიორგი გიგაური**






მამული
ქართველი ემიგრანტის გაზეთი შეერთებულ შტატებში



# ქუთაისი, ზღვის პირი...

აკა მორჩილაძე

ქუთაისზე როგორ უნდა დავწერო, ქუთაისს ისეთი მწერლები ჰყავს.

ქუთაისი ისე მიყვარს, რომ იქ არც მიცხოვრია. ერთ ღამეზე მეტი, გადაბმულად არც არასდროს გამითევია. დღემდე ვერ ავუღე ალღო ქალაქის გეოგრაფიას. ანუ, მარტო რომ შევიდე, ეგებ გასასვლელს ვეღარც ვუწიო.

შესასვლელი ვიცი, მარცხნივ კვახჭირი დარჩება.

ძველი შესასვლელიც ვიცი, ურიცკის ქუჩით.

არსებობს ახლა ძველი შესასვლელი? ეგ სამწუხაროდ აღარ ვიცი.

ანდა რა მნიშვნელობა აქვს? ქუთაისში არ მიდიხარ ხოლმე გეოგრაფიის დასამახსოვრებლად. არასდროს.

ქუთაისში მიდიხარ და მორჩა.

მართლა არ ვიცი, როგორ დავწერო ქუთაისზე. თავში სულ ფერადები დამირბის.

ეს არ არის ბოლო ოცი წლის ფერადები.

იყო ფერადები ბოლო ოც წელიწადს? ალბათ იყო, მაგრამ მე როგორღაც არ მომხვდა.

1918 წლის ზამთარში, სულ რამდენიმე დღეში, ქუთაისი დაიცალა. ყველამ, ვინც ქუთაისის სახეს ქმნიდა, რატომღაც გადაწყვიტა, რომ თბილისში წამოსულიყო. პოეტებმა, მხატვრებმა, მსახიობებმა, მასწავლებლებმა, ინჟინრებმა ასე გადაწყვიტეს. მგონი იმიტომ, რომ საქართველო დამოუკიდებელი იყო და ერთგვარ ცენტრად თბილისი აღიქმებოდა. ეს შეუმჩნეველი ამბავია ჩვენს ისტორიაში. თან უცნაური ამბავი. არადა მომხდარი ამბავია. დიდი შეცდომაც, რომელიც ალბათ ვეღარასდროს გამოსწორდება.

ქუთაისის ლეგენდარული ქართული გიმნაზიის მასწავლებლები შეიქნენ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორები. განთქმული ქუთაისელი ექიმები მოეწყვნენ თბილისის საავადმყოფოებში. ქუთაისელი პოეტები ჩამოსხდნენ თბილისის კაფე „ქიმერიონში“, რომელიც ეგებ სხვა არც არაფერი იყო, უქიმერიონის გარდა. უქიმერიონის აღმართი... გეხსომებათ.

ამის შედეგი ის იყო, რომ ერთი ქალაქი დაიმცრო, მეორე კი კიდევ უფრო იზარდა.

არა მხოლოდ ესენი: ლეგენდარული ახალციხური გვარებიც კი, რომლებიც ქუთაისში აგე, როდის მოვიდნენ, თბილისისკენ გამოეშურენ.

რა არის ეს თბილისი ამისთანა. რატომ იყო საჭირო. რისთვის იყო საჭირო ეს დაძვრა. ასეთი უცაბედი. არც მახსოვს, სად ამოვიკითხე ეს ამბავი. ერთადერთი წინადადება ეწერა, - ასე მოხდაო. მგონი, არც იყო ქართული ტექსტი. ინგლისური იყო. ნამდვილად ინგლისური.

ჩვენს წიგნებში არ წერია ხოლმე ასეთი რამეები.

ეს ალბათ ძლიერ ინფარქტს ნიშნავდა.

სულაც არ მინდოდა ამ დრამატული ამბის გახსენება.

ბოლოს და ბოლოს ქუთაისს თავადაც ერგებოდა საუნივერსიტეტო ქალაქად ყოფნა.

მოხუცებული დიმიტრი ყიფიანი, რომელიც ყველა თანამდებობას ჩამოშორებული იყო, ბოლოს იმერეთის თავადაზნაურობის მარშლად აირჩიეს. გადარეული ყოფილა, - რა მიქნეს ამ ქუთაისელებმა, როგორ დამხვდნენო. ეტლში ჩამსვეს და მთელი ქალაქი ზარზეიმით მომატარესო.

დიმიტრი, ქართლელი ყიფიანი იყო, სუმბათაანთ აზნაური. ცხოვრება ისე გალია, რომ ზედმეტად არავის გაუღიმია მისთვის.

ქუთაისური გიტარა. სად წავიდა ქუთაისური გიტარა? მგონი, დღევანდელ თბილისურ ტრიოებში გადმოინაცვლა.

ოღონდ, სიმართლე რომ ვთქვა, არც ამის გახსენება მინდოდა.

სულ სხვა რამის დაწერა მინდა.

სამსონ ფირცხალავას უწერია, - ქუთაისიდან თბილისში რომ გადმოვედი, წავხდი კაცი, ვერ შევეგუე ასეთ სიჭრელეს, ასეთ განსხვავებულობასო.

პურსაც კი ვერ ვჭამდი, იმდენად განსხვავდებოდა ქუთაისურისგან, ჩემი დამემართა, სანამ მივეჩვიეო.

ბავშვობისა რა მახსოვს და, ადრიან დილით ქუთაისში, რუსთაველის ქუჩაზე, პაწაწინა სახლში მამიდაჩემი ცხელ ხაჭაპურს ჭრის და ჩაის ძველებურ ჭიქაში ბლომად ალუბლის მურაბას მიყრის. ვფიქრობდი, რანაირია ნეტა ეს ქუთაისი-თქო. არ ვიცოდი, ვიცოდი მხოლოდ ეს სახლი.

ჩვენები ომამდე ქუთაისში ცხოვრობდნენ, კაი დიდი სახლი ჰქონდათ გორაზე. მერე ომმა არია ცხოვრება. ბაბუაჩემი დაიძრა.

ეს გრძელი ისტორიაა და უცხოს არ დააინტერესებს.

სინამდვილეში სულ სხვა რამე მინდოდა მეთქვა. აი, ვუტრიალებ და ვერ ვახერხებ. რაღაც ნაკუწებს ვკრეფ და მგონი, საბოლოოდ რამე გამომივა.

მე რა უნდა დავწერო ქუთაისზე. ბავშვობიდან ვყოფილვარ იქ. ქუთაისის სადგურში დიდთოვლობას გაჩხერილ მატარებელშიც ვმჯდარვარ, სათაფლიას დუქანშიც ვყოფილვარ, გელათის ამბავსაც მივხვედრილვარ, მგონი, და ბაგრატის ტაძრის თაღში რომ ლეღვის ხე იყო შეზრდილი, ისიც დამამახსოვრდა. შიგ ჩიტები ფრთხიალებდნენ. ლეღვი იყო, მგონი. ვერ ვცნობდი მაშინ, პატარა ვიყავი. საოცარი რამ კი იყო. ახლა აღარ არისო, - მითხრეს. ბაგრატი უნდა აშენდესო, მგონი, ამასაც ამბობდნენ. ის თაღში ამოზრდილი ტოტები და შიგ შეფრთხიალებული ჩიტი, მგონი, ყველაზე ლამაზი რამ არი, რაც ცხოვრებაში მინახავს. კიბეც გადასარევია. გახსოვთ, „საბუდარელ ჭაბუკში“ ჩხუბი როა ამ კიბეზე? ცუდი უშანგი და კარგი გოგიტა რო ჩხუბობენ?

ქუთაისი სურათებია. სურათებს სიცოცხლე უნდა. სად არის სიცოცხლე?

რა უნდა ვთქვა ქუთაისზე. ნაგლეჯები: რესტორანი ქვაშავაზე. ძველი გოგისვანიძეები. დავით აღმაშენებელი. მოწამეთა. მამაო გაგი თავისი სამკურნალო ბალახებით. ყველა მაინც გაგის ეძახდა.

ბიკენტიას წყვილი ქაბაბი. ნიკო ნიკოლაძის დები. აკაკი აივანზე. ბოჩკები. ქუთეისელი ქურდები. ქუთეისელი ბუფეტჩიკები. ტუა. ბუნჩულა. რა ვიცი. სულ სურათებია, რომლებსაც ბავშვობიდან ვხედავდი გაკვრით ან არ ვხედავდი, ყურს მოვკრავდი და წარმოვიდგენდი.

რა ინდუსტრიის მშენებელი ეგ იყო.

გალაკტიონი. ქუთაისის გიმნაზია. ცისფერი ყანწის ბიჭები. დახვრეტილი ბარონ ბიბინეიშვილის მოგონებები ქუთაისის შესახებ. საოცარი მოგონებები, სხვათა შორის. ქუთაისის ციხე. აწ გამქრალი. სტალინის კამერა. გიჟუას ნახტომი. თხაწვერა გოგია. პოეზია. ქუთაისის თეატრი. ის, ძველი, ჭიჭიკია და ბიჭიკია. იმათი ძაღლი. ბისკვიტია. პიანი ბაზარი. მწვანე ბაზარი. კვაჭი კვაჭანტირაძე, კაცი დაბადებული სამტრედიასა და ხონს შუა, ქუთაისში გაგიმნაზისტებული.

სულ მომწონდა ქუთაისის უბნების სახელები. თბილისისა როგორღაც უფრო დამჯდარი და პირქუში იყო. მწვანეყვავილა. სასაფლაოს უკეთესი სახელი მე არ გამიგონია. ასე რომ ჟღერდეს. სამსონ თოფურია. სამსონ თოფურიას ლეგენდარული ბიუსტი. სად არის იგი? გინახავთ სამსონ თოფურიას ფოტო? ექიმი, ადესაში მტვირთავად ნამუშევარი. სხვა იერის კაცი. აკაკის გადამრჩენი, არაერთხელ. ექიმი ასევე, ივანე გომართელი. სოციალისტი, მგონი. წერდა გაუთავებლად. გარეგნობა-საუკეთესო სასიძო. რიონის წვერა. რიონის ქვები. კომუნისტებმა გაისროლეს რიონი ქუთაისიდან. დააწყალმარჩხეს. დარჩა ქვები. თეთრი. ქუთაისის ხიდები... შეიძლება, რომ ყველაფერი ასე სახელიანი იყოს? ასე გამოკვეთილი? ჯაჭვის ხიდი. სანამ ვნახავდი, ბავშვობაში უშველებელი წარმომედგინა. მერე გადავიარეთ. პატარა ხიდია. მაინც განუმეორებელი. არაფერი და ყველაფერი. როგორ მირბის ზედ, რევოლვერმომარჯვებული კონსტანტინე დადეშქელიანი, რომელმაც ეს წუთია მოჰკლა გუბერნატორი. ამპრეტუზო მედუზო. პიკასოს ბიჭი. ლადო მესხიშვილი, ხმა ჩახლეჩილი, ფრანც მოორის როლში, კინაღამ მართლა რომ ჩამოიხრჩო თავი. პიპინია მიქელაძე ახტა სცენაზე, ხმლით გადასჭრა თოკი. დარჩა ხმა გაბზარული. ქუთაისის ხმა. სერგია ერისთავი. გიცანი, სერგია გიცანიიი? რიონს რო მივქონდე და მეძახდე, გიცნობო, ასეა საქართველოს ამბავიო. სერგია ერისთავი. ქუთაისური ხუმრობა. დღეს, მგონი, ოდნავ ნაძალადევი, სერგიაზე და სხვათა კლასიკაზე აწყობილი. ოთარ მამფორიაზე, რასაკვირველია.

მინახავს მოხუცებული ბულალტრები, შავი ჰალსტუხებით, ტილოს პიჯაკებში, გარეთა ჯიბეში სამი-სამი ავტორუჩკით, შლაპებით. ბაღში. მოვესწარი ამის შემჩნევას. ბალისკიდეც მახსოვს. ცოტა ლუპენული ხუმრობებისკენ მიდრეკილად წერდნენ მის შესახებ.

ბულვარი, გულვარდი. ასე უნდა სწორედ სიტყვის მორგება და გადაკეთება. დანიელა ურია. ქუთაისის ებრაელობა. ქუთაისის რუსობა და ქუთაისის პოლონელობა. მოკრივე ბოჭოლია. ნამდვილი ვარსკვლავის კი არა, შოუ და რაღაცა. ძველი ქუთაისელი ძელეცები. ერთხელ, ბავშვობაში, ქუჩაზე დამახსოვრებული კაცი. ეს ვინაა, იცი? იობიძეა, ათასკაციანი ქორწილი რო გადოუხადა შვილს და რო დეიჭირეს. დაჭერები. პიერ, პიერ. მე მილიციაში ვმუშაობ და ქორწილებში თუ ვუბაგუნე დოლს... ქუთეისია, უნდა უბაგუნო. ჩემი მეგობარი ნოდარი. ტიტე ვაჩაძე. ტორპედო. ქუთაისის ტორპედო. თავისი მთელი ამბებით. იუზა ლოსაბერიძის გოლი კიევის კარში, სისინა ქარის თანხლებით. ომი ქუთაისის სტადიონზე, სიკვდილი. სახალხო მღელვარება. დაღუპული ბიჭი. ბადრი ფარულავა, დურმიშხან ქვირია, ლეგენდა - ჯემალ ხერხაძე. კარგია, როცა ყველაფერი შენი გაქვს. მე მომწონს, სხვისი არ ვიცი.

მე რა უნდა ვთქვა ქუთაისზე, რაც არ უთქვამთ და რაც თავიანთ გულში არ გაუტარებიათ? მართლა მაისში იყო მაგარი. ქარები იცის, ოხრული ქარები. მიდი, მოდი, თეთრო ხიდო, ოლასკურა, საფიჩხია... შალიკო ხვინგიაძე. სინამდვილეში გიგიაძე. შეხვედრები ჰიტლერთან. დათეშიძის გორა. აგული ერისთავი, სასაფლაოთა მიქელანჯელო. პერსონაჟები და რეალური ადამიანები სრულიად ერთად, ყოველგვარი გამოცალკევების გარეშე. ქუთაისური გვარები. მიქელაძე-მიქელთაძე. რომელ ქალაქში დაარქმევენ შვილს შედანს ჩვენს დროში? შედან ჭილაძე, მეჩვიდმეტე საუკუნის დიდი მსმელი. ჰოდა, არქმევენ. კოლია ქვარიანი. კოლია ქვარიანი! გოლიათი, ამერიკულ ფილმებში. გადახვეწილი. დიდი და მელოტი კოლია ქვარიანი. ზანგ ხულიგნებთან ჩხუბში დაღუპული სამოცდაჩვიდმეტი წლის დევი. დღემდე კლასიკა, ჭიდაობის სურათი, ჩახედეთ იუთუბს, ჯინ სტენლი-კოლია ქვარიანი. სიმონ ქვარიანი, ისტორიული რომანი... მამაჩემის მოგონება: ჩამოვედი მატარებლიდან, გავიარე სადგური, დილაა, ვიტრინიდან ხელს მიქნევენ ბოჭოლია და გენდრიმოვიჩი, წინ უდგათ არყის ბოთლები და ლუდის კათხები. უნდა დაგვეწიო, თითო ბოთლი დაცლილი გვაქ უკვეო. რავარი დასაწევია. პერაშკი ჩააყოლე, პერაშკი. რიონის წვერა. გინახავთ, ჩხირებზე აგებული? ეს ორი ვარია შოუშვი ისრიმ მაყვალში... მწვანილი, ქუთაისის მწვანილობის ეპოქა... მგონი, რაღაც ვთქვი და რაღაცას მოვყევი, იქ არმცხოვრები კაცის პირობაზე, თორემ მე რას უნდა მოვყვე ქუთაისზე. მე ვინ ვარ ამ საქმეშიი? ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა. ცოტათი მაინც. მთავარი კი არ მითქვამს.

დიდი ქუთაისური ლიტერატურა. დიდზე დიდი. პირადად ჩემთვის სრულიად გადამწყვეტი და განუმეორებელი დღევანდელი ჩვენი მწერლობისთვის. ეგ რომ არ ყოფილიყო... არ ვიცი, აზრებს ძნელად გამოვთქვამ ხოლმე ფილოლოგიურად. ასე დაცლილმა, ასე გადასხვაფერებულმა, გულგამოღებულმა, მაინც მოახერხა და ამდენი გააკეთა. ამდენი კი არა, მე რო მკითხო...

ჩემს გონებაში ქუთაისი, როგორც სისტემა დაიწყო რეზო ჭეიშვილის მოთხრობით, სადაც წყალტუბოს არქივში მომუშავე მწერლის ცხოვრება იყო აღწერილი და სადაც მოთხრობილ იყო მოკრივე ბაჭიას სიკვდილზე ავტოკატასტროფაში.

ალბათ ბაჭია მაშინვე დავუკავშირე, ადრევე გაგონილ ბოჭოლიას და ალბათ იმასაც მივხვდი, რომ ეს ერთი და იგივე კაცია. მე რა უნდა ვთქვა ქუთაისზე. ეგებ სულაც არასწორად ვამბობ ოდესღაც გაგონილ სახელებს.

მაგრამ მახსოვს წვიმა იმ მოთხრობაში და ძველი ქუთაისელი ძელეცები რესტორანში.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ მოთხრობამ ჩემზე სრულიად განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა. სრულიად გარკვევით ვხედავდი იმ ადამიანებს, რომლებიც იქ მიმოდიოდნენ. შეიძლება იმიტომ, რომ რაღაცები და ვიღაცები უკვე მენახა ქუთაისში. არ ვიცი. მაგრამ ასე კი იყო და ახლაც ასეა.



მერე წავიკითხე მისივე „მუსიკა ქარში“. ჩემი ჭკუით, ეს არის უმნიშვნელოვანესი ქართული წიგნი ბოლო ას წელიწადში. ჩემთვის, ისევ და ისევ, თორემ სხვისთვის რა ვიცი. ამ წიგნის ტონი სრულიად უცხოა ჩვენებური წიგნებისთვის. ომის და ომისშემდგომი ქუთაისი. სიმინდი, ბაბუა, ლეკის ბიჭი, პორფილი, დაუმთავრებელი სახლი. ბიჭი, რომელიც ყველაფერს იმახსოვრებს. ასეთი ქუთაისი კარგა ხანს მმართავდა. სულ არ გავდა იმას, რასაც თვალს მოვკრავდი ხოლმე. იქ რომ მოვხვდებოდი, აუცილებლად გადავხტებოდი ხოლმე ამ წიგნში და ვადარებდი. ეგეთი ქვეყანაა საქართველო. გააკეთებ ასეთ რაღაცას და არის ეს რაღაცა ჩუმად, ვითომ ასეთი წესია. მოხდება ხოლმე ასე.



მგონი, არ უნდა შევყოლოდი ამ ლაპარაკს. ველარ დავამთავრებ. ანდა დაუნდობლად უნდა მოვკვეცო. ჩემი ქუთაისური წიგნები კი რასაკვირველია ჩემთან დარჩება.

ერთხელ კოტე ჯანდიერმა რეზო გაბრიაძესთან წამიყვანა. ვისხედით და ვლაპარაკობდით. მე რა უნდა მელაპარაკა, მკითხავდა რამეს და ვუპასუხებდი. იჯდა და ხმადაბლა გვიამბობდა რაღაცებს, ლიმონათს აძალებდა ჩემს ქალიშვილს და მალიმალ ეუბნებოდა, - ყოჩაღ, თუ სამიანებს ილებ ხოლმეო. მისი მობილური ყიოდა მამალივით, ის თავად ეწეოდა ძალიან წვრილ სიგარეტებს, ჩასცქეროდა საფერფლეს და ხმადაბლა გვიყვებოდა, როგორ ჩამოვიდა ქუთაისიდან თბილისში, დაბალი და გამხდარი; როგორ დადიოდა საჯაროში, სად რომელი ბირჟა იდგა რუსთაველზე და ამას ყვებოდა არა წარსულისადმი მისი თაობის თბილისელთათვის ჩვეული რომანტიკით და ლაღიძის წყლებზე აქცენტით, არამედ როგორც განვლილი ტკივილის შესახებ. ეს არ იყო ტკივილი წასული რომანტიზმის შესახებ. ეს სულ სხვა ტკივილი იყო. მე მინდოდა, ქუთაისზე მოეყოლა. ხომ არ დავუწყებდი გამოკითხვას. იმ ნაამბობში, ქუთაისი ერთადერთხელ ახსენა და ისე, რომ არ უხსენებია. ასე თქვა: ჩამოვედი აქ, ბავშვი. სიყვარულის მეტი არაფერი მენახა და არაფერი ვიცოდი.



თამაზ ხარაბაძის ფოტოარქივიდან

ჰოდა, რაიმეს კითხვა ქუთაისის შესახებ რაღა საჭირო იყო.

კაცმა თქვა, - სიყვარულიდან ჩამოვედიო.

ისე რაღაცნაირად დამამახსოვრდა...

ახლა ხომ არ მოვყვები, რა არის რეზო გაბრიაძის ქუთაისი და რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის მის ქუთაისს ბოლო ორმოც წელიწადს.

მგონი, რაღაც კუთხით, მისმა ქუთაისმა გადაგვარჩინა კიდეც. ოღონდ ადამიანებს არ უყვართ ასეთ რამეებზე ფიქრი. ვაი და, სადამდე მიხვიდე.



მე კიდევ, რა უნდა ვთქვა ქუთაისზე.

ეს იყო ხმელთაშუა ზღვის ქალაქი, რატომღაც მოხვედრილი ხმელთაშუა ზღვისგან შორს. ალბათ ეს არის ამ ქალაქის დრამა.

მოვიგეთ, ფეოლა...

გაგიჭირდებოდათ.

მიტროფანე ლაღიძემაც იქიდან დაძრა თავისი წყლები თბილისისკენ!

# რატომ დასცინით ადამიანებს?

**ლუდომანია... არა, არ გეგონოთ, რომ ეს ლუდის ფანატიკურ სიყვარულს ნიშნავს. საქმე გაცილებით, განუზომლად რთულ პრობლემასთან გვაქვს! ლათინურად ludus - თამაშია, ხოლო ლუდომანია ფსიქიკური მოშლილობის უმძიმესი ფორმაა. ნარკოლოგების მტკიცებით, ლუდომანიის ბოლო სტადია პრაქტიკულად განუკურნებელია. წმინდა მამები გვიმოძღვრავენ, რომ ამ დამღუპველ დამოკიდებულებას დემონური ბუნება აქვს. ვესაუბრებით ჯვართამაღლების ტაძრის მოძღვარს, დეკანოზ თეოდორე გიგნაძეს.**

**– მამაო, აზარტის სახით, რა ფენომენთან გვაქვს საქმე?**

- მე არ ვარ არც ფსიქიატრი, არც ფიზიოლოგი და არც ფსიქოლოგი, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ აზარტი ადამიანს ამჯერად ცვლის ფსიქიკურადაც და ფიზიოლოგიურადაც. მე, როგორც მღვდელი, სულიერი თვალსაზრისით განვიხილავ ამ ფენომენს. [illegible] რატომ ეძებს ადამიანი ამ აზარტის ზანდებს? პირველი - ადამიანს არ აკმაყოფილებს ის გარემო, რომელშიც ცხოვრობს. ჩვენ ამაზე ადრე უკვე ვისაუბრეთ. ხომ ამბობს პავლე მოციქული: ჩვენ ზეცის მოქალაქენი ვართო. [illegible] ადამიანი ქმნის რაღაც გარემოს, რომელიც [illegible] განსხვავდება მისთვის ჩვეული გარემოსაგან. ეძებს სხვა რამეს, უჩვეულო, მძაფრ განცდებს, რომელიც შეგვიძლია ჩავთვალოთ აზარტად. თუ დავაკვირდებით, როცა კაცი აზარტული თამაშებითაა დაკავებული, მისი სახე, თვალები, ნერვული სისტემა როგორი მობილიზებულია! ის აღგზნებულ მდგომარეობაშია და ჯანსაღი ფსიქიკა იმ მომენტში ნამდვილად არა აქვს. შეშლილი სახეც შეიძლება ჰქონდეს, გააჩნია, რა სტადიაშია, რა მგზნებარებაშია. ფაქტობრივად, ამ დროს ადამიანი ყველაფერს სწირავს... იგი ხედავს, ოჯახი [illegible], მაგრამ [illegible] „აქეთ"... ანუ იდეისათვის სწირავს ყველას და ყველაფერს, [illegible]

**– ამ დროს ადამიანის გონება სად არის?**

- როგორც კი შენ ხედავ, თუ რა [illegible] და მაინც ვერ იღებ ხელს აზარტზე, ჩათვალე, გონება აღარ [illegible]

**– ლუდომანიას დემონური ბუნება აქვსო. ამიხსენით, მამაო, როგორ შედის უბადრუკ [illegible] ადამიანში?**

- ეშმაკს არა აქვს ის ძალაუფლება, რომ ადამიანი ფიზიკურად დაღუპოს. ეს შესაძლებლობა რომ მიეცეს, კაცობრიობას გაანადგურებს. არის მეორე რამ. **ეშმაკს არ აწყობს ადამიანის მხოლოდ ფიზიკური სიკვდილი. უფალი გვეუბნება კიდეც, არ გეშინოდეთ მათი, ვისაც თქვენი ფიზიკური მოკვდინება შეუძლიათ, [illegible]**

მოგეხსენებათ, არსებობს სათამაშო სახლები, სამეძავო სახლები, დასათრობი სახლები; ზოგიერთ ქვეყანაში ნარკოტიკების მიღებაც ლეგალიზებულია. ანუ ამ საძაგლობებს დახვეწილ ფორმებს აძლევენ - ალამაზებენ და ადამიანს კიდევ უფრო ღრმად ითრევენ მორევში. კაზინოში ფანჯარა არ არის, სასმელი უფასოა, [illegible] საათიც არ არის. დრო თითქოს გაჩერებულია. [illegible]

**– თუ საათაში რულეტის ყველა ციფრს - 1-დან 36-მდე შეკრებთ, ჯამში მივიღებთ 666-ს, ანუ „მხეცის" ნიშანს. ეს შემთხვევითია თუ?**

- ქრისტიანობა ასწავლის და ყველა მორწმუნემ იცის, რომ შემთხვევითობა სამყაროში არ არსებობს. გაგორებული კამათელი შემთხვევით არასდროს დაჯდება ამა თუ იმ გვერდზე. მე ვფიქრობ, ვინც რულეტის ბორბალი შექმნა, იგი ეშმაკის მიერ იმართებოდა. თუმცა, თავად 666-ში არაფერი ცუდი არაა. ბიბლიის ერთ-ერთი გვერდიც ამ ციფრითაა დანომრილი და ეს არაფერს ნიშნავს, რადგან, ამ შემთხვევაში, სამი ექვსიანი ბოროტებასთან არ არის წილნაყარი. **ე. წ. რულეტში რომც არ ყოფილიყო 666, ის მაინც დარჩებოდა ჯოჯოხეთის „ინსტრუმენტად"... ეშმაკი ყოველთვის სატყუარას აგდებს, რათა ადამიანი მიიზიდოს მოგებით და შემდეგ უკვე უჩენს ცრუ იმედს.** საბოლოო ჯამში ადამიანი ეშმაკს უდიდეს ნატვრას უსრულებს - აზარტში შესული და წაგებით განადგურებული თვითმკვლელობამდე მიდის. ერთმა კრუპიემ, რომელიც ჩემთან სინანულით მოვიდა, თქვა: რამდენ ჩვენს კლიენტს მოუკლავს თავიო... ეს ხომ მასმედიაში არ ხმაურდება! შეიძლება გადასცენ, რომ ვიღაცა გადმოხტა ფანჯრიდან, ვიღაცა გაქრა, მაგრამ სად ან რა მიზეზით? და ეს მარტო ერთ კაზინოში! და ასეთი რამდენია! იგივე ითქმის ტოტალიზატორებზეც. შემთხვევით არაფერი ხდება. ეს არის დაცინვა ბოროტისა და სამორინეს მეპატრონეებისა. ანუ ეს არის დაცინვა მსხვერპლზე, რომელსაც იტყუებენ, მერე სულს უკლავენ და ხშირად ფიზიკურადაც ანადგურებენ. ცინიზმით კლავენ და თან დასცინიან! მოკლედ, რაც უფრო მეტად იხარჯება კლიენტი, მით უფრო უხარიათ. განა ვერ მოიაზრებენ, რომ ამის უკან რა ტრაგედიაა?! საბოლოო ჯამში მოგებული მატერიალურად ვინ ხდება? სამორინეს მეპატრონე და არა ის ადამიანი, რომელიც იქ შედის და სულელურ სიამოვნებაში არათუ ფულს იხდის, არამედ სულსაც ყიდის! ამიტომ ვაფრთხილებ აზარტით დაბრმავებულებს: სახლში შეტანილი ყოველი თეთრი ძვირად დაგიჯდებათ! იმიტომ, რომ დაგიდგებათ ჟამი გარდაცვალებისა და ყველაფერზე პასუხს აგებთ ღვთის წინაშე!

**– დავუშვათ, მოხდა სასწაული, მოვიდა თქვენთან სამორინეს მეპატრონე და მოინანია. რა ეპიტიმიას დაადებთ?**

- როცა ადამიანი მძიმე ცოდვაშია, რა თქმა უნდა, მას გამოსაცდელი პერიოდი ეძლევა. უპირველესად, მან ყველა კავშირი უნდა გაწყვიტოს აზარტულ თამაშებთან. ვითვალისწინებთ, ამ ცოდვამდე იყო თუ არა ის ქრისტიანი. თუ არა, ასეთ ადამიანს შეღავათი აქვს. თუ იყო ქრისტიანი - ცხოვრების მკაცრ სტილს ვუწესებთ. მაგრამ აქ ერთი ნიუანსია ძალიან მნიშვნელოვანი. კაზინო ხომ არ არსებობს სახელმწიფოსგან განცალკევებულად. ის ხომ სახელმწიფოს არსებობის და წყობის ერთ-ერთი გამოვლინებაა! არ მახსოვს, რომელიმე პარლამენტარს გამოეთქვას პროტესტი, თუ რატომ ყვავის ჩვენთან სათამაშო ბიზნესი.

**– რა აზრი აქვს? გააპროტესტებს უშედეგოდ...**

- **ადამიანო! შენ განაცხადე, წამოდექი და თქვი: გაუქმდეს სათამაშო სახლები, რადგან ჩვენი შვილები, ძმები და დები ილუპებიან იქ. პროტესტის არქონა იმას ნიშნავს, რომ თითოეული ადამიანი, ვისაც აქვს უნარი, კანონის შემოქმედებაში მონაწილეობა მიიღოს და ამ ჭირს არ აპროტესტებს - პასუხს აგებს ისევე, როგორც კაზინოს მეპატრონე! ბოლოს და ბოლოს, დემონსტრაციულად დატოვე პარლამენტი! მე, როგორც ხელისუფალი, აკრძალვით ორ რამეს ვაკეთებ: ჯერ ერთი, ღვთის წინაშე ამაზე პასუხს არ ვაგებ და მეორე - ცოდვა მცირდება!** თუ კანონით დაუშვეს სამეძავო სახლები, ნახეთ, რამდენი გაიხსნება! **თუმცა, საქართველო ერთ დიდ სამეძავო სახლად გადააქციეს „შორენას შოუთი"... ეკლესიას იმის ილუზია კი არა აქვს, რომ ცოდვა აკრძალვებით მოისპობა. არ მოისპობა! მაგრამ მე პასუხისმგებლობაზე მივანიშნე.** პარლამენტარი რომ ვიყო, ყოველდღე ვიყვირებდი, რომ უზნეო სანახაობები და სათამაშო სახლები აიკრძალოს, იმიტომ რომ, შესაძლოა, დღეს საღამოს გარდავიცვალო და მე თუ დღეს დილით ამას არ ვიტყვი, ღმერთის წინაშე პასუხს ვაგებ!

**– ნარკოლოგები ამბობენ, რომ ლუდომანია ნარკომანიაზე უარესია.**

- სამწუხაროდ, პრაქტიკულად არ მაქვს არცერთი შემთხვევა ლუდომანიით სერიოზულად დაავადებული ადამიანის განკურნებისა. ლუდომანიას მეტი გარეგნული ბრწყინვალება ახლავს, ვიდრე ნარკომანიას. მოთამაშეს იმედი აქვს, ნარკომანს კი - არა. იმედი დიდი სტიმულია! მოთამაშე იშვიათად, მაგრამ მაინც იგებს, ნარკომანი - სულ აგებს. ნარკოტიკი ფიზიკურად სწრაფად ანადგურებს ადამიანს, აზარტული თამაშები კი - გაცილებით გვიან. დაბოლოს, პრესტიჟი! ნარკომანობა მაინცდამაინც პრესტიჟული არ არის, აი, კაზინოში ჩასვლა და იქ სტუმრის დაპატიჟება - იცოცხლე! რაღაც „ბრჭყვიალებაც" ახლავს იქ წასვლას - ძვირადღირებული მანქანა, სამოსი, შვეიცარიული საათი მაჯაზე, გვერდზე წავის ქურქში გახვეული ლამაზმანი. ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ ძალზე ძნელია ამ ჭაობიდან ადამიანის გამოყვანა, პრაქტიკულად - შეუძლებელიც. როცა ვეკითხები მოთამაშეებს, რომლებსაც ბევრი ტკივილი აქვთ გადატანილი წაგების გამო და მაინც ამ ცოდვას ვერ ეშვებიან, პასუხი არა აქვთ. მხრებს იჩეჩენ. არ მახსოვს არცერთი შემთხვევა, ლოგიკურად ვინმეს დაესაბუთოს, თუ რატომ თამაშობს! ვეუბნები, ხომ იცი, რომ ვერ იგებ. კი, როგორ არა, ვიციო... ყველაზე დალაგებული პასუხია: იქ ყოფნა მსიამოვნებს, სხვა გარემოაო...



**– ძალზე მომრავლებულ ტელეთამაშებზე, მაგალითად, „ვა-ბანკზე" რას ფიქრობთ? იქ, როგორც წესი, პოლიტიკურ ელიტას ეპატიჟებიან, რომელიც თამაშობს და საკმაოდ აზარტულადაც.**

- ეს ე. წ. ტელეთამაშები და შოუები არის ადამიანის ტვინის გამორეცხვის უებარი საშუალება! ანუ ტვინსაც ურეცხავენ და დასცინიან კიდეც! ადრე მქონდა შემთხვევა, როგორც რიგითმა მოქალაქემ მივეცი ხმა ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს. ვფიქრობდი, რომ ქართული იდეისათვის თავს დადებს-მეთქი. მერე ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა, კაზინოში დავდივარო სათამაშოდ... ვინანე და ამის შემდეგ მისთვის ხმა არ მიმიცია!

**– ისინი თვლიან, რომ ეს მათ პოპულარობას ზრდის.**

- ასეთი პოპულარობა ქიმერაა! ამით ისინი გამარჯვებულები არიან? მე ვერ ვხედავ მათ შორის გამარჯვებულს, ვხედავ მხოლოდ მასხრად აგდებულებს!

**– ავიღოთ გადაცემა „ვის უნდა ოცი ათასი". უწინ, თუ აქ თამაშობდნენ საკუთარი მოგებისთვის, ახლა ამ შოუში იწვევენ ე. წ. ცნობილ სახეს და იქვე მიუსვამენ გაჭირვებულს, რომელსაც მოხმარდება სტუმრის მიერ მოგებული თანხა. რა არის ამაში ცუდი?**

- გაჭირვებულს ფულს რომ აძლევენ, ეს კარგი, კეთილშობილური საქმეა! მაგრამ აქაც მზაკვრობაა ჩადებული. დავუშვათ, მაგ მოთამაშეს აზარტი ტვინს არ უბნელებს, სამაგიეროდ, მის გვერდზე მჯდომისთვის გადაიქცევა ეს თამაში აზარტად! ხვდები? გაჭირვებულის სულში იბუდებს ეს უბედურება - შფოთი, ცრუ იმედი, ცრუ იდეალი!.. ან ბავშვების შოუ რომ არის **„ყველაზე ჭკვიანი".** ჯერ რამხელა ამპარტავნებაა ჩადებული სათაურში! მერე, ვითომ ფორმაა მოძებნილი - მოდით, ცოდნა გამოვავლინოთო. ამაში შეიძლება იყოს რაღაც დადებითი, მაგრამ, მეორე მხრივ, აშკარა უსამართლობა ამოტივტივდება იქ. დაძაბულ ვითარებაში და თან ძალზე შეზღუდულ დროში ზოგიერთი მართლაც ნიჭიერი ბავშვი იბნევა, ვერ ავლენს ცოდნას და იჩაგრება, რამაც შეიძლებოდა დააკომპლექსოს კიდეც! ასეთ სიტუაციაში დიდია ალბათობა, რომ გაიმარჯვებს არა ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი, არამედ ყველაზე მოხერხებული. **თუმცა, არც გამარჯვებულია კარგ დღეში. მას უჩნდება უპირატესობის მძაფრი განცდა, რაც ქედმაღლობას კვებავს...** მოკლედ, როცა აზარტი ჩართულია განათლებაში - ცუდი რამ ხდება სულში! არაჯანსაღი ელფერი დაჰკრავს ამ შოუს, მიუხედავად იმისა, რომ კარგადაა „შეფუთული" და მოწოდებული.

**– გამოიჩეკა ახალი, საკმაოდ აზარტული ტელესანახაობა - „ნიჭიერი"...**

- ვნახე და ავღშფოთდი! ამ სანახაობის მონაწილეთა 90 პროცენტი, შეიძლება მეტიც, ფსიქიკურად არაჯანსაღი ადამიანებია. მე, როგორც სასულიერო პირი, ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც ნამყოფი ვარ და იქ ბევრი საოცარი ვინმე მინახავს. მაგალითად, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის „შვილიშვილი". ფსიქიატრიულის პალატებში ნახავ ნაპოლეონებს, კეისრებს, ალექსანდრე მაკედონელს. მოვაწყოთ იქ ასეთივე შოუ და რა გამოვა?! ზუსტად იგივე, რაც „ნიჭიერში"! ჯანმრთელი ადამიანები სხედან და ადამიანებს საქვეყნოდ დასცინიან! ხარხარებენ, იმანჭებიან და იგრიხებიან! რა უბედურებაა!!! ეს „შორენას შოუზე", რომელიც ჩვენი ბავშვების სულებს ბილწავს, არანაკლები უზნეობაა! გაიხსენეთ - საქვეყნოდ გამოიყვანეს სტრიპტიზიორი ქალი და აცეკვეს. ჟიურიმ კი, შემდეგ ტურშიც დაუშვა, **ანუ, ამ დედაკაცმა კიდევ ერთხელ უნდა წაბილწოს ტელეეთერი!..** ეს არის დაცემა!!! **ამაზეც უნდა ჰქონდეს ჩვენს საზოგადოებას საშინელი ამბოხი, მაგრამ... თორემ რა გამოდის? - უყურებენ, ერთობიან, კისკისებენ და ჩვენი ხალხი ნელნელა ეგუება ამ უმსგავსობას!**

**– ადამიანმა საკუთარი თავი ნორმალურად რომ ჩათვალოს, რა რეაქცია უნდა ჰქონდეს ასეთი უზნეობის ყურებისას?**

- უკეთესია, არ უყურო! მაგრამ, თუ გამოსავალი არა გაქვს, სულიერად ჯანსაღი ადამიანის ბუნებრივი რეაქცია იქნება განრისხება. უნდა აღშფოთდე: რატომ დასცინით ადამიანებს?

**– რას იტყვით მაგ ხალხის ნაცვად ხერხზე - „არ მოგწონს - გადართე"?**

- მაგ „გადართე, ნუ უყურებზე" ასე ვიტყვი. **ყველაფერი ღმერთის დაშვებით ხდება.** დაუშვა მან ეს უკიდურესად ლიბერალური კანონი - რაც გინდა, აკეთე. თავისუფალი ხარო.

**– რატომ დაუშვა, მამაო?**

- **იმიტომ, რომ ამ ვითარებაში ყველაფერი მჟღავნდება. თითოეული ადამიანის სული მჟღავნდება, ჩვენი არჩევანი მჟღავნდება. როგორ ვცხოვრობთ, რა მისწრაფებები, რა განცდები გვაქვს, საერთოდ, ადამიანები ვართ თუ არა. ყველაფერი ხელისგულზეა!** ჩვენ საბჭოეთი გამოვიარეთ. ადრე სიკეთეს და ბოროტებას უფრო ფარული სახე ჰქონდა, ვიყავით, როგორც ტყე ზამთარში, როდესაც ყველა ხე გამხმარი გგონია! დღეს ვართ, ვითარცა ტყე გაზაფხულზე - ზოგმა კვირტები გამოიღო, ზოგი ისევ გამხმარია. გაზაფხული დაგვიდგა საქართველოში და ეს ძალიან საშიშია იმათთვის, ვინც სულიერად არის მკვდარი. ჯობია გამოცოცხლდნენ, თორემ მერე დაიწყება გამხმარი ხეების უცილობელი გამოხშირვა!

**ესაუბრა
გიორგი კორძაძე**

# ქორონიკონის გამოანგარიშება

მკითხველი მოგვმართავს კითხვით, თუ რატომაა გასული **„საქართველოს ეკლესიის 1974 წლის კალენდრის"** მიხედვით, ქვეყნის დასაბამითგან 7482 წელი, ხოლო **„საქართველოს ეკლესიის 1975 წლის კალენდრის"** მიხედვით — 7579 წელი?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხი მოვიძიეთ **„საქართველოს ეკლესიის კალენდრის" 1975 წლის გამოცემის 21-ე გვერდზე, სტატიაში ქორონიკონის გამოანგარიშება, რომელსაც აქვე უცვლელად გთავაზობთ!** *ცნობისათვის:* საქართველოს ეკლესიის 1974 და 1975 წლების კალენდრების გამოცემისათვის (არსებული მინაწერის მიხედვით) პასუხისმგებელი იყო **საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დავით V,** ხოლო შემდგენელ-რედაქტორი გახლდათ **ეპისკოპოსი გაიოზი.**

**1974 წელი**

| | |
|---|---|
| დასაბამითგან ქვეყნისა | 7482 |
| ქორონიკონი | 130 |
| საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენიდან | 57 |
| ზედნადები | 15 |
| მთვარის მოქცევა | 15 |
| მზის მოქცევა | 6 |
| ათცხრამეტური | 29 |
| ხელთა | 7 |
| წელიწადი მცხრალია და შეიცავს | 365 დღეს |
| ინდიქტიონი | მე-15 |

**ამონარიდები 1974 და 1975 წლების „საქართველოს ეკლესიის კალენდრებიდან"**

**1975 წელი**

| | |
|---|---|
| დასაბამითგან ქვეყნისა | 7579 |
| ქორონიკონი | 131 |
| საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენიდან | 58 |
| ზედნადები | 26 |
| მთვარის მოქცევა | 16 |
| მზის მოქცევა | 7 |
| ათცხრამეტური | 17 |
| ხელთა | 1 |
| წელიწადში მცხრალია და შეიცავს | 365 დღეს |
| ინდიქტიონი | მე-15 |

ქორონიკონი წელთაღრიცხვის ძველი სისტემაა, რომელიც მიღებული იყო ქრისტიანულ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც.

**სიტყვა ქორონიკონი წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან „ხრონოს" რომელშიც იგულისხმება დრო, ჟამი, წელიწადი. ქორონიკონის სრული ციკლი (კვიკლოსი), ანუ მოქცევა, შეიცავს 532 წელს, რომელსაც ეწოდებოდა დიდი ინდიქტიონი. დღეისათვის, წელთაღრიცხვაში იანგარიშება რამდენიმე, სულ XIV სრული ქორონიკონი.**

ინდიქტიონის განსხვავებულ ნიშნად ის ითვლება, რომ წელთა ერთობლიობა 532, რომელიც მასში გვაქვს, წარმოადგენს მზის 28 და მთვარის 19 წლის ნამრავლს (28X19=532). მზის 28 წელი, გულისხმობს ამ ხნის განმავლობაში მის მოქცევას, ანუ კვირიაკეების დღეების იმავე თვეებსა და რიცხვებში მოხვედრას, რომლებშიც ისინი მოთავსებულნი იყვნენ შვიდი ნაკიანი და შვიდჯერ სამი ჩვეულებრივი წლის, ე.ი. [7+(7X3)=] 28 წლის წინათ. მთვარის მოქცევა კი ნიშნავს იმას, რომ მისი განახლება, გავსება და დაცხრობა ხდება იმავე თვეებსა და რიცხვებში, რომლებშიც ადგილი ჰქონდა ამ მოვლენებს 19 წლის წინათ.

**როგორც ცნობილია, ძველად, ქართველები, წელთაღრიცხვას ანგარიშობდნენ ხან ქვეყნის შექმნიდან, ანუ ადამს აქეთ, ხან ქრისტეს დაბადებიდან და ხან ქორონიკონით. არაიშვიათად და უმეტეს შემთხვევაში სამივეთი ერთად.**

ქართული ეკლესიის მამების ანგარიშით, ქრისტეს ხორციელ შობამდე ქვეყნის შექმნიდან გასული იყო 5604 წელი. ეს რიცხვი ინდიქტიონობით მოიცავდა ათ სრულ ინდიქტიონს (532X10=5320) და კიდევ 284 წელს, სადაც ეს უკანასკნელი წარმოადგენდა, მიმდინარე მე-11 ინდიქტიონის, ანუ მოქცევის 284-ე ქორონიკონს (ათ ინდიქტიონს ანუ 5320+284=5604). ასე რომ, ქრისტეს დაბადებამდე გასული 284 წელი მე-11 ინდიქტიონისა, დასრულდა ქრისტეს შობის შემდეგ 248 წელს (284+248=532). მე-12 ინდიქტიონი დასრულდა 780 წელს (248+532=780), მე-13 - 1312 წელს, მე-14 - 1844 წელს, ხოლო მე-15, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით, დასრულდება 2 376 წელს. მიმდინარე 1975 წელი, წარმოადგენს მე-15 ინდიქტიონის 131-ე ქორონიკონს.

იმის გამო, რომ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში მოქცევას საერთოდ არ ასახელებენ და მხოლოდ ქორონიკონი იხსენიება, ამიტომ ჭირს ხოლმე გამოანგარიშება იმისა, თუ ესა თუ ის ქორონიკონი რომელ წელს უდრის. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს დოკუმენტის სიძველე ან ასაკი, პალეოგრაფია და შინაარსი, რათა ჯერ მიახლოებით განისაზღვროს მოქცევა, როცა ეს დოკუმენტი შედგა და ამის შემდეგ დოკუმენტში დასახელებული თარიღი მიემატოს მოქცევას და დადგინდეს წელი. მაგალითად, ერთი დოკუმენტი, როგორც მის დასასრულს ვკითხულობთ, „აღიწერა იანვრის დ, ქორონიკონს უჲთ". აქ ქორონიკონი უჩვენებს 469 წელს, და ვინაიდან დოკუმენტის პალეოგრაფიული და შინაარსობლივი ანალიზი მიუთითებს, რომ იგი XVIII საუკუნეს ეკუთვნის, ამიტომ მე-13 მოქცევას, ანუ ინდიქტიონს, (მე-14 დასრულდა XIX ს.-ში, 1844 წ.). ე.ი. 1312-ს, - ვუმატებთ დოკუმენტში დასახელებულ 469-ს და ამ გზით ვიღებთ დოკუმენტის შედგენის თარიღს - 1781-ს.

**აღსანიშნავია, რომ ქორონიკონი შემოღებულ იქნა რომის დაარსებიდან 1000 წლის გასვლასთან დაკავშირებით და, არაუადრეს მე-6-7 საუკუნეებისა.**

**წელთა აღრიცხვა ქრისტესშობიდან, განწესდა 523 წელს, რომში, მღვდელმონაზონ დიონისე მცირის ინიციატივით, ხოლო ბიზანტიაში 540 წლიდან, - იმპერატორ იუსტინიანე დიდის მიერ.**

დიონისე მღვდელმონაზონის ანგარიშით, მაცხოვრის შობას ადგილი ჰქონდა რომის დაარსებიდან 752 წელს; მაშასადამე, ამ თარიღზე დაყრდნობით, რომის დაარსებიდან 1000 წელი უნდა შესრულებულიყო იმდენი წლის შემდეგ, რამდენი რიცხვი 752-ს ათასამდე აღემატება, ე.ი. 248 (752+248=1000). ამდენად, თარიღი 1000, შესრულებულა ქრისტეს შობიდან 248 წელს. ეს ის წელია, რომლითაც, როგორც ზემოთ ითქვა, დასრულდა მე-11 ინდიქტიონი. ამავე წელზე დაყრდნობით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ ქართული წელთაღრიცხვა - სოფლის დაბადებიდან ქრისტეს შობამდე (5 604) გადაემატება ბიზანტიურ (5508) წელთაღრიცხვას 96 წლით, ალექსანდრიულს (5500) 104 წლით, ხოლო იერუსალიმულს (5452) 112 წლით.

* * *

ზემოდასახელებულ მოქცევათა განსხვავებით, მე-14 ქორონიკონი ბერძნულ-სლავური ანგარიშით დასრულდა 1940 წელს და არა 1846 წელს. გასული წლების საეკლესიო კალენდრებში, წელი დასაბამითგან ქვეყნისა ნაჩვენები იყო ქორონიკონის ბერძნულ-სლავური ანგარიშით. ეს ჩვენება წინამდებარე კალენდარში ქართული ქორონიკონის მიხედვითაა გასწორებული.

# მთვარის ანგარიში

**სვლა მთვარისა სამარადისო**

„უკეთუ გენებოსთ, რათამცა ჰპოოთ, თუ რომელსა დღესა თვისასა განახლდების მთვარე, ქვემოთ კიბეთა ამათ შინა იპყარ მთოვარის მოქცევა ანუ ზედნადები მისი, რომლის ასოები არს დაწერილი წითლითა ნაპირსა ამის კიბისასა, და სადაც დაუპირდაპირდეს იქ არის ნიშანი დღე თვისა მის, რომელსაც შინა იქმნების ახალი მთოვარე"*.

| მთვარის მოქცევა | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | იანვარი | თებერვალი | ზედნადები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | 15 | 14 | 13 | 12 | 11 | 10 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | XI | XIV |
| II | 4 | 3 | 2 | 1/31 | 30 | 29 | 28 | 27 | 26 | 25 | 24 | 23 | XXII | XXV |
| III | 23 | 22 | 21 | 20 | 19 | 18 | 17 | 16 | 15 | 14 | 13 | 12 | III | VI |
| IV | 12 | 11 | 10 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | XIV | XVII |
| V | 1/31 | 30 | 29 | 28 | 27 | 26 | 25 | 24 | 23 | 22 | 21 | 20 | XXV | XXVIII |
| VI | 20 | 19 | 18 | 17 | 16 | 15 | 14 | 13 | 12 | 11 | 10 | 9 | VI | IX |
| VII | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1/31 | 30 | 29 | 28 | XVII | XX |
| VIII | 28 | 27 | 26 | 25 | 24 | 23 | 22 | 21 | 20 | 19 | 18 | 17 | XXVIII | I |
| IX | 17 | 16 | 15 | 14 | 13 | 12 | 11 | 10 | 9 | 8 | 7 | 6 | IX | XII |
| X | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1/31 | 30 | 29 | 28 | 27 | 26 | 25 | XX | XXIII |
| XI | 25 | 24 | 23 | 22 | 21 | 20 | 19 | 18 | 17 | 16 | 15 | 14 | I | IV |
| XII | 14 | 13 | 12 | 11 | 10 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | XII | XV |
| XIII | 3 | 2 | 1/31 | 30 | 29 | 28 | 27 | 26 | 25 | 24 | 23 | 22 | XXIII | XXVI |
| XIV | 22 | 21 | 20 | 19 | 18 | 17 | 16 | 15 | 14 | 13 | 12 | 11 | IV | VII |
| XV | 11 | 10 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1/31 | 30 | XV | XVIII |
| XVI | 30 | 29 | 28 | 27 | 26 | 25 | 24 | 23 | 22 | 21 | 20 | 19 | XXVI | XXIX |
| XVII | 19 | 18 | 17 | 16 | 15 | 14 | 13 | 12 | 11 | 10 | 9 | 8 | VIII | XI |
| XVIII | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1/31 | 30 | 29 | 28 | 27 | XIX | XXII |
| XIX | 27 | 26 | 25 | 24 | 23 | 22 | 21 | 20 | 19 | 18 | 17 | 16 | XXX | III |

* გადმობეჭდილია ვახტანგის მიერ თბილისში 1710 წელს დაბეჭდილი ქამნიდან მცირედის შეცვლით: წითლად, ასოითი მნიშვნელობით დაწერილი მხედრული რიცხვები აქ შეცვლილია რომაულით, ხოლო შავები — არაბული ციფრებით.

**მთვარის რიცხვის და მისი დაბადება-გავსების წინდაწინ ცოდნას უწინ ძალზე დიდი მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ქართველი ხალხის დაკვირვებით ამინდის ავკარგიანობა დაკავშირებულია მთვარის დაბადება-გავსებასთან, ანუ „ახალსა" და „ძველ" მთვარესთან: „როგორი ამინდიც არის მთვარის დაბადება-გავსებისას, ისეთი ამინდი გასტანს შემდეგ გავსება-დაბადებამდეო"... ე.ი. შესაძლებელი ხდებოდა სრული ორი კვირის განმავლობაში მოსალოდნელი ამინდის წინასწარ განსაზღვრა. ამის ცოდნას კი ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშრომელი გლეხკაცობისათვის ხვნის, ფარცხვის, თესვის, დარგვის, გასხვლის, თიბვის, მკის, რთველისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოების დროს.**

**მთვარის გამოანგარიშება ძველად მიღებული წესის მიხედვით ხდება შემდეგნაირად: წინდაწინ საჭიროა, ვიცოდეთ, წლის ზედნადები (საშუალო განსხვავება მზისა და მთვარის წელიწადთა შორის) რამდენია, და უნდა ვიცოდეთ ასევე რიცხვი 2, რომელსაც თვისთავი და ნიადაგი ეწოდება (საშუალო განსხვავება მზისა და მთვარის თვეებს შორის), - რომელიც გამოანგარიშების დროს დასამატებელი რიცხვია.**

აუცილებელია, ჯერ ვიცოდეთ, მერამდენე თვეა ის თვე იანვრიდან, რომელი თვის ნებისმიერი რიცხვისთვისაც გვაინტერესებს მთვარის დღის გაგება.

ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, და მთელი წლის (12 თვის) თვეთა მწკრივში იანვარი და თებერვალი მესამე თვეებად უნდა მივიჩნიოთ და რიცხვი 3-ით უნდა აღვნიშნოთ (იანვარი 3, თებერვალი 3), ხოლო დანარჩენი თვეები კი მათი ჩვეულებრივი რიგის მიხედვით - იანვრიდან. მაგალითად, მაისი ჩაითვლება მე-5 თვედ (=5), თავად იანვარი, როგორც ზემოთ ვთქვით, აღინიშნება რიცხვი 3-ით (=3), ასევე თებერვალი (=3), აგვისტო იქნება მე-8 (=) და ა.შ.

ამის შემდეგ, თუ ჩვენ, მაგალითად, გვაინტერესებს, რამდენი დღისა იქნება მთვარე 1976 წ. 5 იანვარს (ახ. სტ.), ამ 5 რიცხვს დავუმატებთ თვის რიგს - 3 (ვინაიდან იანვარი მესამე თვედ გვაქვს მიჩნეული), შემდეგ დავუმატებთ აგრეთვე 1976 წლის ზედნადებს, ე.ი. 8-ს, და სულ ბოლოს - თვისთავს, ე.ი. 2-ს.

$$5+3+8+2=18.$$

ამრიგად, აღნიშნულ რიცხვთა შეკრება გვაძლევს 18-ს. ანალოგიურად, სხვა თვის სხვა რიცხვისათვის, მსგავსი ოპერაციის შედეგად მიღებული საერთო ჯამი (იგი 18 იქნება თუ მეტი ან ნაკლები) თუ აღემატება 43-ს, ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვა ზოგიერთი წლების შემთხვევებში ზედნადების რიცხვი გაცილებით მეტია (მაგ. 1983 წლისთვის ზედნადები =25-), [(რიცხვი (43) შეადგენს მთვარის დღეთა საშუალო რიცხვის - 30-ისა და ძველი და ახალი სტილის შუალედი რიცხვის - 13-ის ნაკრებს (30+13=43)], მაშინ მიღებულ ჯამს უნდა გამოაკლდეს ეს რიცხვი (43), და დანაშთი იქნება მთვარის დღე საძიებო თვის რიცხვისათვის. (მაგალითად, 1983 წლის სექტემბრის 12-ს გვაინტერესებს მთვარის დღე. ამ წლის ზედნადებია 25; 12+9+25+2=48; ვინაიდან 48 მეტია 43-ზე, ვაკლებთ: 48-42=5; ე.ი. 1983 წლის 12 სექტემბრის მთვარე იქნება 5 დღის). ხოლო თუ ჯამი ნაკლებია 43-ზე, მაშინ მას, ე.ი. ჯამს, გამოაკლდება მხოლოდ 12 (ძველი და ახალი სტილის განმასხვავებელი რიცხვი).

ამრიგად 1976 წ. 5 იანვრისათვის მიღებულ ჯამს (18) უნდა გამოაკლდეს 13 (რადგან 18 ნაკლებია 43-ზე): 18-13=5, მაშასადამე, აღნიშნული დროისათვის მთვარე იქნება 5 დღისა.

**არსებობს მთვარის გამოანგარიშების სხვა წესებიც, მაგრამ ეს არის ყველაზე პრაქტიკული და ყველაზე გავრცელებული წესი ძველ საქართველოში. ამ წესით მთვარის დღის ანგარიშში შეიძლება ყოველთვის ერთი დღის მეტნაკლებობა მოგვივიდეს, რაც განპირობებულია მხოლოდ იმით, რომ ზეპირი ანგარიშის გასაადვილებლად მთვარე ხან 29-დღიანად, ხანაც - 30-დღიანად უნდა ვიგულისხმოთ. ვინაიდან იგი მოიცავს 29 დღეს, 12 საათს, 44 წუთსა და 3 წამს (რედ.).**


საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე 1862-1921 წ.წ.

# პატრიარქი ლეონიდე სამგლოვიარო ცერემონიალის გარეშე დაკრძალეს

**1918 წლის 27 ივნისს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, დიდი ქართველი მამულიშვილისა და მეცნიერის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ მეორის მკვლელობამ საზოგადოებაში დიდი გულისტკივილი გამოიწვია, თუმცა, გულისტკივილი ნამდვილად არ იყო საკმარისი ამ ვერაგული მკვლელობისათვის ფარდის ასახდელად. კირიონ კათალიკოსის მკვლელობის შემდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მასთან დაპირისპირებული ლეონიდე გახდა, საზოგადოებრივ და სასულიერო ცხოვრებაში მოვლენები მეტად საინტერესოდ და ტრაგიკულად განვითარდა, რის შესახებაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე გვესაუბრება.**

**- ბატონო სერგო, როგორ განვითარდა საქართველოს ეკლესიაში მოვლენები კირიონ კათალიკოსის მკვლელობის შემდეგ?**

- 1918 წლის 27 ივნისს თბილისში, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციაში, სასწრაფოდ შეიკრიბა საკათალიკოსო საბჭო **მიტროპოლიტ ლეონიდეს** თავმჯდომარეობით. სხდომაზე მოისმინეს უწმინდესი და უნეტარესი კირიონ მეორის მარტყოფში თანმხლები პირის **არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკის** ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ უწმინდესი და უნეტარესი კირიონ მეორე მასთან და **ვასილ კბილაშვილთან** ერთად 26 ივნისს, დილის 5 საათზე, გაემგზავრა მარტყოფის საზაფხულო რეზიდენციაში. ისინი მარტყოფში 11 საათზე ჩავიდნენ. პატრიარქმა მოილოცა მონასტერი, შემდეგ დაისვენა, საღამოს კარგ ხასიათზე იყო. დაიძინა ღამის 1 საათზე. მას ჩვევად ჰქონდა დილის 5 საათზე ადგომა, მაგრამ 27 ივნისს ასე არ მოხდა... მის საძინებელში შევიდნენ და ტყვიით განგმირული ნახეს.

**საკათალიკოსო საბჭომ განაჩინა:**

1. ეცნობოს ეს სამწუხარო ამბავი შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს სათანადო განკარგულებისთვის და აგრეთვე ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავრებს.
2. ეთხოვოს თბილელ მიტროპოლიტს, ყოვლადუსამღვდელოესს ლეონიდეს ჭეროვანი განკარგულება მისი უწმინდესობის გვამის დაკრძალვისთვის.

სამწუხაროდ, რთული პოლიტიკური ვითარებისა და საეკლესიო პირთა არათანმიმდევრული პოლიტიკის წყალობით, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ მეორის მკვლელობა მალე მიეცა დავიწყებას. 1919 წლის 11 ივნისს გამომძიებელ კობიაშვილის ხელმოწერით გამოქვეყნებული დასკვნა იყო აბსურდული და ექსპერტიზის გარეშე გაკეთებული. ამან უამრავი ჭორი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არქივში შემონახულია **მოქალაქე თომა მეზრელიშვილის** მიერ საქართველოს ეკლესიის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელ ლეონიდესთვის გაგზავნილი ტელეფონოგრამა: **„კირიონის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო ვიმედოვნებთ, რომ თქვენი ენერგიული მოთხოვნით მთავრობა ნათელს მოჰფენს ამ საზარელ მოქმედებას, რომელიც მახვილს სცემს გულში ახალ საქართველოს“.** სამწუხაროდ, კათალიკოსის მოსაყდრე ლეონიდემაც ვერ გაამართლა საზოგადოების იმედი. პოლიტიკური მოვლენებიც ისე განვითარდა, რომ ლეონიდეს ამისთვის აღარც ეცალა. თუმცა, ეს რომ ორგანიზებული მკვლელობა იყო, ნათლად გამოჩნდა იმითაც, რომ კირიონის შემდეგ მკვლელობათა სერია გაგრძელდა, რაზეც ჩვენ წინა ნომერში ვისაუბრეთ. ახლა კიდევ ერთ საინტერესო ინფორმაციას გეტყვით. დეკანოზი **ნიკიტა თალაკვაძე** 1934 წელს „ჩეკაში“ წაიყვანეს დაკითხვაზე. იქიდან სახლში დაბრუნებულს დამბლა დაეცა, მაგრამ სიკვდილამდე მოახერხა, რომ შვილისთვის ეთქვა, კირიონი **დავით დავითაშვილმა (დავიდოვმა)** მოკლაო.

**- კირიონის ადგილი, საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ დაიკავა, საეკლესიო კრებაზე ეს საკითხი არ განხილულა. რატომ?**

- 1918 წლის 28 ნოემბერს გაიმართა საკათალიკოსო საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ **თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი, ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი, ალავერდელი ეპისკოპოსი პიროსი, დეკანოზები ნიკიტა თალაკვაძე, კორნელი კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე, პ. მარათაშვილი, ზ. გვაზავა.** საკათალიკოსო საბჭოს წევრები **პავლე ინგოროყვა, პართენ გოთუა, ქრისტეფორე კაპანაძე, მ. მაჩაბელი.**

სხდომამ გამოიტანა განჩინება:

1. დაუყოვნებლივ, რამდენადაც შეიძლება მოკლე დროში არჩეულ იქნას კათალიკოზ-პატრიარქი, ვინაიდან ამას მოითხოვს როგორც საეკლესიო ინტერესები, ისე საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარება და მისი საერთაშორისო მდგომარეობა.
2. უარყოფილ იქნეს აზრი კათალიკოზის ასარჩევად საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევისა.
3. ვინაიდან კათალიკოზი დაუყოვნებლივ უნდა იქნას არჩეული, საკათალიკოზო საბჭოს კანონიერად მიაჩნია მიტროპოლიტი ლეონიდეს არჩევა კათალიკოზად.

საკათალიკოსო საბჭოს წევრების ერთმა ნაწილმა **(ნიკიტა თალაკვაძემ, ქრისტეფორე კაპანაძემ),** ასევე საკათალიკოსო სასამართლოს წევრთა ნაწილმა პროტესტი გამოთქვა ამ გადაწყვეტილების გამო და მიიჩნია, რომ ეს იყო საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის უხეში დარღვევა. **ისინი ბრალს სდებდნენ ლეონიდეს კათალიკოს-პატრიარქ კირიონის წინააღმდეგ ცილისწამებაში, ჟურნალ „ახალი სიტყვის“ გამოცემის ხელშეწყობაში, ი. რატიშვილის მფარველობაში, რომელიც კირიონის მომხრეებს და მის ნაკურთხებს „კინტოებს“ უწოდებდა, ბრალს სდებდნენ იმაშიც, რომ მან საკათალიკოსო საბჭო ოპოზიციონერებისაგან გაწმინდა და სამღვდელოებაში შუღლი შეიტანა.** ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა ეპარქიების პოზიცია. ეპარქიათა უმრავლესობამ, საეპარქიო საბჭოს დადგენილებით მხარი დაუჭირა თბილელი მიტროპოლიტის ლეონიდეს კათალიკოს-პატრიარქად კურთხევას. ამის შემდეგ საკათალიკოსო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, მიტროპოლიტ ლეონიდეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად კურთხევა მომხდარიყო 1919 წლის 23 თებერვალს. პატრიარქის კურთხევის საზეიმო ცერემონიალს უხელმძღვანელებდა **პართენ გოთუა (მწერალ ლევან გოთუას მამა).** ამ დღისთვის მცხეთაში მორწმუნეთა გადასაყვანად საგანგებო მატარებელი დაინიშნა. საზეიმო წირვა დილის 10 საათზე დაიწყო. საზოგადოება ლეონიდეს ფიანდაზით მორთულ მცხეთის სადგურზე შეეგება. პატრიარქად კურთხევის შემდეგ ლეონიდემ სიტყვით მიმართა საზოგადოებას და მოუწოდა მათ, გაფრთხილებოდნენ სამშობლოს და სარწმუნოებას.

ჩაიარა საზეიმო დღეებმა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი მეთაური პირისპირ აღმოჩნდა იმ პრობლემების წინაშე, რომელმაც თავი იჩინა დამოუკიდებელ საქართველოში.

**- ბატონო სერგო, აქ დროებით შევწყვიტოთ თხრობა და მკითხველს კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ბიოგრაფია გავაცნოთ...**

- ლეონიდე (ერისკაცობაში **ლონგინოზ ოქროპირიძე**) დაიბადა 1862 წელს გორის მაზრის სოფელ დისევში. იგი ბავშვობიდანვე ღრმად მორწმუნე იყო, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა მისმა ბიძამ **ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ,** რომელიც დღეს საქართველოს ეკლესიისგან წმინდანად არის შერაცხილი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენ გვყავს ორი დიდი მღვდელმთავარი: ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) და ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე). **ეპისკოპოსი ალექსანდრე გახლდათ ილია ჭავჭავაძის მოძღვარი.** მასთან ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა. ამ დიალოგებს ესწრებოდა ახალგაზრდა ლონგინოზ ოქროპირიძე. ილია ჭავჭავაძემ იგი საგანგებოდ შეაქო და საქართველოს ეკლესიის მომავალიც კი უწოდა.

ყმაწვილი ლონგინოზი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ იქ იმდენად მძიმე ვითარება იყო, რომ ყოვლადუსამღვდელოესი ალექსანდრეს რჩევით, სასწავლებლად სტავროპოლის სემინარიაში გადავიდა, რომლის დასრულების შემდეგ, 1884 წელს, სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში. 1887 წელს აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ლეონიდე. 1888 წელს ლეონიდემ დაამთავრა სასულიერო აკადემია და ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით საქართველოში დაბრუნდა.

ამ პერიოდში რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებას შექმნილი ჰქონდა **კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება.** ეს, რა თქმა უნდა, დამამცირებელი იყო საქართველოსთვის, რომელიც ქრისტიანობას პირველი საუკუნიდან ეზიარა და მე-4 საუკუნეში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.



ამავე პერიოდში საქართველოში არსებობდა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით შექმნილი **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება,** რომელმაც დაიწყო სკოლების ჩამოყალიბება. საიმპერატორო ხელისუფლებამ მათ კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ეგიდით გახსნილი სკოლები დაუპირისპირა, სადაც ყველაფერი რუსულად უნდა ყოფილიყო. ლეონიდე ამ სკოლების ინსპექტორად დაინიშნა, თუმცა, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ამ სკოლებში ქართული ენა და ეროვნული ცნობიერება შეენარჩუნებინა.

ლეონიდეს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საინგილოში ქრისტიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. საინგილოს მოსახლეობა მას თავის მფარველსა და მხსნელსაც კი უწოდებდა.

**- როგორც ვიცი, ეპისკოპოსის ხარისხი მას სრულიად ახალგაზრდას მიანიჭეს...**

- დიახ, იგი 1898 წელს გახდა ეპისკოპოსი. ეპისკოპოსად კურთხევის დღეს მან წარმოთქვა ძალიან საინტერესო სიტყვა, სადაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას.

ეპისკოპოს ლეონიდეს მოღვაწეობაში მთავარი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლას. 1905 წელს თბილისში ავტოკეფალიის მოთხოვნით სამღვდელოების შეკრება ლეონიდეს დიდი დამსახურებაა. 1906 წელს პეტერბურგში გამართულ სინოდის წინარე სხდომაში, სადაც ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი იხილებოდა, კირიონთან ერთად ეპისკოპოსი ლეონიდეც მონაწილეობდა. ამ დროს ისინი ერთი იდეის გარშემო იყვნენ გაერთიანებული და არანაირი უთანხმოება არ ჰქონიათ.

1908 წლიდან ლეონიდე გურია-ოდიშის ეპისკოპოსია. მას წუთითაც არ გაუწყვეტია კავშირი ავტოკეფალიის აღდგენის მოსურნე ძალებთან და ყოველივე ეს დაგვირგვინდა იმით, რომ 1917 წლის 12 მარტს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, დღის 12 საათზე საკურთხევლიდან გამოვიდა ქართველ მღვდელმთავართა შორის უპირატესი ეპისკოპოსი ლეონიდე, რომელმაც წაიკითხა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ისტორიული გადაწყვეტილება: **„ამ დღიდან, ე.ი. 12 მარტიდან ბრძანდება საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია“.** მაშინდელი პრესა წერდა, რომ საკურთხევლიდან გამოვიდა სამი მღვდელმთავარი: გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე, ქუთათელი ეპისკოპოსი ანტონი და ალავერდელი ეპისკოპოსი პიროსი. ლეონიდემ როცა ტაძარში შეკრებილ უამრავ ხალხს შეხედა, ხმა აუთრთოლდა. იმ დღიდან მოყოლებული 9 სექტემბრამდე (კათალიკოს-პატრიარქის არჩევამდე), რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ავტოკეფალიის აღდგენისათვის გააკეთა, ყველაფერი ლეონიდეს დამსახურებაა. კირიონი იყო ამ ბრძოლის იდეური ხელმძღვანელი, მან გამოიარა გადასახლება, ბევრი ტანჯვა-უბედურება, მაგრამ როცა ის გადასახლებაში იყო, პრაქტიკულად, ვინმეს ხომ უნდა გაეკეთებინა საქმე და ამას ლეონიდე აკეთებდა..

12 მარტს, როცა გამოცხადდა ავტოკეფალია, შეიქმნა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებით კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე. იმავე დღეს **ლეონიდე** და **ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე** გამოცხადდნენ ეგზარქოსის სასახლეში, დღევანდელ საპატრიარქოში, **პლატონ როჟდესტვენსკისთან.** ლეონიდემ წაუკითხა გადაწყვეტილება, რომ მცხეთაში მიღებული აქტის საფუძველზე იგი გადაყენებულია ეგზარქოსის თანამდებობიდან. ეგზარქოსმა ყურადღებით მოუსმინა მას და უპასუხა: **მე ამ ყველაფერს მოვახსენებ პეტერბურგში დროებით მთავრობას, ვიმოქმედებ იმის მიხედვით, როგორც იქ გადაწყვეტენ, რამდენიმე დღე მადროვეთ, ძალას ნუ დამატანთ, თორემ ქალაქში რუსის ჯარის ნაწილებია, ერთი თუ დავიყვირე, ყველა ჩემს მხარეს დადგება, არც ისე სუსტი ვარ, თქვენ რომ გგონიათო.** აი, ასე დასრულდა 12 მარტი.

13 მარტს ეპისკოპოსი ლეონიდე დროებითი მმართველობის მდივნის დავით დავითაშვილის თანხლებით გაემართა ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში, დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, სადაც იმყოფებოდა **ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომ“) წარმომადგენლობა.** შეხვდა **ხატისოვს** და გადასცა ავტოკეფალიის აღდგენის დოკუმენტი. მან უპასუხა, ჩვენ ვიცით ამის შესახებ და მხარს არ გიჭერთ, ეს რუსეთის იმპერიის რღვევას და არეულობას გამოიწვევს, რის მომხრენიც ჩვენ არ ვართო. ამ პასუხის შემდეგ ლეონიდემ მოიწვია საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის საგანგებო სხდომა. საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცულია ძალიან საინტერესო დოკუმენტები დროებითი მმართველობის სხდომათა ოქმების შესახებ. მაშინდელ დროებით მმართველობაში შედიოდნენ ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები: **ივანე ჯავახიშვილი, სარგის კაკაბაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, პართენ გოთუა** და სხვები, რომლებიც დაწვრილებით იხილავდნენ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სამართლებრივად და რა ნაბიჯები გადაედგათ საეკლესიო კანონიკის თვალსაზრისით. **დროებითმა მმართველობამ 1917 წლის 12 მარტიდან 9 სექტემბრამდე მართლაც კოლოსალური შრომა გასწია, რათა გამოცხადებული ავტოკეფალია ქაღალდზე არ დარჩენილიყო და რუსეთის სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცეში თავისი ადგილი დაემკვიდრებინა. ამ ბრძოლას სწორედ ლეონიდე წარმართავდა.**

როცა რუსეთის დროებითი მთავრობა მიხვდა, ქართველი ავტოკეფალისტები უკან არ დაიხევენო, გამოგზავნა შეტყობინება საქართველოს ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალიის აღიარების შესახებ. რას ნიშნავდა ეს? ეს ნიშნავდა იმას, რომ მხოლოდ ქართული სამრევლოები დაემორჩილებოდნენ საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას, ხოლო რუსული, ბერძნული და სხვა სამრევლოები იქნებოდნენ რუსული ეკლესიის დაქვემდებარებაში. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის დროებითმა მთავრობამ სერიოზული ნაბიჯებიც გადადგა. **28 მარტს ეგზარქოსყოფილ პლატონს მოუვიდა საგანგებო ბრძანება, რომ იგი ინიშნებოდა კავკასიის ეგზარქოსად და თბილელ მიტროპოლიტად, ანუ რუსული სამრევლოები მას უნდა დაქვემდებარებოდა. ამასთან, რუსეთის დროებითმა მთავრობამ საგანგებოდ გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი, რომელსაც მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებთან.** ლეონიდეს განკარგულებით, მასთან მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინათ **დეკანოზ კორნელი კეკელიძეს** და **დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძეს,** რომლებიც განთქმულნი იყვნენ როგორც გამოჩენილი მეცნიერები და საეკლესიო დოგმატიკის მცოდნენი. მოლაპარაკება ფრიად დაძაბულად მიმდინარეობდა. მალე გაირკვა, რომ ბენეშევიჩი რუსეთის ინტერესების გამომხატველი იყო და ვერ გამოდგებოდა ნეიტრალურ მომრიგებლად, ამიტომ საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პეტერბურგში საგანგებოდ გაეგზავნა დელეგაცია **ეპისკოპოს ანტონ გიორგაძის** მეთაურობით. ამ დელეგაციაში იყო **დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე** და პეტერბურგში შეუერთდებოდა **არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია,** რომელიც ამ დროს უკვე გაათავისუფლეს. ეს არის პერიოდი, როცა რუსეთის დროებითი მთავრობა წარამარა იცვლება, ვის სცალია აქედან ჩასული დელეგაციის მისაღებად. რუსეთში მყოფმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა **კარლო ჩხეიძემ, ირაკლი წერეთელმა** ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩვენი დელეგაცია შეხვედროდა დროებითი მთავრობის უმაღლეს პირებს. შეხვედრა მართლაც გაიმართა. დროებითი მთავრობის მხრიდან მასში მონაწილეობდნენ მთავრობის თავმჯდომარე ლვოვი, ობერ-პროკურორიც ლვოვი იყო გვარად, რელიგიის საქმეთა მინისტრი კარტაშეევი და მის მოადგილე კოტლიარსკი. **კარლო ჩხეიძემ პირდაპირ განუცხადა დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს, წარმოუდგენელია, სიონში იჯდეს ეგზარქოსი და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს მარტო მცხეთა ჰქონდეს, ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს, სისხლი დაიღვრებაო. დელეგაციამ მოახერხა, რომ მოლაპარაკების დროს რუსეთის დროებითი მთავრობისთვის მიეღებინებინა საქართველოს ავტოკეფალიააღდგენილი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება. ამ ყველაფერს თბილისიდან ლეონიდე ხელმძღვანელობდა.**

**- როგორ გახდა ლეონიდე თბილელი მიტროპოლიტი?**

- როცა პლატონ როჟდესტვენსკი რუსეთის დროებითმა მთავრობამ კავკასიის ეგზარქოსად და თბილელ მიტროპოლიტად გამოაცხადა, საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღედგინა თბილელის ისტორიული კათედრა და 1917 წლის 23 აგვისტოს თბილელ მიტროპოლიტად გამოაცხადა **გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე.** ეს გადაწყვეტილება იმ დროს საჭირო და სტრატეგიულად გამართლებული იყო, მაგრამ შემდეგ, როცა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი აირჩიეს, თბილელის კათედრა უნდა გაუქმებულიყო. **არ შეიძლებოდა, რომ მცხეთა-თბილისის ეპარქიაში, რომელიც ისტორიულად კათალიკოს-პატრიარქს ეკუთვნის, ორი ეპისკოპოსი ყოფილიყო. ამას მოჰყვა მერე მთელი დაპირისპირებები და უბედურება. ეს საეკლესიო კანონიკის თანახმადაც არ იყო მართებული.**

ერთი სიტყვით, საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ეპისკოპოს ლეონიდეს ხელმძღვანელობით, უზარმაზარი შრომა გასწია, მომზადდა ნიადაგი საეკლესიო კრების ჩასატარებლად... ამ დროს ჩამოვიდა **კირიონი** და ლეონიდე სრულიად დაიჩრდილა... აი, ეს არის მთელი მიზეზი მათი დაპირისპირებისა. **საზოგადოების ნაწილი, რომელსაც პართენ გოთუა ედგა სათავეში, მიტროპოლიტ ლეონიდესთან მივიდა და სთხოვა, იქნებ, შენ მოხსნა კანდიდატურა, რომ კათალიკოსი კირიონი გახდესო.** არაო, უპასუხა ლეონიდემ, მარწმუნებენ, რომ მე გავხდები პატრიარქიო. არჩევნების შემდეგ პატრიარქი გახდა კირიონი. მან 11 ხმით აჯობა ლეონიდეს.

**- რა რეაქცია ჰქონდა ლეონიდეს, მიულოცა პატრიარქობა კირიონს?**

- **მიულოცა!** ეს მისთვის ძალიან რთული იყო, მაგრამ მიულოცა. კირიონი და ლეონიდე კენჭისყრაში არ მონაწილეობდნენ და არც ესწრებოდნენ. როცა ლეონიდესთან მივიდნენ და უთხრეს, პატრიარქი კირიონი გახდა, უნდა დახვდე და მიულოცოო, ალბათ, ძალიან გაუჭირდა. **ერთი ჩანაწერიც არსებობს: ძალიან გაუჭირდა, კანკალებდა, მაგრამ მივიდა ტაძარში, როცა კირიონს მიართვეს პატრიარქის კუნკულ- ბარტყული, მიუახლოვდა მას და უთხრა, ჩვენ ერთად მოვდივართ, გვქონდა უთანხმოებები, მაგრამ ახლა, როცა საქართველოს ეკლესიას თქვენ უდგებით სათავეში, მეც მშვიდად ვიქნებიო. ის აღიარებდა კირიონს როგორც დიდ პიროვნებას.**

ერთ-ერთი რამ, რაც კირიონს და ლეონიდეს შორის არსებული დაპირისპირების გაღრმავებას უწყობდა ხელს, იყო ის, რომ ლეონიდე დარჩა თბილელ მიტროპოლიტად. საკათალიკოსო საბჭოშიც ლეონიდეს უფრო მეტი მომხრე ჰყავდა და ესეც აღრმავებდა უთანხმოებას. მაგალითად, **იყო შემთხვევა, რომ კირიონის ნაკურთხი მღვდელი, როცა კირიონი ავად იყო, ლეონიდემ დააკვეთა.** ეს არის ისტორიაში ნათელი მაგალითი იმისა, რომ საქართველოში ორ დიდ ადამიანს ერთად დიდი საქმის კეთება არ შეუძლია.

**- ახლა, ბატონო სერგო, მთავრობისა და კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ურთიერთობას დავუბრუნდეთ.**

- სოციალ-დემოკრატების მთავრობა, რომელსაც ახლა აიდეალებენ, **აბსოლუტურად ათეისტური** სულისკვეთების მატარებელი იყო. საქართველოს ეკლესიამ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე დღიდან შესთავაზა მთავრობას, რომ მის გვერდით იქნებოდა ყველა საქმეში, მაგრამ პასუხი არ მიუღია. უფრო მეტიც, მთავრობამ მიიღო ისეთი საკანონმდებლო დოკუმენტები, რომლითაც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია გაათანაბრა ყველა დანარჩენ რელიგიურ კონფესიასთან, სკოლა ეკლესიიდან გამოყო, საღვთო სჯული სწავლებიდან ამოიღო, საეკლესიო სასწავლებლების ნაციონალიზაცია მოახდინა და ეკონომიკურად შეავიწროვა იგი. ხელისუფლება უფრო შორსაც წავიდა - საეკლესიო ხატებისა და სიწმინდეების გამოტანა დაიწყო ტაძრებიდან.

1919 წელს 26 მაისი საქართველოში განსაკუთრებულ ვითარებაში აღინიშნა. კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ ამ დღეს არაჩვეულებრივად იქადაგა და კვლავ მოუწოდა მთავრობას, ერთად ვიდგეთ ჩვენი სამშობლოს დაცვის საქმეშიო, მაგრამ ხელისუფლებას ყრუ კედელი ჰქონდა აღმართული. ლეონიდემ ორჯერ წერილიც მისწერა ხელისუფლებას, მაგრამ ამანაც არავითარი შედეგი არ გამოიღო. **შემდეგ, როცა გელათის ტაძრიდან სიწმინდეების გამოტანა დაიწყეს, კათალიკოსი ლეონიდე პირისპირ შეხვდა ნოე ჟორდანიას და პირდაპირ უთხრა, პროტესტს გიცხადებთ, თქვენი დაცარიელებული ხაზინის შესავსებად გინდათ ამ სიწმინდეების გაყიდვაო? თქვენ უნდა იცოდეთ, სად მოხვედით და ვის ელაპარაკებით, უპასუხა ჟორდანიამ. ლეონიდემ უკან არ დაიხია, მე ახლა ისე ვნერვიულობ, რომ ყურს დამაკლდა და არ მესმის, რას ამბობთ, შეგიძლიათ, დამაპატიმროთო...** მათი შეხვედრა დიდი შეხლა-შემოხლით დასრულდა. ამის შემდეგ ლეონიდემ დაწერა წერილი **„ვინ არიან სოციალისტები“,** სადაც ამხელს და აკრიტიკებს მათ. ამისდა მიუხედავად, როცა გაიგო, რომ საქართველოში რუსული ჯარები შემოვიდა, ფრონტის წინა ხაზზე გავიდა. ეს მოხდა 23 თებერვალს, ლეონიდეს კათალიკოსად ყდრების ზუსტად 2 წლისთავზე. **24 თებერვალს კათალიკოსმა ლეონიდემ სამხედრო ტაძარში მეომრების გასამხნევებლად საგანგებო პარაკლისი გადაიხადა. მან ამავე დღეს შეკრიბა საკათალიკოსო საბჭო და მიიღო გადაწყვეტილება, ეროვნული სიწმინდეებისა და განძის გატანისა და გადამალვის შესახებ.** ეს ყველაფერი იცოდა თავად **პატრიარქმა ლეონიდემ, ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) და არქიმანდრიტმა პავლემ (ჯაფარიძე).** როგორც ჩანს, იცოდა მეოთხე კაცმაც **პლატონ ცქიტიშვილმა,** რომელმაც 1923 წელს ეს ამბავი გასცა და საბჭოთა მთავრობამ განძი ამოიღო, თუმცა, საიდან იცოდა მან განძის გადამალვის ამბავი, ჩემთვის უცნობია. დედაქალაქში შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად, განძის ქუთაისში გაგზავნა მოხერხდა. კათალიკოსი ლეონიდეც ქუთაისში წავიდა, საკათალიკოსო საბჭოს თავმჯდომარედ კალისტრატე ცინცაძე დარჩა. ლეონიდე 13 აპრილამდე იყო ქუთაისში. როცა თბილისში ჩამოვიდა, ქუჩაში ფეხით გაიარა, საპატრიარქოს ერთადერთი ავტომობილი ჰყავდა და მთავრობას ისიც ჩამოურთმევია. ლეონიდეს გახარებული უცხოტომელისა და დაღვრემილ-გაუბედურებული ქართველობის ნახვამ გული მოუკლა. **15 აპრილს საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ეკლესიის კანონგარეშე ორგანიზაციად გამოცხადების შესახებ.** ამ გადაწყვეტილებიდან რამდენიმე დღეში ქალაქში შავი ჭირის ეპიდემია გაჩნდა. ლეონიდეს უთხრეს, წყაროს წყალს მოგიტანთო. არაო, უპასუხა მან, ჩემი ხალხი მტკვრის წყალს სვამს და დაე, მეც მოვკვდე მათთან ერთადო. მართლაც ასე მოხდა, შეეყარა შავი ჭირი და გარდაიცვალა. ეს მოხდა 1921 წლის 11 ივლისს, 17 საათზე. დაკრძალეს სიონის ტაძარში, ყოველგვარი სამგლოვიარო ცერემონიალის გარეშე.

ეს განშორება დაღვინთავს ბოლოს ისევე, როგორც მე. იმ ჯვარის სიახლოვეს განუტევებს სულს და ღვთაებრივი კრავის შეწყალებული სტუმარი იქნება.

- ღვთაებრივი კრავი? - გაიკვირვა მედეამ.

ეს სიტყვა ხომ სადღაციდან სმენია მას. დაფიქრდა, იქნებ მოეგონა, სად გაიგონა მის შვილებს. გონება დაძაბა, აფორიაქდა, რადგან ამაში იდო ის იდუმალი გასაღები, რის ამოხსნასაც ასე-რიგად ცდილობდა და ვერ შეძლო, მაგრამ თუ რის ამოხსნას, ეს უკვე აღარ ახსოვდებოდა. იქნებ შემთხვევით თქვა ეს სიტყვა, მაგრამ იგი შემთხვევით არავინ ამბობს. ამიტომ რაღაც უნდა ეღონა, გაუგებარი რომ არ დარჩენილიყო ეს უცნაური სიტყვა, რომელიც მას უთხრეს და ახლა გაუმეორა. საირხე იმ კოლხური ნადირობის შემდეგ არ ენახა. გამოდის იგი პირველად ვერ ეტყოდა ამ უცნაურობამდე მომნუსხავ სიტყვას. იქნებ ამ - ღამის საუბარში თქვა და იმთავითვე გაიმეორა, მაგრამ მე რატომ არ შევამჩნიე პირველ ჯერზე, როგორც ახლა ჩავფიქრდი, ისევე ჩავფიქრდებოდი მაშინაც და გავიგებდი ადრე გკითხავდი ამ ამის შესახებ, ან თვითონაც მიხვდებოდა და დაუთხრობდე შეტყობა ვლავარს. მერე კი მიხვდა, ღვთაებრივი კრავი უხსენეს იმ საზიდარის მხოლოდ ღვინის შემდეგ, როცა თავს დაუხნეს ელადელების და შვილები დაუხოცეს. მანამდე იგი ამ სიტყვის არ იცნობდა და ვერც ვეღირსებოდა, რადგან მისთვის კრავი ოქროს ვერძი იყო და თუ მისხსენებდა, მიიხსენებდა მხოლოდ ოქროს საწმისის სახელით. ღვთაებრივი კრავი კი არასდროს არ იქნებოდა ოქროს საწმისი. გაიხსენა იმ ბნელი ღამის კოშმარი, თუ იოლქაა მაშინ ეს სიტყვა, ვერ გაიხსენა. ბოლოს იმ დილით ღამის გაიგონა გაიხსენა. შვილები, შვილებმა თქვეს ღვთაებრივი კრავი, იგი მეფე კი არა მეუფეაო. იქვე თვალწინაღმე ჩაესმა და მედეამ ბავშვებს ხმა. ნამდვილად იმათ თქვეს ღვთაებრივი კრავიო, მე რომ ასრულდა გამხარებოდა მათი ნათქვამი.

- რაო, რა თქვი? - შეეკითხა მედეამ საირხეს, - ღვთაებრივი კრავიო?!

- ღვთაებრივი კრავი, - დაეთანხმა საირხე.

- მერედა, რატომ ამბობ ღვთაებრივი კრავის შეწყალებულ სტუმარზე? ვინაა ღვთაებრივი კრავი და მისი შეწყალებული სტუმარი?

ამ კითხვაზე პასუხს სულმოუთქმელად ელოდა მედეა, შვილების ამბის გაგება სურდა, და მიხ... არ კი აღირსა პასუხი საირხემ:

- არ ვიცი, - უპასუხა.

მართლაც არ იცოდა. მხოლოდ ის იცოდა, რომ, უწინარესად, ღვთაებრივი კრავი იყო, ხოლო ვინ იყო იგი, მან ეს არ იცოდა, რადგან ჯერ არ დამდგარიყო ღვთაებრივი კრავის ჟამი.

- მატყუილებ, - უყვირა მედეამ საირხეს.

- მართლა არ ვიციო. შენ შენი შვილების იგავ-თქმის ამოხსნა გინდოდა, რადგან იმათგან გაიგე ღვთაებრივი კრავის შესახებ. მე კიდევ ასტრალებთან ჩემი რქებით დამყარებული კავშირით ვიცი ამ კრავის შესახებ. იმის იქით ცხოველმყოფელი ჯვარია, რომლის საზიდარი ბედით თუ უბედობით მე მერგო, და რომ შენ გთავაზობ ამის იქით მის ტარებას და რომ შეგიწყალებს ამისთვის ღვთაებრივი კრავი, და რომ ეს ჯვარი და არა სატევარი მასთანაა დაკავშირებული, ესეც ვიცი. ადრე თუ გვიან სატევარი განგმირავს ღვთაებრივ კრავს და ჯვარი ცხოველმყოფელი და პატიოსანი სასწაულებრივად გააცოცხლებს მას ისე, როგორც მე მაცოცხლებს მანამ, სანამ იგი ჩემშია და მე - მასში. მეტი არაფერი ვიცი ღვთაებრივი კრავის შესახებ და არც შენი შვილების შესახებ მსმენია რაიმე. არ დაღონდე, მედეა! - მშვიდად მიუგო პასუხი საირხემ.

ხმაში სიმტკიცემ იჭარბა და დაბეჯითებით უთხრა მედეამ საირხეს:

- ჰოდა, იმ ღვთაებრივი კრავის სახელით, ვისი შეწყალებული სტუმრებიც არიან ჩემი შვილები, ამოგიღებ თავიდან ხრმალს და ვერ შეგპირდები, ამ საზიდარის ბოლომდე პირნათლად ზიდვას, მაგრამ შენ მისგან გაგათავისუფლებ, იმ კრავის შეწყალებული სტუმარი რომ გახდე შენც.

ერთმანეთს შეხედეს მედეამ და საირხემ ისე, როგორც იქ მშობლიურ კოლხეთში წამისმიერი შეხედვით... რომ არ დააცალა აიეტის ხრმალმა ერთმანეთის სრული შეცნობა და ამოცნობა. ახლა მათ აღარავინ უშლიდა ხელს ბნელი ღამის გარდა და ისიც კი უძლური იყო დაებინდა ამ ორთა თვალის ჩინი.

დაუხარა თავი საირხემ მედეას, ჯვარი შუბლზე მიედო და წამიერად გაუსხივოსნა გონება ცხოველსმყოფელმა ჯვარმა. მშობლიური მადლი იგრძნო ქალმა და ძალა მიემატა მკლავში. ხელი შეახო ხის ჯვარს, ხელში ემძიმა, მაგრამ საირხეს თავიდან მსუბუქად ამოვიდა და მედეას ხელში ჯვარი ისევ ხალიბური რვალით ნაჭედ ხრმლად გარდაისახა. ხელი ორლესულზე ჰქონდა, მაგრამ ხელი არ გაჭრა ხრმალმა. აბრჭყვიალდა ბნელში ჯვრადქმნილი სატევარის ცეცხლ-კარი და მედეა მიხვდა, თუ სად იყო ცეცხლ-კარი. გული გაუთბა სამშობლოს მიმართ და იგი აღარ იყო გულმოსული მამულზე.

მამულის გულის ფეთქვა ამ ხრმალის ძვირფას ქვებში ისმოდა და ესმოდა მედეას მამულის მაჯისცემა,

როგორც მოჭირნახულეს

და მას უზომოდ უყვარდა კოლხეთი

და მზად იყო მთელი სიმძიმე საზიდარისა ეტვირთა

და ჩასულიყო იქ -

მამულში,

ენახა

და მოეხილა მოხუცი მამა, მისი გულქვაობით გულდაკოდილი;

ეგლოვა ძმაი, მისი ახირებით დაღუპული;

გახსენებოდა ლაშა, მისი უზომო სიყვარულისაგან მსხვერპლშეწირული

და მზეში შესული ქუდბედიანთან ერთად, მაქც-ფატერაგის მსხვერპლად გამხდარი და ცეცხლში დამწვარი, ეხში დაბინავებული სულით, მზეზე რომ წვებოდა ხვატში.

ჟრუანტელმა დაუარა ტანში და აინთო მისი გული სამშობლოთი, მისი მოხილვის ცხოველი წადილით. ასე არასოდეს მონატრებია - ყველაფერი, მასში მყოფი და მისით სულდგმული.

ეს სულის ყივილი იყო

და მან გაიგონა

და შეიგნო მისი წყურვილი.

ვერავინ დაარწმუნებდა მას იმ წუთებში, რომ იგი კოლხეთში კარგა ხნით არ დაბრუნდებოდა, ან არ დაბრუნდებოდა საერთოდ.

და ბოლოს, ყველაფერი ჩაქრა,

მთელი აღტკინება დაცხრა,

რადგან თვალსა და ხელს შუა გაქრა საირხე და მედეას ხრმალი შერჩენოდა ხელში.

## XVII
## ზღაპარივით თვალწარმტაცი დილა

ადრიანი გაზაფხულის ადრიანი დილა იყო. მთის ფერდობთა კალთები ახლადამოსულ მწვანე ბალახს დაეფარა. ყვავილების მათრობელა სურნელი არემარეს მოსდებოდა და ჰაერი მსუბუქი გამხდარიყო. დაბალ მთებს ზემოდან ოლიმპოს ღმერთების სავანე გადმოჰყურებდა ალმაცერი მზერით, რადგან საბურველად თეთრი ნისლი ემოსა და დილის მზის ისედაც სუსტ ნათებას კიდევ უფრო აფერმკრთალებდა. მთიდან წამოქროლილმა გრილმა ნიავმა და ზღვიდან ამობერილმა სიომ ურთიერთშერწყმით გაფანტა ღამის ზმანება ნისლოვან ილუზიებთან ერთად და მთელი თავისი დიდებულებით გამოაჩინა აპოლონის ტახტრევანი - აქამომდე დათოვლილი პარნასი. მზემაც მეტად დააცხუნა და ახლადშეფოთლილ ხეებში სინათლე სხივჩქერალებად ჩაღვარა. ბალახი ოდნავ შეტოკდა და მასზე მოდებული ცქრიალა თრთვილი თოვლივით დაიბერტყა, თითქო სიცოცხლის ძალა იგრძნო, თავი მეტად წამოსწია და მერე ისევ ოდნავ დახარა. ბუნებისა და გაზაფხულის გამოუცდელს ჯერ ვერ გაებედა მაღლა შემართულიყო, რადგან სიცივის შიში იპყრობდა და თავდახრილს თითქოს რცხვენოდა შიშის. დღის ნათელი კი მადლივით იღვრებოდა დედამიწაზე, ყველა რტოდან კი თავმომწონედ მზე იღიმოდა.

კლდის ქიმზე ჯიხვივით შემდგარიყო მედეა და ჯიქურ მზერას აყოლებდა არემარეს და ღრმა უფსკრულს ისე ჩაჰყურებდა, გეგონებოდა საკუთარ თავზე გადახტომას და იქაურობაზე გადაფრენას ლამობსო. შორიახლოს გზისპირა ხეობაში მარხილი ელოდა. ამ მარხილით აპირებდა მედეა ომს და იგი უყურებდა გარემოს, როგორც უძლეველი ლაშქრის მხედართმთავარი. მის ლაშქარს კი ერთი ცხენი და ორი მკვდარი ბავშვი შეადგენდა. იდგა და მთიდან მონაბერს ღრმად ისუნთქავდა, რომელთა ყოველი ჩასუნთქვა შვებასა და სიმსუბუქეს ღვრიდა სხეულში. იდგა ხრიოკ ლოდებზე და რაღაცას ელოდა. ნიავის ქროლვას აჰყოლოდა მედეას გაშლილი თმები და თითქოს ბედის ხომალდი ციურ განაპირებისკენ იჩქარისო, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა უსასრულობაში გადაფენილი შავი თმები.

კლდის ნაპრალებში ხვლიკმა გაისრიალა და თვალს მიეფარა. ტყისპირა ხის ტოტებიდან იმზირებოდნენ ალქაჯები გაჩეჩილი თმებით, წვრილი დაგრეხილი ფეხებითა და თითებზე წამოზრდილი კლანჭებით. ხეებს ფხაჭნიდნენ, რათა დამნახავს დაენახა და შეშინებოდა.

ცივი თვალებით უმზერდა მედეას ავაზა და ერთი ნახტომით უნდოდა დაუფლებოდა საწადელს - მას, ვინც მდედრის სურნელი მოაფინა ირგვლივ. მედეამაც შეამჩნია ჰაეროვანი ნაბიჯებით მისკენ წამოწეული ცხოველი და ბრძოლის ჟინმა დაუარა ძარღვებში ადუღებულ სისხლად, არათუ ავაზასთან ბრძოლად, არამედ საკუთარ მტრებთან, ავაზა კი ამ მტრებს განასახიერებდა. თვით ავაზა მედეაში თავის მეტოქეს უყურებდა, უპირველესად, როგორც მუს და გადაწყვიტა, თავისი სამსხვერპლოთი დამტკბარიყო და არავისთვის დაეთმო იგი.

მედეას თვალებში მტრისადმი ზიზღი იკითხებოდა,

ავაზას თვალებში ვნების უცნაური გრძნობა ბრჭყვიალებდა, სადაც საჭმელი იყო მაინც მთავარი ქვეცნობიერებით.

მედეასთვის მთავარი გამარჯვება იყო ქვეცნობიერებაშიც და სრულყოფილ სიცხადეშიც. იგი არ იძვროდა ადგილიდან, მომნუსხავი თვალებით აკვირდებოდა მტრის ყოველ მოძრაობას. იდგნენ ერთმანეთის პირისპირ წარმდგარნი და უფსკრული აშორებდა ერთმანეთს. ორთავენი მზად იყვნენ, უფსკრულს გადავლებოდნენ და მიახლებოდნენ ერთმანეთს -

ერთი - ვნებით,

მეორე - ზიზღით.

ავაზას თვალს ჭირდა მედეას პირისახე და მის მიღმა დაფარვა ხორცი. ლაბათ, ფიქრობდა, რომ გვეული პირისახე და რძისფერი სხეული ერთმანეთში შერწყმული ყოფილიყო დასაბამიდან. ორივე შეფერხებით მოვიდა მაინარიო და გველის ეს მისი ოდითი ბუნებააო და ალამაზებდა ავაზას თვალებში ქალს. ამასაც გაიფიქრებდა, ნეტა თვითონაც გველ-ადამიანი ყოფილიყო, ან იგი - ქალი-ავაზა.

მედეამაც გაიფიქრა, მაგრამ სხვა რამ - ცხოვრებას მწვერვალის ქიმზე შემომჯდარმა უნდა უყურო, რათა უფრო გაბედული გახდე და გაბედულად მართო ბედი, ვიდრე მიწაზე მოარულმა, სადაც ყველა და ყველაფერი შენ გშთანთქავს და მისი ერთი პატარა ნაწილი ხარ - შენ, ვისაც შეგიძლია მოიცვა ეს ყველა და ყველაფერი შენი გონებით. არ უნდა დაიმალო გამოქვაბულში და არც უნდა ელოდო, მოგაგნებს თუ არა ცხოვრება და თავს დაგატეხავს თუ არა მთელ თავის ულმობელ ძალას. თუ დაემალე, ის მაინც მოგაგნებს და თავის მარწუხებში მოგაქცევს და დაგლუპავს თავის ალერსში. პირიქით, მას უნდა შეახედო, თუ როგორი უძლეველი ხარ, რათა დაიმორჩილო და მართო მისი სადავეები.

აი, ხვთიშვილი ქაჯებს შეუკედლებიათ ტყეში და მერე წვალება დაუწყიათ მისი. მართალია, ვერ შეურყვნეს გონება, ვერც სული წაუბილწეს, რადგან არ დავიწყებია ლოცვა და ჯგირაგ უდიდებია. ქაჯავეთს ჩააგდეს ბოლოს. აი, სად მოერია ცხოვრება ხვთიშვილს. ხვთის ნათელი პეპელად გარდასახულა და ისე ჩაძირულა ჯანდაბაში და სულის სიფაქიზით ამოუყვანია ზედა ქვეყანაში ხვთიშვილი. კარატიონის ლახტით ცეცხლის ალი გააჩინა ჯოჯოხეთში და მის შემდეგ იქ ცეცხლოვანი ტბაა და წვავს შიგ ჩავარდნილებს. სამაგიეროდ ცხოვრებამ ვერ სძლია კავკასის ჩრდილოელ ტომებს, არწივის ბუდიდან უმზერდნენ ცხოვრებას, და მიტომ. თეთრი გიორგი აღკაზმულა თურმე და წასულა სვანთა და ქართთა მთიან ტომებში და მოუწოდა გიორგისეულ რჯულზე მოქცევა. ხალხმა ეჭვით შეხედა მისულ ღვთაებას და მოსთხოვა მას ფეხშიშველს გავარვარებულ რვალზე გაევლო. ასეც მოიქცა თეთრი გიორგი. მაშინ კი ირწმუნეს მისი ღვთაებრივი ძალა, რჯული კი არ შეუცვლიათ მაინც. თეთრმა გიორგიმ ქართთა და კოლხთა მთიელებს დაანათლა რწმენის ერთგულება, რათა ცხოვრებას ვერასოდეს შეებღალა მათი ღვთის სიყვარული და რჯული მამა-პაპეული. გაუხარდა მაშინ ხალხს ეს დალოცვა და თეთრი გიორგი გაიხადეს სალოცავ ხატად და მას ერთგულებდნენ იმ დღიდან ყოველგვარი ძალდატანებისა და ღვთაებრივ ნიშთა წარმოდგენის გარეშეც. გულისთქმა იყო ამ დროს გადამწყვეტი ყველაფრის და ყველაფერიც გადაწყდა ისე, რომ ცხოვრებამ ვერ სძლია ხალხს, ხალხმა დაიმორჩილა ცხოვრება, და მიტომ.

მედეას თვალები ანთებულიყო და გაკვესილი ნაპერწკლებივით ელავდნენ, როგორც თეთნულდიდან კოშკში შემოფრენილი ფუძის ანგელოსი, რომელიც შებინდებისას ცეცხლის სახით ევლინებოდა კომლს. იდგა მედეა, როგორც დალი - ბეთქილის სამარესთან მგლოვიარე, რომ გაჰკიოდა თავისი საყვარლის ცხედარს, მის მიერვე მოკლულისა და ტრფობის მწუხრით სიკვდილმიღებულის სამარეს, რამეთუ გათქვა ბეთქილმა საიდუმლოება საყვარლობისა თავის ცოლთან.




ია, ასეთი სახე ჰქონდა მედეას - ულმობელი და მტრული, ბეთქილის წარმოსახვითი სახე კი ავაზა იყო თავად მცირეწლოვანისათვის - არ იყო საყვარელი, მაგრამ იყო სასურველი. გაჭირდა მედეას სახისმეტყველება გამარჯვების „საბძნიობრის"... და იგრძნეს ერთმანეთის გადამწყვეტი მოძრაობის დაწყება.

ავაზას მედეას მზერა ერთიორად მატებდა ძალ-ღონეს, ახლა მხოლოდ შეტაკებაზე ფიქრობდა და ნახტომის სიძლიერეს თვლიდა, რომელსაც უცილობელი გამარჯვება უნდა მოეტანა, თუნდაც ამ შებრძოლებაში დაჭრილიყო, მაგრამ უნდა გაემარჯვა. სხვა ფიქრი და სხვა შედეგი ვერც წარმოედგინა, რადგან ხედავდა, რომ მისი სამსხვერპლო არ ემზადებოდა ამ ორთაბრძოლისთვის. ავაზამ იფიქრა, თავის ბედს დანებდაო, მაგრამ ქალური თვალები სულ სხვას ამბობდა და ეს უკვირდა ცხოველური გაოცებით. მისთვის თავისუფალი მოქმედების ყველა გზა არსებობდა. ბევრჯერ უგემია მას ასეთი გამარჯვება, ახლაც რომ სწყუროდა და იცოდა მისი დადგომის მოახლოვება, ჟინი იპყრობდა მდედრისა და მსხვერპლისკენ, და მიტომ. ფეხებით მოსინჯა ნიადაგი, მიწაზე იდგა, თუ ქვიან ალაგს. ბრჭყალებით მონიშნა ბიძგის გასაკეთებელი, თვალით აწონ-დაწონა უფსკრულის სიღრმე და გაზომა მასსა და სამსხვერპლოს შორის მანძილი. თავი დაირწმუნა გამარჯვებაში და თვალის უსწრაფესად გავარდა და გადახტა.

ჰაერში შეამჩნია ხის ჯვარი

და ის, რომ დაიღუპა.

ერთი საზარლად შეჰღრიალა ბუნებას და გადაეშვა უფსკრულში. არ ეგონა, ასე უბრალოდ და მარტივად თუ დაკარგავდა თავს, ვერ მოზომა ნახტომის სიძლიერე, არადა ნახტომი გასაოცარი სიზუსტით შეასრულა. მეტის ფიქრის საშუალება აღარ მისცა სიკვდილმა და უფსკრულში წამოწვეტილ ლოდებზე დაასხა თავი. უფსკრულშივე ჩაიშალნენ ყვავ-ყორნები. მედეა კი გაუნძრევლად იდგა და ციურ მშვენიერებას შესცქეროდა, როგორც ბეთქილის გამონაგლოვი საყვარელი, სხვა მიზნების ნაპერწკლებმა რომ გაიკვესეს თვალებში.

## XVIII
## ქალაქისკენ, სადაც ბევრი ადამიანია

ქალღმერთ დელისის სადღესასწაულის ღიღინი დაიწყო მედეამ:

„დელი-დელა, დელაო,
ეს რა ფეხმა გთელაო,
ან რა ცელმა გცელაო,
რომ არა ხარ მთელაო,
საუფლოო მდელაო;
არ დაგაკლეთ მცდელაო,
შემოგწირეთ რთველაო.
დიელოს დღეს მივეგებოთ,
განა ისევ ბნელაო...
დელი-დელა, დელაო".

ჩიტებიც შეეხმიანენ მედეას ღიღინს და იგალობეს სადელიო.

მზე მეტად და მეტად ათბობდა არე-მარეს და მედეაც უყურებდა მის წინ გადაშლილ ქალაქს, რომელსაც აღარ ეძინა და ჰაერში იფანტებოდა ქალაქის ის ხმა, რითაც ასე-რიგად სულდგმულობდა და ცოცხლობდა იმწუთიერი ცხოვრებით. იგი კმაყოფილი იყო ავაზაზე გამარჯვებით, დარწმუნებული სამომავლოდ ასეთსავე შედეგში. იგი მედეა იყო და ვაგლახად თავს არავის შეაჭმევინებდა და უსახელოდ არ მიეფარებოდა ელადელების თვალებს. ნებივრობდა სივრცის მზერით და ჰაერის ლამუნით ტკბებოდა, რადგან გრძნობდა უცნაურობამდე გასაოცარი კვანძის გახსნის, თუ გადაჭრის ჟამის მოახლოებას. მან იცოდა, შვილების ბედს ველარ დაიბრუნებდა, სამაგიეროდ მას საკუთარი ბედი უნდა გამოეჭედა შვილების ბედის სანაცვლოდ ელადელთა სამარცხვინო დასჯის ხარჯზე.

ხელში ჯვარი ეჭირა და

არ იცოდა მისი ძალა და ფასი,

რომ ავაზასგან სწორედ ჯვარმა იხსნა,

რომ მომავალშიც ამ ჯვრის იმედად უნდა ყოფილიყო.

საირხე გაქრა მისი თვალსაწიერიდან და იგი მასზე აღარ ფიქრობდა.

აღარ ფიქრობდა არც კოლხეთზე,

არც მამაზე,

არც ძმაზე,

არც შვილებზე.

მის წინ გადაშლილიყო ქალაქი, რომელიც უნდა ჩაეხრჩო სირცხვილის სამუდამო წუმპეში და ამ წუმპეს დაეღუპა მთელი ქალაქი.

ქალაქი კი ვერ გრძნობდა მედეას მოახლოვებას და ცხოვრობდა ჩვეულებრივი დღის ცხოვრებით. ეს იყო რომ ქალაქელები ჩვეულებრივი დღისაგან განსხვავებით განსაკუთრებულად ფუსფუსებდნენ. ეს მედეას თვალსაწიერიდანაც ჩანდა, მაგრამ მედეა ვერ ხედავდა წვრილმანებს, რითაც ადამიანები იყვნენ დაკავებულნი იმ დღეს. ერთი რამ იყო საყოველთაო, ცხოველებისათვის არ არსებობდა რაღაც განსაკუთრებულობა -

ძაღლები ყეფდნენ, ან იწვნენ ჩრდილში,

ქალაქის მოშორებით საქონლები ბღაოდნენ,

ქათმები კრიახებდნენ ეზოებში.

ხეთა შრიალი მაცოცხლებელ ძალას აძლევდა ქალაქელებს. სადღაც ბუღი ადიოდა მტვერისა თუ ნამწვავების. თვალის ერთი გადავლებით შეხედა, შეამჩნია და შეაფასა მედეამ მისი დაუძინებელი მტრის ადგილსამყოფელი. ამის მერე მას აღარ გაუხედავს ქალაქისაკენ - მთებს მიაპყრო მზერა, საიდანაც სიმწვანემ მის დაძაბულ თვალებს შვება მიანიჭა. მერე ხეობაში ჩაიხედა და დაინახა დასისხლიანებული ქვები და ყვავ-ყორნების საჯიჯგნად გამხდარი მისი მეტოქე ავაზა. გაეღიმა ღვარძლიანად და გაიფიქრა - ბევრს უნდოდა ჩემი შეჭმა, მაგრამ ყელში გავეჩხირე და დავახრჩვე ისევე, როგორც შენ, საბრალო ავაზავ, ყვავ-ყორნების ლუკმად რომ გადაქცეულხარ ახლა. ასევე მოვლის ამ წყეულ ქალაქს, რომელმაც ჩემი შვილები შეჭამა. მე მოვსულვარ, ქალაქო, შენ რომ შეგჭამო.

ქალაქში კი, რომლის წვრილმანები მედეას არ აღელვებდა, სამზადისი იყო. იქ ჰერაკლე და იფიტე - ძველი არგონავტები და მათი მეგობრები მართავდნენ ეტლებით ჯირითის შეჯიბრს. ქალაქის მამებმა ზედმეტი მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად და ქალაქში მცხოვრებთა ყურადღების გასაფანტად ყოველის მხრივ შეუწყვეს ხელი შეჯიბრის მოთავეებს ოლიმპიადის ჩასატარებლად და მიიწვიეს ამ შეჯიბრის სანახავად იაზონის საპატივცემულოდ ძველი არგონავტები და მათთან ერთად მათი მეთაური იაზონი... და მთელი ქალაქი. ეს ზეიმი მშვიდობით რომ წარმართულიყო და დასრულებულიყო, აუცილებლად თავიდან უნდა მოეცილებინათ მედეა და მისი შვილები. პირდაპირ ვერ ეტყოდნენ მას დატოვე ქალაქიო, რადგან მედეა თუ უცხოელი იყო, მისი შვილები იყვნენ ელადელები, ხოლო ელადელებს ელადის ყველა ქალაქში მიესვლებოდათ ყოველთვის. ამიტომ უნდა მოეწყოთ შეთქმულება და ეს იაზონს არ უნდა სცოდნოდა.

მონაწილე ბევრი იყო. გამარჯვებული ოლიმპიონიკისთვის ჯილდოდ ზეთისხილის რტოს გვირგვინი უნდა მიეცათ, რომელსაც ოქროს დანით ბავშვი მოჭრიდა, ბავშვი, რომელსაც დედმამა ცოცხალი ეყოლებოდა. ეს პატივი ბავშვებს იმიტომ ერგოთ, რომ მარადი სინორჩე ედიდებინათ ელადელებს ამ ბავშვების სახით.

წინა დღით, გაზაფხულის მზის მოქცევის შემდეგ პირველად, გაივსო მთვარე და დადგა წმიდა თვე ახალწლობისა. ქალაქი სიმშვიდითა და სიხარულით ელოდა შეჯიბრის დაწყებას, დავიწყებოდა რა წინა დღეები და სისხლში ამოსვრილი ბავშვების გამწარებული ღამე. ამ დღეს მედეა არ დაავიწყებდა ელადელებს. ამისთვის ცოცხლობდა.

ქუჩებში ფუსფუსებდნენ,

სადღაც მიიჩქაროდნენ,

თავ-თავიანთ საქმეებს საჩქაროდ აგვარებდნენ,

რათა მზის ზენიტში გადასვლისათვის გათავისუფლებულიყვნენ ყოველდღიურობიდან და არ გამორჩენოდნენ სანახაობას. ყველას ღიმილი ეფინა სახეზე, დაუფარავი სიხარული რომ გადაკვესავს გრძნობებს და სახისმეტყველებას.

თავისი ბუნებით ქალაქი ტალღოვანი იყო, კოხტა სახლები ქმნიდნენ პატარ-პატარა ურთიერთგადამკვეთ ქუჩებს. უცხო კაცს გზა არ აებნეოდა იქ, ისე თავისუფლად გაიკვლევდა გზას. არც სახლები ჰგავდა ერთმანეთს. ყველას თავისებური ხელთწერა ეტყობოდა და დახვეწილი გემოვნება ჩანდა მათი შენებისას. ერთი მოედანი ჰქონდა ქალაქს, სადაც თავს იყრიდა ათამდე ქუჩა და იგი ქალაქის ცენტრს წარმოადგენდა, თუმცაღა ქალაქის შუაგულში სულაც არ იყო ის. სახლები ამ ქალაქში ორ სართულს არ აღემატებოდა. ძეგლებიც ამშვენებდა მის ქუჩებს, ძეგლები - ერთგვარ სამლოცველოდ გამხდარნი. ხეები და ბაღები ამ ქალაქში ნაკლებად იყო, უფრო კი სახლებითა და ეზო-კარ-მიდამოებით შევსილიყო მთელი ფართობი. ეზოებში ადამიანებს საქონელი და ფრინველი მოეშენებინათ. მტერთა შემოჭრის შემთხვევაში ქალაქის სიმაგრედ და ტირანთა სამფლობელოდ მოედნის სიახლოვეს ციხე-სიმაგრე აეგოთ. ქალაქის განაპირას მაღალი გალავნის შენება ჰქონდათ დაწყებული ძველის, ნახევრად დანგრეულის ნაცვლად. გადაწყვიტეს გალავნის კარიბჭესთან მეციხოვნეები დაეყენებინათ, ქალაქის მამებს უნდა სცოდნოდათ,

ვინ შედიოდა ქალაქში და

ვინ გადიოდა ქალაქიდან.

ძველი გალავანი ყოველი მხრიდან დაძლეული იყო მტერთაგან და მისი დიდი ნაწილი დაენგრიათ. ახალი გოდოლისაგან განსხვავებით ის გაცილებით დაბალი და თიხის აგურებისგან იყო ნაგები, ამიტომ ადვილად გასწორდა მიწასთან, ახალი კი ქვისგან შენდებოდა და იწყებოდა ყველაზე დაუცველი მისადგომებიდან - მოვაკებული ადგილებიდან. მთის კალთებთან დასრულებული ქალაქი კარგად გამაგრებული იყო ჯერ მთითა და კლდეებით, შემდეგ კი სამხედრო კოშკურებით. აქედან ქალაქში შესვლა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა გოპლიტებს. მთები კი რკალად გასდევდა და მთა-გორიანი უბნებით იჭრებოდა თვით ქალაქში.

ყველაზე მომაღლო ადგილას ზევსის საკურთხეველი აღემართათ. ის ას იონიურ სვეტზე იდგა გონების დამთრგუნველი და ამავდროულად ამაღლებული განწყობილების შესაქმნელად, სადაც ადამიანი თავს არარაობად ჩათვლიდა ამ ქვებთან შედარებით, ერთი რომ დარჩენოდათ - ზევსზე ელოცათ მხოლოდ. ამიტომ ამ ქალაქში მცხოვრებნი უმეტესწილად დათრგუნულები დადიოდნენ და მათ ყოველი სიმაღლე აშინებდათ, მაგრამ სწორედ ამ სიმაღლეთა იმედი ჰქონდათ, დაგვიცავსო ყოველგვარი გასაჭირისაგან.

ასე თუ ისე, იხატებოდა ქალაქის ხასიათი მთელი თავისი გამოვლინებით თვით ქუჩებითა და სახლებით. დახვეწილი გემოვნება კი ჰქონდათ, მაგრამ ამ გემოვნებაში აზრი არ იდო. გვერდი-გვერდ სახლები ერთმანეთს არ იყო შეხამებული, უფრო კი იმ დიადი საკურთხევლის წაბაძვით აშენებდნენ თავიანთ საცხოვრისებს. ის იყო საზომი ყველაფრისა -

ხელოვნებისა,

გემოვნებისა,

გონებაგამჭრიახობისა და

ოსტატობისა,

ეს სამლოცველო იყო ზევსის, და მიტომ.

ქალაქში მიმოფანტული ძეგლებიც კი, ამ საკურთხეველში დადგმულ ძეგლთა ასლებს, ან წამხედურად შექმნილ ნახელავებს წარმოადგენდა, აქაც კი წესებს საკურთხეველი კარნახობდა. მოსახლეობა ბრმად ემორჩილებოდა მის ნებას. ჭეშმარიტად მომხიბლავი და ყველაფრის მთქმელი იყო ეს საკურთხეველი, რომლის პატარ-პატარა დეტალები გაბნეულიყო მთელს ქალაქში და ეს დეტალები რომ შეგეერთებინა, ამ ტაძრის ზუსტი და სრული განმეორება გამოვიდოდა მთელი ქალაქის ნაცვლად.

ტანისამოსებსაც იმ ძეგლების წამხედურობით იცვამდნენ, არც უკეთესსა და არც უარესს, იქამდე იმ ძეგლებზე გამოსახულთა ჩაცმულობას არ უნდა ალმატებოდა მოკვდავთა სამოსის სილამაზე. ეს ტანისამოსები ერთიან სწორკუთხა ნაჭერს წარმოადგენდა, რომელსაც სხვადასხვაგვარი განლაგებით იყენებდნენ - იხვევდნენ, ან იმაგრებდნენ ტანზე. ამისდა მიხედვით გამოირჩეოდა ერთი სამოსის სახეობა მეორისაგან.

საყოველდღეოდ გიმატიუსს ხმარობდნენ. ეს იყო თავისუფლად წამოსასხამი ერთგვარი ლაბადა. მას მკვრივად იხვევდნენ ტანზე სხვადასხვაგვარი ხერხით. ეს სამოსი ადამიანებს მოძრაობათა მრავალფეროვნებაში ხელს არ უშლიდა. გიმატიუსის ჩაცმით წარმოიქმნებოდა ნაკეცების მოხდენილი ნაკადი, რომლის კუთხეებსაც ხშირად ამრგვალებდნენ. ისინი პლასტიური ნაჭრები იყო და კარგად იჭერდნენ დრაპირების მიმართულებას. ზოგჯერ თვით კოჭებამდეც იმოსებოდნენ - ეს ავდარში, და ასეთ დროს გიმატიუსი სქელი ნაჭერი იყო, რათა წყალს, ან სიცივეს არ გაეტანა სხეულამდე. მოსამართლეებსა და უხუცესებს სხვადასხვა მდიდრული ფიგურებითა და ორნამენტებით მოერთოთ ის. ასეთ მოხატულ სამოსს მხოლოდ სადღესასწაულოდ იცვამდნენ. ქალებისათვის ლაბადისმაგვარის ნაცვლად შარფისებური გიმატიუსები იყო განკუთვნილი. მას ქიტონზეც იცვამდნენ დახვეწილი გემოვნების წარმოსაჩენად.

ზამთრობით გიმატიუსის ნაცვლად ხლენას მოსასხამი ეცვათ, რომელიც სხეულამდე ყინვას არ ატარებდა. ის გიმატიუსზე მომცრო ზომისა და ერთ მესამედზე გადაკეცილი იყო, ცალ მხარეზე რომ იკვრებოდა. ამ მოსასხამს თავზეც იხურავდნენ.

ეკზომიდათიც იმოსებოდნენ, რომელიც ტორსს ფარავდა მხოლოდ. ის უფორმო და უხეში ნაჭერი, ან ტყავი იყო და მარცხენა მხარზე მაგრდებოდა მისი შესაკრავი ზორტი, თუ ტყავის თათები, ეს მასალაზე იყო დამოკიდებული, უკეთეს შემთხვევაში ბალთით აბნევდნენ. ეკზომიდა, რომელსაც ნაკეცები არ გააჩნდა და იყო უსწორმასწორო კალთებით, მონებს ეკუთვნოდა. რაც უფრო დიდი ნაჭერი და ბლომად ნაკეცები ჰქონდა, მით უფრო დიდი იყო ამ სამოსის პატრონის საზოგადოებრივი მდგომარეობა. ეკზომიდას არ გააჩნდა მოხმარების აუცილებელი წესი, ეს წესები ყოველდღიურობიდან გამომდინარეობდა.

ჩაცმულობათა ნაირსახეობას ქიტონიც წარმოადგენდა - შუაზე გაყოფილი სწორკუთხა ნაჭერი ისე, რომ ნაკეცის ხაზი გადადიოდა სხეულის მარცხენა გვერდის გასწვრივ. დახურული ქიტონი გვერდიდან იკვრებოდა, ხოლო მხრების პარალელურად ზედა ნაწილის გადაკეცვისას ის ღიად რჩებოდა. საზეიმო ვითარებაში ქიტონები ორნამენტებით ირთვებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში მას განში უმატებდნენ ნაჭერს და ის წარმოქმნიდა ნაკეცებს, რაც დრაპირების საუკეთესო საშუალებას იძლეოდა. ქიტონი მაინც საზაფხულო ტანისამოსად ითვლებოდა. დაპლისულ ქიტონს კალთების გასწვრივ ჰქონდა ორნამენტირებული არშია. გადანაკეცი ზოგჯერ დამოუკიდებელი ნაჭრისა იყო და მხრებზე იფარდაგებოდა და ეშვებოდა მკერდამდე. ელადელთა წეს-ჩვეულებითი სამოსი ქიტონი იყო და ყველა მხარეში მას თავისებური გამოყენება ჰქონდა როგორც ქალისთვის, ასევე მამაკაცისთვის.

ქიტონისგან განსხვავებით, რომელიც მხრებს აშიშვლებდა თავისი ნაკეცებით, პეპლოსი - მხრებსა და ზურგს ფარავდა. ისიც სწორკუთხა ნაჭერი იყო, სიმაღლითა და განით ადამიანის ზომას აჭარბებდა. საფარის წარმოშობისთვის ნაჭრის ზედა კუთხე იკეცებოდა ტალიამდე, ან მუხლამდე, რომელიც მხრებზე იკვრებოდა. პეპლოსებს მარცხენა მხარი დახურული ჰქონდა, მარჯვენა კი - ღია, იმ შემთხვევის გარდა, როცა პეპლოსი ორი სხვადასხვა ნაჭრისგან იწყობოდა. სიგანე-სიდიდის გამო ნაჭრის ჭარბი მარაგი გადანაკეცებიდან მსხვილი დრაპირებით ეშვებოდა მთელ სიგრძეზე. ტალიაზე, ან მკერდთან ორი ან მეტი ჩამონაშვებით წარმოქმნილი ჰორიზონტალური ხაზები ართულებდა მოფარდაგებათა ვერტიკალურ მოძრაობას.

ქლამინდსაც გვიან გაზაფხულზე, ან ადრეულ შემოდგომაზე იცვამდნენ. ისიც სწორკუთხა ნაჭერი იყო და მარჯვენა მხარზე საკინძით, ნასკვით, ან ბალთით ანუ ფიბულით იმაგრებდნენ. სწორი განლაგებისას ის წარმოქმნიდა ნატიფ ნაკეცთა ნაკადს. ქლამინდის ნაპირებსაც ორნამენტით, ან ზოლებით ქარგავდნენ, ხოლო კუთხეებში აკერებდნენ ნაკეცების ხაზებს. მას შიშველ ტანზე იცვამდნენ ყმაწვილებიც, მოგზაურებიც და მეომრებიც. ნაჭერს ბუნებრივი ფერები ჰქონდა, ზოგჯერ ღებავდნენ კიდეც სხვადასხვა ფერზე გემოვნებიდან გამომდინარე.

თავისაბურავებად მამაკაცები სწორ უხეშ, ან რბილ მატყლის ქუდებს იყენებდნენ. განსაკუთრებულ ხმარებაში წითელი, ან შავი ფერის ფრიგიული ჩაჩი იყო. რბილ ქუდებს კუთხეებამობრუნებული ხისტი თავსაბურავები ენაცვლებოდა - პილოსები და პეტასები. პილოსს წაწვეტილი ბოლო და ვიწრო არე ჰქონდა. პეტასი კი ფართოკალთებიანი თავსაბურავი იყო, რომლის მოხდა და ზურგზე გადაკიდება შეიძლებოდა, რადგან ის კისერზე თასმით დაემაგრებინათ.

ვარცხნილობაც, როგორც სხვა დანარჩენი საყოფაცხოვრებო ნიუანსი, წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარეობდა. მამაკაცები ოსტატურად ილაგებდნენ კულულებსა და სხვადასხვაგვარად შეკრულ ნაწნავებს, რომლებსაც ან თასმებით კრავდნენ, ან კიდევ საშუბლე შესაკრავი ზორტებით იმაგრებდნენ. ქალებიც დაკულულებულ ვარცხნილობას ატარებდნენ. ამასთანავე ეგზოტიკურ მაშებს ნაწნავებთან ისე ახამებდნენ, რომ მთელ ვარცხნილობას ერთიან ელფეროვან აგებულებაში წარმოადგენდნენ.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „მამული" №48-57



გამოსაცემად მზად არის მანუჩარ კაჭახიძის პუბლიკაციური წერილებისა და ესსეების 620-გვერდიანი წიგნი „წაშლილი სამშობლო“, რომლის დაბეჭდვაც ფერხდება მეცენატის არყოლის გამო.

სურვილის შემთხვევაში ნებისმიერი თქვენთაგანი შეიძლება გახდეს ამ კეთილი საქმის თანამონაწილე.

კონკრეტული ინფორმაციისათვის დარეკეთ „მამულის“ რედაქციაში.





პატარა **ანასტასიას** დაბადებას ვულოცავთ ჩვენს ძვირფას მეგობრებს **ნინო იმედაძესა** და **გიორგი კაკაურიძეს.** პატარას კი ვუსურვებთ სასახელო ქართველად გაზრდას, ჯანმრთელობას და მშვიდობიან სამშობლოში ცხოვრებას.

მეგობრები


მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის
უახლოესი და ყველაზე უდღვიანი მეთოდი

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!




VEIN & LASER CENTER

2177 65th st. Brooklyn, NY 11204
(კონსულტაცია, გამოკვლევა და მკურნალობა)
1-718-238-1555





თორმეტწლიანი ნდობითა და გამოცდილებით ნიუ იორკში
კორპორაცია „გვანცა“ & ნიკო ფანცულაია
გთავაზობთ ამანათების გადაზიდვას
საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტსა და დსთ-ს ქვეყნებში

- თვითმფრინავით პაუნტის ღირებულება 3.69;
- ადგილზე მიტანით 25 დოლარის ზედნამატი;
- მგზავრობის ხანგრძლივობა 7-დან 14 დღემდე;
- ტვირთის დაუკარგაობის გარანტია;
- უფასოდ წამოღება ბრუკლინიდან, ნებისმიერი შტატიდან კი ხელსაყრელ ფასად;

4801 2nd Avenue
Brooklyn, NY 11232
Phone: 917-470-4277





Discount plus
YOUR STORE!

2910 Brighton 8th street
Corner of Neptune ave
in Brooklyn

სატელეფონო ბარათები ფასდაკლებით



მაია ნინოშვილის სააგენტო
GEORGIA-USA TRAVEL

ავიაბილეთები საქართველოდან და საქართველომდე და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846



კაფე „თბილისი“

გემრიელი ქართული კერძები, თონის პური, შეკვეთები სადღესასწაულო სუფრისათვის, ქართული სული!!!

ღიაა
დილის 8 საათიდან - საღამოს 11 საათამდე.



ქართველნო, ქუდზე კაცნი შეიკრიბეთ და ყველანი დაიძარით კაფე „თბილისისაკენ“. იქ ხომ ყველაფერი გემრიელია, რომელიც ასე გვენატრება თითოეულ ჩვენთაგანს...

„გემრიელი ხაჭაპური,
გემრიელი ჩაქაფული,
თუ ქეიფი დააპიროთ,
გიმასპინძლებთ თქვენ „თბილისი“.
აქეთ მწვადი, იქით მჭადი,
აჭარული არნახული,
თუკი რამეს მოისურვებთ,
არ დარჩებით გულ-ნაკლულნი.“

მზარეული კი ვაჟა გიორგაძის და ირაკლი ბათიაშვილის არჩეული ქალბატონი მანანა ბაქრაძეა.

თუ რაიმეს კარგს მიირთმევთ ამ კაფე-მაღაზია „თბილისში“, ეს მხოლოდ მანანას ხელმარჯვეობის შედეგია.

დაუზარელი, ენერგიული და ყველასათვის საყვარელია ჩვენი მანანა.

ალბათ უკვე მისამართი გაინტერესებთ არა? არც მაგას დაგზარდებით:

1871 86th street,
Brooklyn, NY 11214
(Tel: 347-492-3808)





ჩვენს ულამაზესს, მარად ახალგაზრდა **ნანა ნაკაშიძეს** ვულოცავთ მეორე შვილთაშვილის, პატარა **სესილის** ამქვეყნად მოვლინებას. ღმერთმა სასახელო, ჯანმრთელი, ქვეყნისათვის საამაყო ქართველი ქალი გაზარდოს.

**იამზე გოგუაძე, დალი ხოფერია,**
**ნანა ანთიძე, ნუნუ ზარნაძე, როლანდი ნუცუბიძე**

* * *

ჩვენს უახლოეს მეგობარს, ჩვენს **იზოლდა ცერცვაძეს** ვულოცავთ პირველი შვილიშვილი, პატარა **სოსოს** დაბადებას. ღმერთმა გაზარდოს სასახელო ქართველი ვაჟკაცი. შვილიშვილთა სიმრავლეს გისურვებთ ჩვენი იზოლდა.

**დალი ხოფერია, იამზე გოგუაძე,**
**ნინო ხარაბაძე, მარინა გელაშვილი**

* * *

ჩვენი დროების ახალგაზრდა დიდ ბებიას, თავადის ქალბატონს **ნანა ნაკაშიძეს** ვულოცავთ შვილთაშვილის - სესილის დაბადებას. ღმერთმა გიმრავლოს ჩვენო ნანიკო შვილიშვილები და შვილთაშვილები. მუდამ ასეთი ახალგაზრდა შარმით შემკული ყოფილიყავი. ჯერ ამ მილოცვას დაგვჯერდი, და შვილიშვილის მოლოცვას უახლოეს თვეებში წამოგაწევთ.

**მანუჩარ კაჭახიძე, თამაზ ხარაბაძე ოჯახით,**
**ნინო ხარაბაძე, უახლოესი მეგობრები მერილენდიდან**


DANCING CRANE-თან არსებული
ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი






16 მაისს, კვირას,
დღის 1:30 საათზე

Millennium Theatre
10-29 Brighton Beach avenue,
Brooklyn, NY 11235

ტრადიცია გრძელდება!

ქორეოგრაფები შორენა ბარბაქაძე, ალექსანდრე ნადარეიშვილი, რამაზ ზურაბაშვილი,
სამხატვრო ხელმძღვანელი ივანე გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორი ვიქტორ სირელსონი

ბილეთის ფასი 25, 30, 35 დოლარი

საინფორმაციო მხარდამჭერა: მამული

347-653-0931;
845-986-2638;
718-514-3655





ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. სურვილის მიხედვით პრაქტიკის გაკვეთილები ჩატარდება ტელეფონის საშუალებით.

347-738-5265 ლელა


მადლობას ვუხდი ჩვენს უძვირფასეს ქალბატონს, **ნაზი ჩხიკვაძეს** გაზეთ „მამულის“ რედაქციისადმი გაწეული დახმარებისათვის.
ქრისტე აღსდგა ქალბატონო ნაზი!
უფალს ებარებოდეთ!

პატივისცემით **მანუჩარ კაჭახიძე**

## სამძიმარი

გაზეთ „მამულის“ რედაქცია თანაუგრძნობს **სოსო თოლორაიას** მწუხარებაში მამის

**ნოდარის**

გარდაცვალების გამო.

მანუჩარ კაჭახიძე მეგობრების სახელით თანაუგრძნობს **ქეთი ბაკურაძეს** მწუხარებაში მამის

**გურამის**

გარდაცვალების გამო.




აღსავალ დასავალის პარტნიორობით

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს
საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“
ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

გაზეთი ხელმოწერილია დასაბეჭდად
2010 წლის 2 აპრილს, ამოსავლეთ
ამერიკის დროით 10:00 წუთზე